

იველი

1881

წელიწადი პირველი

№№ X, XI & XII.

ოქტომბერი, ნოემბერი & დეკემბერი.

თფილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

1881

ოპტომეტრის, ნომეტრის და დეკამეტრის წიბნის შინაარსი.

I.	ტენ-წართმეული კაცის მოგზაურობა (წერი- ლი შირველი) —კ—ნე ძაჭავარაანისა	3
II.	მოშიირესადმი (ლექსი)—კალხნიდეფისა . . .	21
III.	გლები (ლექსი)—აღ. მირიანაშვილისა. . .	23
IV.	* * (ლექსი)—დ. ანტონიძისა . . . . .	25
V.	ბატონი და თარეში (ნამდვილი ამბავი იმერე- თის წარსული ცხოვრებიდგან)—იაგორ ანდ- გულაძისა . . . . .	26
VI.	თბილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილეი— იგ. კერესელიძისა . . . . .	39
VII.	როსკიპი (ლექსი გადმოღებული რუსულიდგან) —შარდაკანისა . . . . .	41
VIII.	შიკრიკი—გემისა . . . . .	49
IX.	მამულის შეილი—სტ. ჭრელაშვილისა . . .	67
X.	ფეშქაში ჩვენ „ბატონებს“—კატოშისა . . .	96
XI.	* * (ლექსი)—ეულის-გარეჯისა . . . . .	100
XII.	ზუგდიდის „კიდევ-ვიტყვის“ კორრესპონდენ- ციისგამო—ალექსანდრე წერეთლისა . . .	102
XIII.	მიმართუა აპოლონონისა პოეტებისადმი (ლექ- სი გადმოღებული რუსურიდგან)—თეოფილე კანდელაკისა . . . . .	109
XIV.	წერილი რედაქტორთან (კავთიხევიდგან) . .	112
XV.	რედაქციისაგან საყოველთაო საყურადღებოთ	126
XVI.	განცხადება . . . . .	128

# იშედი


ყოველთვიური

სალიტერატურო და საკოლიტიმო

ჟურნალი.

წელიწადი პირველი.

ოქტომბერი, ნოემბერი & დეკემბერი.



თფილისი  
ექვთიმე ხელაძის სტამბა.  
1881

1809



Доволоно цевзурю. Тифлисъ, 26 Ноябрь 1881 г.

## ბვინ წართმეული კაცის მოგზაურობა.

(წერილი პირველი)

წინა-სიტყვაობის მაგიერათ მინდა მოგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, ერთი ცოტათ გასაღიმარი ამბავი.

მე გახლდით კავკასიის აქეთ მხარის ერთ გიმნაზიაში „სიბრძნე-სიცრუვის“ სასწავლებლად. ერთხელ დილით ცხრა საათზედ ჩემი ამხანაგები წივილ-კივილით შემოვარდნენ კლასში და გულის ძგერით დაიყვირეს: „ბიჭებო, ვაი ჩვენ ცოდვას, რევიზორი მოსულა, რევიზორი მოსულა!“ მართალია, ჯერ კი არ დაგვენახა რევიზორი, მაგრამ საშინელმა ჟრუანტელმა გაგვირბინა ტანში. ვისთვისაც არაოდეს არ გაუციებია, იმას ცახცახი დააწყებინა, ვისაც ცხელება ჰქონდა—ცივებათ გარდაექცა და ვინც ჩვენთაგანნი უფრო გამბედავნი იყვნენ—იმათ მუცლის ტკივილი აუტყდათ. ამ ნაირი ჯოჯოხეთის მოლოდინებამ ყველას ფერი დაგვიკარგა და იმ გვარ დადუმებას მივეციით თავი, რომ ბუზის ბზუილი კი არა, თითონ ჩვენ-ჩვენი გულის რაკ-რაკი გვესმოდა. ნახევარი საათის შემდეგ, საიდგანაც იყო, უეცრივ გაჩნდა ჩვენი დირექტორი, დირექტორს მოსდევდა ერთი ძიელ თვალ-საჩინო, მაღალი და ახალ-

მოდაზედ ჩაცმული ჩინოენიკი. ჩვენ, საწყლებმა, ვსთქვით, რომ ეს ჩინოენიკი უწინ დირექტორს დასცემს მებს და შემდეგ ჩვენ აგვინთებს ზურგზედ ცეცხლსაო. ჩვენდა სასიხარულოდ, არც ერთს—არც დირექტორს და არც იმ ჩინოენიკს არ შამოუჭერეთია ჩვენ კლასში და ორივემ მიმართეს თავის მძიმე ნაბიჯებო მსწველებლებს შესაკრებ ოთახისკენ. იტყვიან, ქრთამი ჯოჯოხეთიდგან იხსნის ადამიანსაო, და ამის გამო წინ-დაწინვე ჩვენ გვეყანდა დაქრთამული ერთი მარდი გიმნაზიის სტოროჟი. იმის მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ უმეტნაკლოდ უნდა ეამბნა, რასაც კი ყურს მრჳკრავდა მხაერობის ნალაპარაკებს. წელის ნაბიჯით გავექანეთ მშ „სტოროჟთან“ და მუხლ-მოღრეკით ვსთხოვეთ, რომ შეგტყოს, თუ რა ამბავია, როგორი კაცია რევიზორი და როდის შამოგა ჩვენ ჯვარ საცმელათ. სტოროჟმა ღიმილით მოგვცა ეს პასუხი:

„იმე, ქე წაებდი, რამ შეგათრთოლათ მასთე, მამა ნუ წამიწყდება, თუ გაჭირდა საქმე, იმისთანას ვსტკლიცავე ყურის ძირში თქვენს დილენტორსაც და ლევიზორსაც, ზომ სამ დღეს ვერ წამოდგენ. ნუ გეშინიათ ბიჭებო!“

ამ სიტყვებმა ცოტა ჩვენი მუცლის ტკივილი დააწყნარეს და სიხარულით ორ-ორი კაპეკო შევკრიბეთ თითო მოსწავლისაგან და მდაბლის თაყუანის-ცემით ჩაუხსრბნლეთ ჯიბეში ჩვენს მხსნელს სტოროჟს. —

ძალიან დაიმედებულნი მოვშორდით ჩვენს სტოროჟს, მაგრამ ისევ თავ-დახრილი შამოვეწით კლასში რა ეამბობდით: „ჩაი ჩვენ უბედურებას, შეტარას გევიზორს და რას გვეკითხავენ!“ იმ დღეს პირველ გაკვეთილზედ

მხატვრობის მასწავლებელი უნდა შამოსულიყო, რომელიც ჩვეულებისამებრ გვიან შამობრძანდა. მასწავლებელს გაუკვირდა ჩვენი სიწყნარე და გვეკითხება ლოცვის შემდეგ—რა ამბავია, რომ აგრე დაჩუმებულხართო.

— არაფერი, ბატონო, მიუგო ერთმა ჩვენთაგანმა, რევიზორი მოსულა და არ ვიცით რა ხარი დაგვეცემა დღეს.

— ეხ, პოსლუში, როგორ თუ რევიზორი, კაკოი რევიზორ? სტყუვით, თქვენ გინდათ კიდევ რამე შტუკა მოახდინოთ; რევიზორი რომ მოსულიყო მე მომწერდნენ ჩემი ამხანაგები პეტერბურლის აკადემიიდან; ხომ იცით, მე დიპლომი მაქვს მხატვრობის სწავლისა. ნეტ, ვრიოტე, მალჩატ! პასლუში, როგორ უნდა დაიჯეროთ ამ ნაირი საცრუვე?!

არ ვიცი რომელი ამხანაგი იყო, მაგრამ ჩუმათ კი ეს წაიჩურჩულა:

— თუ არ დაიჯერებ, ჯანდაბას შენი თავი, კისერიმც მოგიტეხია!

ამ დროს ერთმა ყმაწვილმა კივილი შექნა კლასში. ამით შეშინებულმა მასწავლებელმა კინალამ დასაჯდომიდან ტყაპანი გააღინა პოლზედ (იატაკზედ), მაგრამ მარდი შაგირდები უეცრივ მივარდნენ და ფეხზედ წამოაყენეს.

— ჩტო ტაკოე, პოსლუში, რა ღმერთი გიწყობათ?

— ბატონო, მომკლეს წყეულებმა!

— როგორ თუ მოგკლეს, ჩტო ტაკოე, პოსლუში?!

— მე ვიჯექი ჩუმად, ჩემო ბატონო, და ღვთის მტრებმა, ორივე ყურები დამიფსეს.

— ეხ, პასლუში, როგორ თუ დაგიფსეს, ვინ დაგიმსო?

— აი, თქვენი ჭირიმე, მე მომკლეს ამ ორმა სატანის შვილებმა!

— სკაყიტე, აბა რა ჰქენით?

რალა რა უქნიათ, ერთს ამხანაგს საწყალ მტირალი ყმაწვილისათვის კარანდაშის წვერი. მიუცია ყურში და, როდესაც იმას საშინელის ტკივილის გამო თავი მოუხრია, ამ დროს მეორე ამხანაგს დაუხვედრებია მეორე ყურში ლურსმნის წვერი.

— დამაცადეთ, მე თქვენ ზრივეს ბეზაბედა ასტაგლიუ!

— ბატონო, ღმერთი არ იცით, რა ჩვენი ბრალია?!

— ნელზია, ბეზაბედა!

— თუ ბეზაბედათ დაგვაყენე, ჩვენ რევიზორთან წავალთ საჩივლელათ.

— კაკოი რევიზორი, რას ბჟუტურებთ?

— თუ რევიზორი არ არის, მაშინ დირექტორთან წავალთ.

— ნეტ, ნეტ, ნუ წახვალთ, აბა რა ვინდათ დირექტორთან? ბოლ სეამი, ეს ერთი მიპატივებია.

— გმადლობთ, ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თაყნა მნოგო ჟამიერ!

«პერემენა» რაკი გათავდა, გამოვევარდით კლასიდან და მივევარდით ჩვენ დაუფიწყარ «სტოროჟთან».

უნდა მოგახსენოთ, საშინელ ფაკვირებებში შეგვდით, როდესაც სტოროჟმა გვიამბო, რომ ის ჩინოვნიკი რევიზორი არ არის.

— აბა ვინ არის? ვკითხუთ ჩვენ ძვირტასს, სტოროჟს.

— ვაი წაფხდი! რაფა არ იცით, ვინ არის? ჩინოვნიკია,

აქაურ პოლიციაში მოსამსახურე, უნდა ეგზემენია დეიჭიროს, ლაპარიკობს, უეგზემენიოთ ჩინს არ მაძლევენო, რადგანაც სასწავლებელში არსად მისწავლიაო.

— რა ჩინიო, შენი ჭირიმე, სთქვი, რა ჩინიო? გაკვირებით შეესძახეთ. უსწავლელ კაცს ან ეგზემენიის დაჭერა როგორ შეუძლია და ან ჩინის მიღება — ფეიქრობდით. ბოლოს და ბოლოს კი დავრწმუნდით, რომ ჩვენებურ სამართლოებში და სამმართველოებში ისეთი პირნი მსახურებენ, რომ კლასი თვალთაც არ უნახავთ.

— დედაჲ, რა ჩინი იქნება?! კულევის რევიტრატორობა მინდაო. მე მგონია, ჩემო ბაღებო, იმ ჩინოენიკს გოგრა ცარიელი აქვს, თუ არა აქედგან კაცი რაფა წავა ყულევში? იქ ძალიან ცუდი ქვეყანა არის!

ამის შემდეგ ჩვენ კი ვიცოდით რა გვექნა. ეგზემენიის დასაჭერათ რომ შეიყვანეს, იმ წამსვე სამი თუ ოთხი ამხანაგი მასწავლებლების ოთახისკენ გავვექანეთ, რადგანაც იქიდგან ლაპარაკი კარგათ ისმოდა. დავდექით კარებთან და ყური დაუგდეთ.

არ ვიცით სხვა საგნებიდგან როგორ დაიჭირა ეგზემენი, მაგრამ, როდესაც მასწავლებელმა სამღერთო წერილიდგან ჰკიზხა იმ ჩინოენიკს, ქრისტე სად დაიბადაო, — საშინლად განცვიფრდა წარმოსადეგი ჩინოენიკი და ღრდის ღირსებით მისცა შემდეგი პასუხი: «უფალი ჩვენი იესო ქრისტე დაიბადა ზხალციხეს».

ამ გვარად დაიჭირა ეგზემენი ამ ჩინოენიკმა. ეს წინასიტყვაობა მისთვის მოგახსენე ჩემო პატივსაცემო მკითხველო, რომ, თუ იმ კაცს, ვინც ქრისტეს

სამშობლოთ ახალციხეს სთელის, ჩინის მიღება სურს, მეც, მგონი, შემიძლიან ორიოდ სიტყვის თქმა ტეინ წა-  
რთმეული კაცის მოგზაურობაზე ამ გვარის შესავლით.

ესეც იყო გამოვესალმე ჩემს ძვირფასს მეთულოზჩეებს, „სტოროჟებს“ და პოვრებს (მზარეულებს), რომლებთანაც გახლდით დიდათ დამეგობრებული და ხშირად მქონდა საუბარი მაღალს ფილოსოფოსურს საგნებზედ, რომ შევამჩნიე ჩემ ტანზედ ცივების ნიშნები, აბა რა უნდა მექნა, წაველ ჩემ ბინაზედ და ტან-საცმელიანათ ჩავარდი საწოლში. საწოლი კი, ვგონებ, კარგი და თბილი მქონდა; ოთხი ლეიბის და შვიდი საბნის პატრონს, რასაკვირველია, კარგი საწოლი ექნებოდა. იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და ამის გამო მუდამ ვიხურაედი. შვიდ საბანს. საჭიროდ ვრაცხდი დიდს სიფრთხილეს, რადგანაც ერთის თვის წინეთ ესცანი დამცირება ჩემის უბედურის ტეინისა. ამ გვარ დამცირებას კიდევ გაუძლებდი, თუმც უკანასკნელ დროს არ მეგრძნო, რომ ჩემ თავში რაღაცას რაკ-რაკი გააქვს. ვიფიქრე, უთუოთ ჩემი ტეინი. გამოსვლას აპირებს ჩემი საბრალო თავიდგან მეთქი და ამისგამო დავიწყე საბნების გროვება, რომ შემეკრა მაგრათ თავი და არსაიდგან არ გამომეშვა, გალაცებული ტეინი. ვაიმე, დედაე! უეცრივ ცივება ცხელებათ გარდამექცა და ყოველივე მესხიერება და ხსოვნა დამეკარგა. ვიცი, რომ მეძინა, მაგრამ ეს ძილი არც ძილს ჰგავდა; არც სიფხიზლესა. ამ დროს ვეგრძენი, რომ ვილაცამ და-

მკრა ხელი მხარზედ და საშინელის სიჩქარეთ ჰაერში ამ-  
 აგლო შემდეგ მკრა ზურგში ხელი და წინ მე მივფრინაე,  
 უკან კი მამდევს ის ჩემთვის უცნობი უსულო არსება.  
 არ ვიცი რამდენ ხანს დაეყაფე ჰაერში, მაგრამ ის კი მახ-  
 სოვს, რომ ბოლოს ტყაპანი გავადინე ერთს ალაგზედ.  
 ამ ალაგზედ იდგა ერთი დიდი მშვენიერი სახლი, იმგრე-  
 ლივ მართული სხვა-და-სხვა ხეხილებითა, ბალებითა და  
 მშვენიერის წყაროებითა. მართალია, უცნობმა ადგილმა  
 დიდ გაკვირებებში შემოიყვანა, მაგრამ საშინლად განვცვი-  
 ფრდი, როდესაც ერთის მხრით ამ სახლის კარებზედ ვნა-  
 ხე შემდეგი ნაწერი: „ღამით 31 ქრისტეშობისთვეში 1880  
 წელსა ტენის ზალაში იქნება განჩევა საქმისა აზნაუ-  
 რის N N (ეს ორი ნიშანი ჩემს სახელს და გვარს ნიშ-  
 ნავდენენ), რომელიც არის დამნაშავე ტენის სისუსტეში“.  
 ეს სიტყვები კიდევ მეორეთ წავიკითხე; გულ-დაღონებუ-  
 ლი ვიდექი და ვფიქრობდი: «ნეტა სიზმარში ვარ თუ სი-  
 ფხიზლეში მეთქი“.

კოტა ხანს შემდეგ პატარა ზარის ხმა მომესმა და  
 ვილაცამ ზალის დიდი კარები ყურებამდინ გააღო. მე კი  
 დევ ვიდექი ერთს და იმავე ადგილზედ და აღბათ. დიდ  
 ხანსაც დავრჩებოდით იმ ალაგზედ, რომ ჩემთვის არ ებრა-  
 ძანებინათ ზალაში შესვლა, სადაც ერთს კუთხეში იდგა  
 მშვენიერი მარმარილოს ახალი სტოლი. ამ სტოლის გვერ-  
 დზედ დავიჭირე ადგილი და გულ-ხელ-დაკრეფილმა ვი-  
 წყე ცქერა და ლოდინი დიდის უბედურებისა. ზალა საესე  
 იყო ხალხით და ათ-ასი თვალი შამომცქერდა, თითქო  
 რამე უნახავს მხეცს ვგვანდი. ხანდის-ხან მეც შევცქერო-  
 დი უცნობ საზოგადოებასა, მაგრამ, საუბედუროთ, მათი

მრისხანე სახე, გარდა კითხვითი ნიშანისა, არაფერს არ აქბობდა. ტანში მაქრიანობდა და ვფიქრობდი, ვნახოთ რა იქნება მეთქი. მე მეგონა, რომ დახრჩობას მიპირებდნენ და საშინლად ელოდებოდი; ძალიან კი მსურდა ერთი დანახვა ჩემი ერთგული სტოროეებისა, მეთულებებისა და მათთვის ორიოდე სიტყვის თქმა, მაგრამ აბა საიდგან გაჩნდებოდნენ იგინი?! ერთის კედლისკენ იღვადიდი სტოლი და იმგვრგელივ იყენენ. შემომსხდარნი რამოდენიმე წარჩინებულნი პირნი, რომელნიც გონიერნი და მართლ-მსაჯულნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იმათი სახე არ ამტკიცებდა არც დიდ გონიერებასა, არც გამოცდილებასა და არც აღმატებულ ჭკუასა. ამათ სახეზედ კაცის შეუბრალებლობას, მტარვალობას, ჭერაგობას და უგრძნობლობას უფრო შეამჩნევდით. მოხსენებულ სტოლზედ მარჯვნივ ილო ვერცხლის პოდნოსი, პოდნოსზედ ილო ტერმომეტრი შემდეგის ზედ-წარწერითა: «ეს იარალი არის გაკეთებული საცნობელად და გამოსაკვლეველად ტვინის თვისებისა»; მარცხნივ სტოლზედ ილო ჩაქუჩი აგრეთვე ზედ-წარწერით: «ეს იარალი არის გამოსაცნობელად გამხმარის, მოუსვლელის და დაუმწიფებელის ტვინისა.»

ერთ მოხსენებულ წარჩინებულ პირთაგანს ეკირჱ თავ-მჯდომარის ალაფი.

— გყავთ თუ არა ადვოკატი? უეცრივ მკითხა თავ-მჯდომარემ.

ამ კითხვაზედ მხოლოდ თავი გავიქნიე უარის ნიშნად.

თავმჯდომარე. — «საზოგადოებამ, რომელსაც თქვენ

ეკუთვნით, დიდი ხანია, რაც შეგამჩნიათ, რომ თქვენი ტვინი დიდს ბოროტ-მოქმედებას სჩადის. თქვენო ტვინი იმ ნაირ რამეებს იგონებს, რომ ყველა დაშინებულზე; ამისთვის ბევრჯერ უთქვამთ თქვენთვის, რომ დაგედუმებინათ თქვენი ურგები ტვინი, მაგრამ არავისი რჩევა არ მიგიღიათ, რაისათვის საზოგადოება თქვენზედ აცხადებს სჩივბრსა და ითხრავს, რომ თქვენი ტვინი განვიხილოთ და, უკეთეს ურგებლად ვსცნათ, წაგერთვასთ იგი. ხართ-თუ არა დამნაშავე?

პასუხის გების მოფიქრებამდის მომესმა ნაცნობი ხმა.

— თქვენო კეთილ-შობილებავ! საკვირველი კითხვა კი მიეცით ჩემს ბედკრულს მეგობარს. ამას არავითარი დანაშაულობა არა აქვს. გნებავთ დაგიმტკიცოთ! პატიოსანი, წმინდა და შეუბღალველი ჭკუა; ე. ი. პირველის ნომრის ტვინი, მუდამ მაგნე და უსარგებლოა, მუდამ ყოველ დღე ეჭვიანია, ეძებს მიზეზებს ყოველის არსებისას, ეძებს ჭეშმარიტებასა. ჩემს მეგობარს კი ამ ნაირი ჭკუა არა აქვს და არასოდეს არც ჰქონია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით მშის ჭკუის კმაყოფილნი იმიტომ, რომ თავის ტვინს სხვა-და-სხვა მასალებს ურევს.

თავ-მჯღღომარე.—რას ამბობ, რა მასალებზედ ლაპარაკობ?

იგივე ხმა.—ღმერთს გეფიცებით, მისი ტვინი არეულია; მაგალითებრ, იმაში ურევია მელიაობა, ამპარტაენიბა, ქურდობა, პირ-მოთენობა, ქრთამობა და სხვანი. ამ ნაირი ტვინის პატრონი ყველას მოსწონს და გაკვირვებული ვარ, თუ რა ნაირი ვნების მიცემა უნდა შეეძლოს მას საზოგადოებისათვის.

მკითხველო! თქვენ არ იცით, საიღვან გაჩნდა ჩემი შემწე, ამისთვის უნდა მოგახსენოთ, რომ ერთს ჩემს მეგობარს მეთულუხეებთაგანს, საიღვანაც იყო, გაეგონა ჩემი გაჭირვებული მღვდმარეობა, შამოსულიყო ზალაში და სხვათა შორის დაეჭირა ამასაც ერთი ალაგი, საიღვანაც ძიელ კარგად ხედვიდა ჩემს დატანჯულს სახეს.

თავ-მჯდომარე. — გთხოვთ უმორჩილესად გასწყვიტოთ თქვენი ლაპარაკი და დაიჭიროთ თქვენი ალაგი.

მეთულუხემ ერთი საშინლათ ამოიოხრა და გარდვიდა ფიქრით სხვა-და-სხვა მაღალ საგნებზედ, რომლებზედაც ჩვენ მრავალ-გზით გვექონდა საუბარი.

შემდეგ თავ-მჯდომარე მომიბრუნდა და მითხრა:

თქვენზედ არის უკანასკნელი სიტყვა, რას იტყვით?  
— მე ჩემს თავს დამნაშავეთ არა ვრაცხ, ვუპასუხე მე, რადგანაც ჩემგვარი ტვინი ბევრს ადამიანებს აქვს და არავინ არ უჩივის იმათ. მე რაღა ღმერთი გამიწყრა? მართო მე რათ მიჩივის საზოგადოება?! აქ საზოგადოების საქმე არ არის, როგორც ვხედავ. ეს უფრო ზოგიერთ ბატონების საქმეა. ამიტომ არასოდეს არ დაეთანხმდები, რომ ჩემი თავი შეეწირო იმათ და ჩემს ტვინზედ დავლო საუკუნოდ დუმილი.

— რას ეკითხები დამნაშავეს, ბატონო თავ-მჯდომარე, უეცრივ ერთის ხმით წარმოიძახეს მრთელმა: საზოგადოების წევრებმა; თანახმად ჩვენის თხოვნისა, გთხოვთ უმორჩილესად გაშინჯოთ კანონისამებრ ტვინის აგებულება ამ ბოროტ-მოქმედის კაცისა.

ოხ, ღმერთო, რა სატანჯველი დაადგა ჩემს თავს! არა ვგონებ ჯოჯოხეთში ყოფილიყოს ოდესმე ამ გვარდ

კოცხლის წამება, რაც მე გამოვცადე. თავ-და-პირველათ, თავ-მჯდომარის უკანებნით, ერთმა ზემო მოხსენებულ წარჩინებულ პირთაგანმა, რომელიც ექსპერტათ იყო მოწვეული, დამიწყო რალაც ნაირი მომსხო ნემსებით თავის კანის ჩხვლეტა; შემდეგ ჩაქუჩით რაკუნის დამიწყო და იმდენ ხანს არაკუნებდა, სანამ ერთ ადგილზედ თავის ძვალი არ ჩამიმტვრია. ამ ჩამტვრეულ ადგილში ჩასვა ის წყეული ტერომეტრი და, ნახევარს საათი რომ გავიდა, თავმჯდომარეს მოახსენა თავისი ჰაზრი: „ამ კაცის ტენი, რომელშიაც არავითარი სიცხე და სითბო არ არის, შესდგება სამის ერთი-ერთმანეთზედ დადებული ნაწილებისაგან. პირველ ნაწილში ტენის არაფრითაჲთ უჭდება არა აქვს და მრთლად გამხმარა, მეორე ნაწილში დარჩენილია ცოტა თავისუფალი ჰაზრების ტენი, მესამე ნაწილში კი იმ ნაირი ტენი სდევს, რომ თუ იმან ფესვები გამოიღო, უთუოთ შეარყევს საზოგადოების სიმშვიდეს.

თავ-მჯდომარე. — უფალო ექსპერტო, შეიძლება თუ არა, რომ ყველა ნაწილები ტენისა ამოიღოთ და სტოლზედ დასდვათ მრთელის საზოგადოების შესახედან?

— შეიძლება, როგორ არ შეიძლება.

ვაიმე, დენა, ვაიმე, მამა! რა დღე დამადგა და რა ტანჯვა გამოვცადე! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! არც კი ვიცი რა მოახდინეს ზემმა მტანჯველებმა. მე მაშინ მოვედი გრძნობაში, როდესაც ჩემი ტენი შუშხუნით ამოდიოდა უბედურის ჩემის გოგრიდგან და ერთიანათ დაწლავა ჩემ წინ სტოლზედ. ერთის მხრით, თვალები, რომ დაეხუჭე, მე ტყავი გამოუთქმელ ნეტარებაში, რად-

განაც ჩემ თვეში არ დარჩენილა არც ერთი ნამცეცი ჩემის ტვინისა, ამას გარდა მე უეცრივ დაიკარგე ყოველივე გრძობა მწუხარებისა, ტანჯვისა, სიხარულისა, სიმდიდრისა, სიღარიბისა და უმეტეს მიხაროდა, რომ არავითარი ფიქრი სოფლიური ცხოვრებისა არ ამძიმებდა და არ აშფოთებდა ჩემს უბედურს თავს; მაგრამ, მეორეს მხრით, როდესაც რომ ჩემის თვალებით დაეინახე სტოლზედ საკუთარი, სიყრმიდგან ჩემი საკუთარი ტვინი, მაშინ ტანმა დამიწყო თრთოლა და თვალებმა საშინელი ცრემლების ღვრა. გონება დადუმებული იყო, მაგრამ ცხადად ვგრძობდი, რომ სულ უტეინოდ არ შეიძლება ცხოვრება ამ წუთის სოფელში. ამის შემდეგ თავ-მჯდომარემ ცოტა მოილაპარაკა წევრებთან და გამოაცხადა შემდეგი განჩინება: რადგანაც დამტკიცდა დამნაშავეს ტვინის ბოროტ-მოქმედება, ამისთვის ამ ტვინს აღეკრძალოს ყოველივე მსჯელობა. რაიცა შეეხება ცარიელს მის ბუდესა, ის უნდა აიძოს ძველის ქერითა და დაებრუნოს თავის პატრონსა.

ოჰ, ღმერთო! გამომეღვიძა, მაგრამ ვაი ამ გამოღვიძებას. მე ვგრძობდი მთლად თავის სიცარიელეს და ვფიქრობდი, წეტა რა დამემართა მეთქი. თუმცაღა ძიელ ვცდილობდი, რომ თავი სწორეთ დამეჭირა, მაგრამ როგორღა დავიჭერდი, როდესაც თავში ქერის მეტი აღარა-იყო რა. უკანასკნელს სასო-წარკვეთილებაში შევედი და სირცხვილით არ ვიცოდი საით გადავარდნილ-ვიყავი, აბა, რომელ ადამიანთან ძიესულვიყავი და რა უნდა მელაპარაკნა? ერთის სიტყვით, საჭირო იყო, რომ ან უნდა მომეძებნა ჩემი საკუთარი ტვინი და მეთხოვა თავის ალაგი დაეჭირა, ან უნდა მომეხოვა სყიდვით გამოცდილი და

მრთელი ტვინი, ან თუ არა და ქერის მაგივრად სხვა რა-  
მე მძიმე საგნით ამემსო ტვინის ბუდე, რომ თავი არ  
იხრებოდეს მსგავსად ძუძუ-მწოვარის ყმაწვილის თავისა.  
გამოვევარდი უეცრივ ბინიდგან დალონებული და შევევარ-  
დი ერთ „გოსტინნიცაში“ (სასტუმროში). რაკი ვნახე გოს-  
ტინნიცის პატრონი და მრავალნი უცხო პირნი, რომელიც  
გართულნი იყვნენ ბაასში სხვა-და-სხვა ევროპიულ საქმე-  
ებზედ, თითქო გიჟმა; ხმა-მაღლად დავიყვირე: „თქვენი  
ჭირიმიე, მითხარით, გაქვთ თუ არა თქვენ ტვინი“? ამ გვა-  
რი მოულოდნელი კითხვით შეკრთენ ყველანი და თავ-  
დაპირველად საშინელი მრისხანე სახით დამიწყეს ცქერა,  
მაგრამ შემდეგ ჩუმ-ჩუმათ თავში დაიწყეს რაკუნნი და ჰკით-  
ხავდნენ ერთმანეთსა: „შიჯო, მართლა არის თუ არა ტვი-  
ნი ჯვენს თავში“? უნდა მოგახსენოთ, გოსტინნიცის პატ-  
რონი ძიელ ჭკვიანათ მამექცა.

— თუ ვნებაეთ, ჩემო ბატონო, მე შემძლიან ჩემის  
„გოსტინნიციდგან“ მოფართვათ სხვა-და-სხვა სორტის ტვი-  
ნები.

— აბა, გენაცვა, მითხარ, რა-და-რა ტვინი გექნება?

— მე მაქვს ხარის ტვინი, ხბოსი, ქათმისა, იხვის და  
სხვა-და-სხვა შინაური პირუტყვების და შინაური ფრინე-  
ლებისა. შემძლიან მხეცების ტვინიც ვაშოვნო.

— მაშ, როგორ ყიდი თითო პორციას?

— ერთი პორცია ჯირველის სორტის ტვინისა იწყიდება  
25 მანეთათ, მეორე სორტის პორცია თუშნათ; სხვა კი  
თითო მანეთათ; მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ,  
თუმც ადამიანი დაიწყებს ჭამას ერთი იმათგანის ტვინისას,  
უთუოდ რამოდენიმე დროს შემდეგ შეატყობს უმჯობე-

სობას თავის ტვინისას და ცუდ ნაწილები ტვინისა შვი-  
იცვლებიან ძრიელ-მშვენიერი მოსული და სუნნელრანტ  
კაცობრივი ტვინითა.

მე, თუმცაღა დიდგაკვირვებაში ჩავეარდი, როგორ  
თუ ქათმის, ან (ჩხვის, გონდ) ხბოს ტვინის ხმარებით  
შეიძლება დაბრუნება აღამიანის ტვინისა, მაგრამ უბე-  
დურებაში რომ ჩავეარდება კაცი ყოველს საშუალებას  
ხმარობს თავის დასახსნელად. ამის გამო მე დავიწყე  
ხარის ტვინის ჭამა და ისე ერთგულათ გიხსნებოდით,  
რომ, ვგონებ, დღეში ორმოცო გირვანჯა არ მფოფნი-  
და. ტყუილი არ არის რომ სამობენ: „ვაისუ ვავეყა-  
რე და ვუის შევეყარეო, სომხის ხოლერას მოვცილ-  
დი და ურიების ჭირში ჩავეარდი“. მეც ისე მომივიდა. რა  
ღმერთი გამიწყრა, რა საშინელება დამადგა, როდესაც  
ვიგრძენი, რომ თან-და-თან ხარად ვიქცეოდი. ამას კიდევ  
გაუძლებდი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩემი ყოველივე  
მსჯელობა, რაც უნდა საგანი ამელო, ხარის მსჯელობას  
ემსგავსებოდა.

გაწვთავე, როგორც იყო, უკანასკნელი პორცია ხა-  
რის ტვინისა და ცრემლით მივეარდი „გოსტინნიცის“ პატ-  
რონის მეუღლესთან.

— ქრისტინა, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ, ანა მიცქი-  
რეთ, რას დავემსგავსე, ნუ თუ ერთიანათ ხარათ გავხდი,  
ისევე სჯობდა, რომ ჩემ თავში ქერი-ყოფილიყო და ხარათ  
კი არ გადაექცეულიყავო.

— ნუ სწუხართ, ზემო-მეირფასო ძალო, ამომცა პასუ-  
ხათ კალპით დახატულმა დედა-კაცმა, ნუ მისცემთ თავსა  
სასო-წარკვეთილებას, გადაგანაც თქვენს თანამთავი ეხლო.

ბევრს აღამიანს აქვს. ჩემის გონებით, უმჯობესია აღამიანს ჰქონდეს თავი ქერით ან ხარის ტვინით საესე, მიწემ იმისთანა თავი, რომელსაც ძიელ ცუდი სუნი უდის. აბა რათ გინდა იმისთანა ტვინი, რომელიც მუდამ მართალს ლაპარაკობს, სხვის ბოროტ-მოქმედებას ამხილებს და ჰფიქრობს ქვეყნის ბედნიერებაზედ. ოხ, ძმაო, ამ გვარი ტვინი ყველასა სძულს და გირჩევთ დარჩეთ მაგ გვარ მდგომარეობაში. აბა რას იზამთ, ჩვენი საუკუნე ესე არის, რომ წმინდა ტვინი ყველასა სძულს. აი ამიტომაც უბედურნი არიან ამ დროში ნამდვილის ტვინის პატრონნი; ბედნიერება ან უტვინოს აქვს და ან ცხოველის ტვინის პატრონს კაცს. თუ გინდა ბედნიერი იყო, ეგ ხარის ტვინი გერჩიოს შენს ძველს ტვინს.

— მართალია, თქვენ დაგენაცვლეთ, მაგრამ, დიდათ სამძიმოთ მირჩება, რომ ამ გვარი ტვინის პატრონი გავხდეთ. პირუტყვობას ისევ სიკვდილი სჯობს, ჩემის აზრით...

რა უნდა მექნა ამის შედეგ? ესთქვი, წავალ სადმე, გადავიკარგები მეთქი, და ამიტომ სხვა ქვეყანაში გადასახლება ვარჩიე, ეგებ, ვინ იცის, ჩემს უბედურს ტვინს სადმე თვალი მოგვკრა მეთქი.

ერთ დღეს ვიყიდე ბილეთი და გავემგზავრე რკინის გზით. გზაზედ ხშირად მკითხავდნენ: „საიღვან, საით და რისთვის მიბრძანდებიო?“ მაგრამ, ყველა კითხვებისათვის ერთი პასუხი მქონდა მზათ: „მივდივარ ტვინის საძებნელათ“. გაკვირვებით მიცქეროდნენ ყველა მგზავრები და მეორე-ჯერ აღარ მკითხავდნენ, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ მე უთუოდ გიყვების წრეში შევსულვარ. გზაზედ ყოველი მოგზაური ბევრს რამესა ხედავს, ბევრი რამე აღ-

რავენ მის ფიქრებსა და, ვინ იცის, რა და რას შეხვდება, და ან რა-და-რას გამოცდის; მაგრამ მე, რადგანაც უტვინო გახლდით, არავითარ გარეგან საფანს არ ჰქონდა ჩემზედ განვლენა, ვიჯექ წყნარათ თვალ-გაჭყეტილი, თითქო წინ საფლავი მიძევს მეთქი.

უეცრივ, ერთ სტანციაში რომ გიახელით, თვალი მოვაფლევ, რომ შესრებზედ მრავალი სხვა-და-სხვა ნაირი ტვინები ჰკილია. ოხ, სიხარულო! არ ვიცოდი, რა მექნა, მეტის-მეტი ნეტარებით გულმა ცახცახი დამიწყო, მე ვსთქვი, ვინ იცის, ეგებ ღმერთმა მომხედოს და იმ ტვინებში ჩემიც ერიოს მეთქი.

ვაიმე, დედავ! მიველ, ძიელ ერთგულათ გარდავათვალე რე, მაგრამ ჩემი ტვინი ვერ ვიზოვნე. ერთი ის გამოიკირდა, რომ ყველა ჩამოკიდებული ტვინები ბუტბუტობდნენ: მე ვარ მავნე, შენ ხარ ქურდი, ის არის წარმართი, ჩვენ ვართ მოქრთამენი, თქვენ ხართ ადამიანის მოღალატენი, იგინი არიან ეშმაკის მოციქულები და ყველანი, ჩვენ, ერთათ ვართ ღვთის რისხვა, ქვეყნის მატლი. ცოტა ხანს დაუგდე ყური ბუტ-ბუტს და შემდეგ წივილ-კივილით შეეგარდი ვაგონში და ვსთქვი: «ღმერთო! გმადლობ, რომ ჩემ თავში ხარის ტვინია მეთქი». მეოთხე თუ მეხუთე სტანციაზედ უმეტესი გასაკვირველი საქმე დაინახე. ერთს ვინმეს ეჭირა მრავალი ადამიანების თავები. ამ თავებს ამტვრევდა და ტვინს ასხამდა ერთს ღრმა თეფშზედ. ჩემ კითხვაზედ, ამან პასუხად მომცა შემდეგი:

— მე მინდა, ძვირ-ფასო ძმაო, გამოვიცნო, რომელ ტვინს აქვს სამოთხეში ალავი და რომელს ჯოჯოხეთში.

ამ გვარი შემთხვევა მე უამბე ერთს ექიმს და შითხრა, რომ ძიელ ავათ-მყოფი ხარო და არა წამალი არ გეხმარება, ცოლის შერთვის მეტო. ძალიან გამიკვირდა, თუ უტვინო კაცს რისთვის აძლევენ ნებას ცოლის შერთვისას. მაგრამ საწყალის ჩემის დაკარგულის ტვინის მოსაპოვებლად, ავდექ და ერთ გასათხოვარს ქალს ვსთხოვე ცოლათ წაშომყოლოდა. მე მეგონა, რომ უტვინო კაცს არაეინ არ წაყვება ცოლათ, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურადღებაში მიიღეს და მითხრეს წინ-და-წინ ჯვრის წერა უნდაო.

მოგეცა ღვლის წყალობა, ჩემო მკითხველო, ძიელ ლამაზათ მოვრთე ჩემი თავი და უცნობ კაცს ეგონა ჩემი თავი შართლა ტვინიანი იყო, მაგრამ სად იყო ჩემი ტვინი, ვინ იცის! მღვდელმა ნახევრამდისინ გაათავა ჯვრის წერა. ამ ღროს როგორღაც ვიგრძენი ტანის თრთოლა; მე მეგონა, რომ ღრმა ძილისაგან გამომეღვიძა. ოხ, ნეტარებაე! ვინ დავინახე? ვითხრათ, მკითხველნო, ვინ დავინახე? დავინახე ჩემი საწყალი ტვინი! დაუწყე კრემლით თხოვნა, მუხლ-მოდრეკით თხოვნა, რომ ისევ თავის ბუდეში დაბრუნებულიყო, მაგრამ ვაი იმ თხოვნას. ჩემი ტვინი თან-და-თან მალლა ავიდა და უეცრივ სადღაც გადაიკარგა. გათავდა ჩვენი ჯვრის წერა. მოგვილოცეს ყველამ, მაგრამ მე ვიდექი თითქო დარეტიანებული. ამ ღროს ისევ უეცრივ მომესმა ხმა ჩემის ტვინისა:

— მეც მომილოცავს შენი გაბედნიერება, ჩემო საწყალო ბუდეე! მოგილოცავ მისთვის, რომ დასასრულს ჭკუაზედ მოეგე და მეორე უგუნურება შეასრულე.

— როგორ თუ უგუნურება?! წარმოიძახა ერთიანათ საყდარში მყოფმა ხალხმა.

— აბა, თქვენ რა იცით, უტვინოებო, უპასუხა ჩემმა ტვინმა, ცოლის შერთვა ჭკუათ მიგაჩნიათ?!... ადამიანის ცხოვრებაში სამი დიდი უგუნურება არის: პირველი—დაბადება, მეორე—ცოლის-შერთვა და მესამე—სიკვდილი. ჩემმა ერთგულმა ბუდემ ორი უგუნურება კი შეასრულა და მესამეს როდესაც შეასრულებს, მაშინ უთუოდ დაებრუნდება და ჩემ ბუდეში შევალ მისაცემათ საიქიოს ცხოვრების ანგარიშებისა.

ამ სიტყვებმა ყველას გული დაუხურეს, მე კი ერთიანათ წელი მომწყვიტეს, პირ-დაღებული გამოვედი საყდარიდან და ერთი მწარეთ დავიყვირე:

‘ღედა-ჩემო, ღედა-ჩემო, გესმის თუ არა ჩემი ტანჯვა?!’

— მოველ ჩემ ბინაზედ და მღულარის ცრემლით ჩემი ლოგინი ავამსე.

შემდეგი ჩემი მოგზაურობა უფრო საინტერესო იყო. იმაზედ საკვლავად მოგელაპარაკებით, ჩემო პატეცეპულო მკითხველო.

კ—ნე მაჭავარიანი.

10 ოკტომბერს 1881 წელსა

ქ. სოხუმი.

## მოზაირისაღმი.

ოდეს ბულბული ჭიკჭიკობს, ჰგალობს  
და სიყვარულით ვარდს დასტრფიალობს,  
მაშინ არ ჰგონებს, ვინ ვისთვის რას ხმობს,  
მისთვის ერთია, ვინც კრტინავს, ამკობს.

---

ბუნებამ იგი წარმოაჩინა,  
გალობის არეს მშვენიერ მთქმელად,  
უმანკოდ, ჩჩვილად, უუწმინდესად,  
მოჭიკჭიკეთა შორის ნათელად

---

არა რად ჰგამა მას სულ-ანთებულს  
ლამე ბნელი და ტურათ ძახილი;  
მას სჭვრეტს მთოვარე და ვარსკვლავები,  
შუქი ევლება ნათელ დაბწნილი;

---

ჰგალობს, ჭიკჭიკობს, ჰყივის, იძახის,  
ჰფეთქს, კენესს, ტრიალებს თვისის ჰანგებით;  
მაშინ დუმილებს ყოველი ცხოველი  
და მას შეეტრფინ ღეთისა განგებით.

---

ჩემო პოეტო, მაღლა მხმობელო!  
თუ ხარ ბუნებით დიდ მგალობელი,

რას დაეძებ შენ, ვინც რაც იუბნოს?  
შენ შენი ჰქმენი, შენსას მოელი.

---

ნუ დასდევ, რაც სთქვან ანუ გასაჯონ,  
ან რაც შენიშნონ შენსა ვალობას!  
თუმც სწორედ ჰქალობ და ბულბულები სტვენ,  
ვინ გაწყენინებს, ძამა-შვილობას!

კოლხიდელი.

---

## გ ლ ე ხ ი .

ოხ, გლახო კაცო, შენი საქმე გამკვირვებია!

. . . . .



შენა სწუხარ და შენა მხნეობ, ხარ ოფლის მღვრელი,  
მაგრამ ამით-კი შენს სიცოცხლეს ვერასა შევლი.  
სხვისთვისა შრომობ, შენი ღვაწლი სხვაზედა შიღის,  
მაგრამ შენ თითონ სიღარიბით სული ამოგდის.

. . . . .



შენა ჰყოფილხარ მეომარი მტერთან ბრძოლაში,  
მაგრამ ამაღი შენი ჩვენთვის არ არს ხსომაში.  
შენი მარჯვენით, მამაცობით სხვანი სტკბებოდნენ

. . . . .



შენ მაინც რამ სთქვი გლახის ბედზედ, რკინის კალამო!  
და მოუბოვე მას, უბედურსა, გულის მალამო,  
რა-კი არ-ვინ არს, რომ იმისთვის ცოტას ზრუნავდეს  
და ნამდვილად ცოტათ მაინც გული სტკიოდეს.  
არავინ არის, რომ ცხოვრება გაუადვილოს

და იოტი თვისის ღონისა მისთვის შესწიროს;  
თუ რომ იყოს, ეს ხომ ასე არ იქნებოდა  
და გლეხის გული ერთხელ მაინც დამშვიდდებოდა...

აღ. შირიანაშვილი.

---

\* \*  
\* \*

რათ ჰქუხავ ეგრე ამაყათ?!  
ნუ თუ ჰფიქრობ შემაშინო  
და ამ ტანჯვა ვაებაში  
სამუდამოთ დამარჩინო?!

---

გულ-ღია, ძონძით მოსილი  
მამუშავო, შენ კი მცინო,  
მერმე ჩემი ნამუშავერით  
ისარგებლო და ილხინო?!

---

არა!... შეგიტყე მელობა,  
თუმცა კი გვიანლა არის.  
ნულარ ჰქუხავ ამაყათა—  
მომავალი ახლო არის!

---

დაანგრეეს ამაყთა სადგურს  
და აღმართავს იგი დროშას,  
ზედაცა ასე წააწერს:  
«გაუმარჯიას საწყალ მუშას»!

დ. ანტონიძე.

---

## ბატონი და შარავში.

(ნამდვილი ამბავი იმერეთის წარსული ცხოვრებიდან).

აგერ მახლობლად, ჩვენ კარგათ გეახსოვს, იყო მონება დამამხობელი, როდესაც მრავალ-ჯერ ძმას ძმა უტანჯავს... ამ დროს მე ვიყავი თუთხმეტის წლისა, — თვითონ მხილველი ვარ იმ ამბისა, რომელიც მსურს გარდაეცე «იმედის» მკითხველებს.

შავი ზღვის პირას, აღმოსავლეთით ორმოც ვერსზედ არის სოფელი, რომელშიაც მე აღვიზარდე. ვიყავი ლარიბის, მაგრამ უდარდელის შვილი. რით იყვნენ ლარიბნი უდარდელნიო — ამას უეჭველათ დამეკითხებოდა აი რითა. ჩვენ არ ვიყავით ბატონის ყმანი, არ გვეშინოდა ჩვენ უწყალო ტანჯვისა და მარჯვეთ გექონდა უცემრობის გამო ყბები. მხოლოდ მეზობლებისაგან ხშირათ გვესმოდა კნესა და წყევლა ბატონისადმი. მრავალ-ჯერ საქმე კნესითაც არ თავდებოდა ხოლმე, ხშირად ხდებოდა, რომ მკვლელი ბატონი მისი მონის უსულო სხეულს თავს სდგომოდეს და ზიზლით ეცქიროს, თითქო მას მოეკლას ნადირი... მკვდრის დედ-მამას ანუ წერილ-შვილებს ხომ არ შეეძლოთ, რომ მოეტყრათ თავიანთი

მკვლარი. ბატონისაგან შიშით გამკრთალებს ცრემლის უღაპვეთ უნდა ეთმინათ ყოველივე ამ-გვარი განსაცდელი, მისგან მიყენებული. აი სწორეთ ამ დროს შევესწარი მე იმ ამბავს, რომელის მოხსენებაც მსურს. დიდი არა-არის რა ჩემი ამბავი და არც ისეთია, რომ ამის-მზგავსი თქვენ არ გსმენოდესთ, მაგრამ, რადგანაც ღრთა-ბრუნ-ვით ამ გვარი განსაცდელი მოგვესპო, შესაძლო არას რომ წარსული ჭირი დაგავიწყდათ; ამისათვის მე მსურს მოგაგონოთ ის ღრო, ის უწყალო და ის საგმობელი ღრო, რათა..... ერთი ამ გვრად უმღრთო ბატონი, . . . . . ბატონობდა ჩვენს მეზობლებში და თავის მონების ცემით და ტყეპით განცხრებოდა მუდამ სოფელში.

ერთხელ ამ ბატონმა შეჰყარა შინა ბიჭები და უბძანა—მე წამომყევით, რაზედაც გინიშნოთ სულ დაიტაცეთ, ვიზედაც გითითოთ უსულოთ ხდევით. თუ ეს ბძანება ვერ ამისრულეთ, თქვენი პატივი თავზედ დამდევით, თუ ამაზედ უარესი თქვენ არ დაგმართოთო. შევიდნენ ბატონი და მის ბიჭები იმ უბედურ სოფელში, რომელიც მხოლოდ ქალ-ბაღნით იყო მოცული.

— აბა, ბიჭებო, უბრძანა ბატონმა, შედით მაგ სახლში, მიუთითა ერთზედ, და, რაც ჰქონდეს გლენს, გარე გამო-ზიდეთ, მიტრამ რომ მაგენი არ სცნობენ ბატონს და მე მინდა თავი ვაცნობო. ზევით ღმერთს უწოდებენ უფალს და ქვევით ბატონს, და მაგენმაც მასთვ სცნონ, რომ მე ვარ შაკათი ღმერთიც და ბატონიც. იმის მუქარობის გაგრძელებაში ბიჭებს გამოაქვს სახლის ნაფაქი. სახლის პატრონმა ქალებმა შექმნეს კვილი, ვაი-ვაფლახი.

— ბატონო, შენი მუხლისა, ნუ დაგვლუბავ, შეცოდება ჩვენი მოგვიტევე და ცოტა რამე ამ ქოხშიდ ჩვენც დაგვიტოვე.

— სუ, სუ, შე მ... აი შენ რას დაგიტოვებ, უთხრა ბატონმა, მიიჭრა ქალთან და ათიოდე მათრახი გადაუჭირა.

— აი ესეც გეყოფა შენ ბატონის წყალობათ. გასწით, ბიჭებო, ახლა მანდ მიდით მეორე სახლშიდ — გოგინასას; თუ შინ იყოს სცემეთ, შეკარით და ოჯახი მისი ძირ-ბუღიანებ მოთხარეთ, თუ არ არის შინ, ბარგი გარე გამოზიდეთ და ქოხი თავზე გადააწიეთ. მაშინ კი იცნობს მის დიდებულს ბატონს, მის გ. პივიდენენ ბიჭები, შევიდნენ სახლში, ნახეს, რომ არაინ არ არის, მხოლოდ ერთად ერთი დაერდომილი ბებერი წევს ლოგინზედ, მობრუნდა ერთი მათგანი— ფარეში და უთხრა ბატონს:

— ბატონო, სახლშიდ არაინ არ არის ერთი მოხუცის მეტი, შეიწყალე, ბატონო, მისი დაერდომილება და აპატივე მას ეს ქოხი.

— რაო? რაო? რაო? ვის უბედავ შე მ... მოიყარე მუხლი, დაეცი მიწას და აქ, ბატონის წინ ერთი მუჭა მიწა შესჭამე, თორემ... ეს არის აღსასრული შენი მოგადგა კარზე, დაეც მალე, დაეც! და ორი მათრახი გადააყოლა.

— აი სიბრალული გლეხი კაცისა, თქვე მ... თქვე კანის შთამომავლობაე. სჭამე მიწა! ბიჭი სჭამს მიწას.

— ადექ აწი, წადი და შენი ხელით გამოიყვანე ის დაერდომილი, აი იქ დააგდე— ხის ძირას და მერე შენ თვი-

თონ წაუკიდევ იმ სახლს ცეცხლი, გასწი მალე! ორიოდე მათრახი კიდევ გადაუჭირა და გაამგზავრა. შევიდა ბიჭი, აიკიდა ზურგზედ ბებერი, გამოიყვანა და დასდო ხის ძირს. შემდეგ სახლს მოსდო ცეცხლი. საცოდავი სანახავი იყო ის მოხუცი და მისი ზინზილი, სოფელში კიდევ დედა-კაცების კივილ-ჩხივილი. ბატონი იჯდა მომალლოთ სკამზედ და იცინოდა, თითქო ქორწილის ლხინს შესწრებიყო.

— აბა, ბიჭებო, უთხრა ბოლოს, აახვიეთ ბარგი და ახლა კი შინ გავემგზავროთ, დღეს ჩვენ სანადიროს არ ვართ მომცდარი. ძლიერებაჲ ჩემმა მეორე ჯერაც მოგვეცეს ასეთე უმცდარი საქმე.

გესმის, გულ-მოწყალეო! მიდი შენ მოხუცთან, უთხრა იმ ფარეშს, რომელიც წელიან აბრალეებდა დაერდომილს, და უთხარი, როდესაც მობრძანდეს მისი ვაჟი, უთხრას ჩემთან მოვიდეს; რამდენ დღეს მემალება მე ის, მე არ ვეგონო ისეთი ბატონი, ზოგიერთი ბატონები რომ არიან, სამართალი ხელთ მიპყრია, ზღვაშიდ შევა—შიგა შევსდევ, ხმელეთზედ ხომ ვერ დამემალვის. მიბრუნდა ფარეში და გარდასცა დაერდომილ ბებერს ბატონის ბრძანება. ფარეშმა რომ დაინახა ბებერი ცხარე ცრემლით მომტირალი, იმასაც გული აუჩვილდა და ტირილი დაიწყო, მაგრამ რას უშველიდა. გამობრუნდა გულ-ამომჯდარი და, ბატონს რომ დაეწია, ამოიხოცა თვალი. მოხედა ბატონმა და უთხრა: გიტირნია შენ, გეცოდება განა ისინი, ვისაც შენი ბატონი ურისხდება?! მაშ სატირელად მე შენ თვითონ შენ თავს გაგებდი და მაშინ ენახოთ ვინ დაგეხმარება... ამ ლაპარაკში, ცხენოსნები ბატონის ეზოში შევიდნენ,—ბატონი ცხენიდან გარდმობრძანდა და ცხენ-

ნი ჩამოართვეს, თითონ შებრძანდა ოთახში, — წინ ცო-  
ლი მოეგება. —

— შუა-დღე მშვიდობისა, ჩემო სიცოცხლეო, — რამ მო-  
ჯაწყინა?! რალაც ჭმუნვას გატყობ სახეზე, სოფელშიდ  
გლენებმა ურიგო რამ ხომ არ შეგკადრეს?! არა, ჩემო  
მშვენიერო, სოფელშიდ ვინ რას გამიბედავდა. სოფელში  
კი-არა, ჩემმა შინაყმამ დღეს ორჯერ ცეცხლზედ მომი-  
ყვანა. აბა, მოდი და ნუ მოიკლავ თავს, — სადაც მე, ბა-  
ტონი, უბრძანებ ჩემ ფარეშს, ასთე ქენი ვეთქი — ის გლენ-  
თაფვის გულ-მტკივნეულებას იჩენს, ცრემლით იღვრება  
და ჩემი ბრძანების აღსრულებას ერიდება, — თანაც მის  
მომძე კაენის შეიღებს ჩემთან მოციქულათ უდგება!

— მერმე ამისთანა ჭმუნვით რათ შემოსილ-ხარ, განა  
მათი სიცოცხლე შენ ხელში არ არის? შენ კარგათ იცი  
მაგისთანა მოციქულს რა ეკადრება, რომ მეორემ ველარ  
გაბედოს, დაიბარე ის მონის შთამამავლობა და ნახევარი  
ენა მოსტერი, მერე გულ-მოწყალენი შენს მონებაშიდ  
ალარ ამოჩნდებიან, — ამისთვის გულს რათ იწყლულებ.  
მოდი, ჩემო სიცოცხლეე, ახლა სადილი მიითრვი და მე-  
რმე ჩემ რჩევას შაუდექი, აბა ნახე, თუ მეორეთ გავი-  
ბედონ რამე! —

შუა-დღის ორი საათი იყო, როდესაც სადილი შე-  
მოიტანეს და სუფრას მოუსხდნენ ცოლ-ქმარი, თავს აღ-  
გათ ათიოდე ბიჭი და ემსახურებოდნენ; ცოლი სცდი-  
ლობდა, რომ ქმარი გაემხიარულებინა, მაგრამ ბატონი  
ხმას არ იღებდა, თურმე ცოლის რჩევას მის გულში ბო-  
როტ-მოქმედების ადგილი დაეჭირა და მოუთმენლად

ელოდებოდა სუფრის ვლებას. გაათავა სადილი და ბრძანა ბატონმა:

— აიღეთ სუფრა და ის გულ-მოწყალე აქ შემომგვარეთ! გავიდა ორი ბიჭი, ბატონის ფარეში შემოიყვანეს და წინ წამოაყენეს; წადგა ბატონიც და უთხრა ფარეშს:

— შენ, გულ-კეთილო, როგორ ჰფიქრობ, დღეს ჩემი მოთმინებისაგან გამოყვანა შეგჩრება, თუ არა?

ბატონო, შეგცოდეს და შემცოდეს ღმერთიც მიუტევებს, რა მუქნა, იმ საწყალი ბებერი დავრდომილის ტირილმა გული ამიჩვილა და მეც თქვენი შეცოდება მიტომ კავებდეს.

— ჰა! მესმის, და შენ თითონ აღიარებ, რომ ხარ შემცოდე! აბა ახლა სხვებს აუტირდეს გული მე რომ იმ შენ შემცოდე ენას დაგიშაშხავ; მინდა რომ სულ მოგჭრა, მაგრამ არ გჭრი მიტომ, რომ მსურს, როდესაც მოგირჩება, მაშინ ენახო, კიდევ იქნება შენი ენა შემცოდე, თუ არა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო კალამის დანა და ბიჭებს უბრძანა:

— დაიჭირეთ ყველა... ორმა ბიჭმა მოჰკიდეს ხელი და საწყალი ფარეში გააკავეს, ორმაც დაუკავეს თავი და პირიდან გამოუღეს ენა; გამოწვდილ ენას ბატონმა გადუსოს დანა და შექმნა ზმუილი საწყალმა ფარეშმა, კიდევ დაუსო ორჯერ და ბიჭს დაახოცა ჩოხაზედ სისხლში გასერილი დანა, თანაც დაატანა ბრძანება:

— წადი, წაიღე შენი შემცოდე ენა და ყველას უჩვენე, ვინც შეცოდეს ბატონს — ასთე ემარფებათქო; საწყალი ფარეში გულ-შემოყრბლილ დაეცა იატაკზედ და სიმწარისაგან შექნა ფართხალი.

— ჰაა! დაცინვით უთხრა ბატონმა, რას ხტი, ადექ, გარეთ გაეთრიე, აქ იატაკს ნუ აჭუჭყიანებ! და ორი წიხლიც მიაყოლა გვერდებში. წაიყვანეთ და სამეჯინიბოში დააგდეთ, აქ იფართხალოს რამდენიც უნდა, უთხრა ბოლოს ბიჭებს. მოჰკიდეს ხელი ბიჭებმა და გულ-შელონებული მონა გარეთ გაათრიეს და სამეჯინიბოში დააგდეს ტიტველ ფიცარზედ. ერთმა მათგანმა მოიტანა წყალი, მობანა პირი, მალაშოს ნაცვლად ენაზედ დაადო დაქექილი რთხმელის ფოთოლი და მით სისხლი მოუშრო. როდესაც მოიხედა საწყალმა მსხვერპლმა, მაშინ რამოდენიმე სანუგეშო სიტყვებიც უთხრა:

— ნუ სწუხარ, ძმაო, ამისთანაები ჩვენი ძმებისთვის მრავალ-ჯერ უყვიათ, მაგრამ ღმერთია შემწე, ის არ დააშრობს ჩვენ უბრალო სისხლს და შესაძლოა, ღმერთმა ერთი დღე ჩვენც გაგვინათოს; მე თითონ წავესწარ ჩვენს უმღეთო ბატონს, როდესაც თავის ცოლს ელაპარაკებოდა, რომ საქმე გათავებულაო, ჩვენი ხელიდან ყმები წაგვივლენო, მაგრამ, სანამ ეს აღსრულდებოდეს, მანამდემე ჩემსას ვიზამო. ვგონებ, სულ ამისი დარდი უგმირავს მუცელს და ჩვენზე ჯავრს იყრის. ამ სანუგეშო სიტყვების შენდევ, დასტოვა საწყალი ფარეში, გამოვიდა გარეთ და მისთვის მილაპარაკობდა: ვო, ღმერთო, ღმერთო, როგორ უმზერ შენი ბრწყინვალე თვალებით! რისთვის შეგვქენ, დიდებულო, შენდა სახედ თუ ვიქმნებოდით ჩვენ სხვის მსხვერპლი. შემდეგ შევიდა ბატონთან გულ-შემაკრებელი და მოშორებით დადგა კედელთან. ამ დროს ბატონს ხელი-მეორეთ სუფრა გაეშალა, ორიოდვე სტუმართან შეეკცეოდა და თავის მხეცური მოქმედებით თავს იწონებდა.

ეუბნებოდა სტუმრებს — დღეს მე დაუსერე ენა ჩემს ფარეშს, რომელიც ჩემს სამწერლო ოთახში მემსახურებოდა, და უბრძანე სამეჯინბოშიდ დაგდება.—

ამ ანბაის მომსმენი სტუმრები ბატონს შესცინოდნენ და ეკითხებოდნენ.

— რისთვის ბატონო? რა შეგცოდა იმ ოხრის ჯიშმა, იმ მონის შთამამაელობამ, რაზედ გაგაგულისა? დაასწრო ბატონის მეუღლემ და კითხვაზედ უპასუხა — რას ბრძანებთ, ბატონებო, გლენები სულ გარდაირიენ, ვილაცა ოხერმა დასთესა ჭორი ბატონ-ყმობა აღარ იქნებაო და მონები ახლავე ბატონს აღარ სცნობენ; დღეს ჩემი მეუღლე ისთე გაეგულისებია თავის ფეხის მტვერს, რომ სადილიც არ შერგებია. მერმე მე უთხარი, რას სწუხარ მეთქი, მოიხმე შენი მონა და შენი შემცოდე ენა მოსჭერი მეთქი, მაგრამ მაგი ისეთი გულჩხვილი კაცია, რომ ეს ვერ შეასრულა. მე რომ ეყოფილევყავი—სულ წავსჭრიდი ენას და გულჩხვილობას სხვებს არ უჩვენებდი. სტუმრებმაც დასძინეს ამას „ამინ“ და სადღეგრძელო ბატონებისა განაგრძეღეს.

მეორე დღეს ბატონი თავის მეუღლით სადღაც გაემგზავრა და სასახლეში დარჩნენ მარტო მსახურნი. შევიდნენ ესენი რჩევაში, თუ რა უყონ საწყალ ენა დაჭრილს და ერთმა სთქვა:

— მე ვიცი ერთი ექიმი იმ ფარეშის სახლის მახლობლათ, წავიყვანოთ თავის სახლში, მოვეგერი იმ ექიმს და ას უშველის. ყველა დათანხმდნენ, ფარეში სახლში მიიყვანეს და ექიმიც თავზე დააყენეს. ექიმმა დაუწყო წამლობა, ორი კვირის განმავლობაში ენა მოუჯობინდა. განვლო

სამმა კვირამ და მობრძანდნენ ბატონებიც. მოსვლისათ-  
ნავე მზიკითხა ბატონმა ფარეში და მისი ენა დაცინვით,  
როგორ მშვიდობით ბრძანდებაო. რასაკვირველია, და-  
მალევს ვერ გაუბედადნენ და მოახსენეს სახლშიდ გეახ-  
ლათ და იქ აქიმობნენო. ანთო ბატონი და უბრძანა ერთს  
მსახურს: —

— წადი, ამ საათში ის მ... აქ მომგეარე! ერთი საა-  
თის შემდეგ მოიყვანეს საწყალი ფარეში წმინდა სამთე-  
ლიერო გაყვითლებული. ბატონი იჯდა კაპიტის ხის ქვეშ  
საჩრდილებელად და მოგროძო ყალიონს ეწეოდა. მოსვლი-  
სათანავე საწყალი ფარეში დაეცა მიწას და ბატონს თაყ-  
ვანი სცა, შეხედა ბატონმა და უთხრა:

— შენ ვინ მოგცა ნება შინ წასვლისა და ან როგორ  
გაბედუ შენ ჩემი სახლის მოშორება? შენ დაგიჭერ ენა  
მიტომ, რომ, შემცოდა და ახლა დაგიჭრი ფეხებს მიტომ,  
რომ ფეხებზე არიან შემცოდე, ან სულ მოგკლავ და შენის  
წყენისაგან გარდაერჩები. წადი ახლავე, მიდი მღვდელთან  
და უთხარი, რომ მე შენ სიკვდილს გპირდები და მან სა-  
იღუმლო მოგცეს, მე არ მინდა ჩემს ეზოშიდ უზიარებე-  
ლო კაცი მოკედეს. გასწი ახლავე, გასწი, გესმის?! მობ-  
რუნდა საწყალი ფარეში და მოძღვარს მიმართა. სალამო  
იყო, როდესაც მღვდლის ეზოში შევიდა ფარეში და იკით-  
ხა:

— სულიერო მამა შინ ბრძანდება?

— არა, საყდარზედ არის სალოცავედ და აღრე მობრ-  
ძანდებაო, უთხრა ერთმა პატარა მღვდლის შეილმა. ეზო-  
ში იდგა სკამი, რომელზედაც საწყალი ფარეში დაჯდა და  
მღვდელს ცდა დაუწყო. ამ დროს ეზოში იყრიდნენ თავს

სხვადასხვა პირუტყვნის, მზე თავის სხივით დასაველეთისკენ მბეზურებოდა; ქათმები ხეზედ ფრინდებოდნენ და ლამის მოსასვენებლად ადგილს იჭერდნენ, ბოვშები ეზოში თავისუფლად დახტოდნენ, ახლო, მახლო წვრილ-წვრილი ჩიტები ჟლიოდნენ, — ერთი სიტყვით ყოველი ცხოველი ამ ღრეში თავისუფლობას გრძნობდა, მხოლოდ საწყალი ფარეში იყო თავ-დაღუნული და თავის ბედს შესცქეროდა და აიხედა მაღლა და სთქვა:

— დიდ არს, უფალო ღმერთო, ქმნილება შენი და მიუწლომელ სახელი შენი! აქ, რასაც ვხედავ მე, ყოველივე გრძნობს თავისუფლებას, მხოლოდ მე ერთი ვარ ბატონისაგან ვულ-დაჩაგრული. ამ ღრმა ფიქრმა საწყალი მონა შორს გაიტაცა და მას გონება შეექნა უგრძნო. ამდროს მას მღვდელიც თავს წარმოადგა და უთხრა:

— საღამო მშვიდობისა, სულიერო შეილო! ბიჭი შეკრთა უეცრად და ფეხზე დადგა, მერმე მოხარა თავი, შენდობა სთხოვა და ხელზედ აკოცა; მღვდელმა გარდასახა ჯვარის-სახე და უთხრა, ღმერთმა შეგინდოს, შეილო! ვინ ხარ, შეილო? ან ვის დაეძებ?

— შე, მე, მოძღვარო სულიერო, თქვენთან ვიახელით, მინდა, რომ, უკანასკნელის დღის სანუგეშოთ, თქვენ მიბოძოთ მე საიდუმლო, ბატონი მპირდება მე სიკვდილსა, მღვდელმა მწარეთ გაიღიმა და უთხრა:

— რას ამბობ, შეილო, შენ საიდუმლოს მისაღები რა გიჭირს? რამ შეგაშინა? ბატონი თუ გიწყრება, რა უყოთ მერმე, ეცადე, შეილო, ერთგულათ სამსახურს, რომ ბატონის გული მოიგო.

— არა, ბატონო, მე ის არ მაკოცებებს. მოწმედ ამი-

სა, რომ დაგაჯერო, აი თან მაქვს მე ჩემი ენა, გამოყოფენა და მღვდელს უჩვენა. შეკრთა მღვდელი და ჰკითხა.

— ეს რა ანბავია, ეს საშიში შენ ვინ მოგაყენა? მონამ დაიწყო ტირილი და უთხრა:

— ბატონმა, მამაო, ბატონმა! გთხოვ საიდუმლოს ნუ დამიკავებ, თვარა მომკლავს ისთე, რომ საიდუმლოს ღირსიც აღარ გავხდები. მღვდელი არ დაყვა მაინც ნებას.

— წადი, შეილო, ღმერთია მხსნელი, ბატონმა მხოლოდ შენ შევაშინა და მაგ ტანჯვასაც ის შენ გაკმარებს, წადი, გიშველის ღმერთი მაღალი, მხოლოდ იყავ მხნე და შორს არ არის ბედი მომავალი, რითიც იხსნება ერი მრავალი ტირილისაგან. მონა შინ გამობრუნდა და მღვდელი იქ დარჩა დაფიქრებული. მიბრუნდა ფარეში ბატონის სახლში და თავ-დაღუნული წინ წაუდგა. ამ დროს ბატონი ეზოში მიმინოს წვრთნიდა და დედლის ხორცს ფრინველს აჭმევდა; მიხედა ბატონმა მონას და ჰკითხა— რა ჰქენი, ბიჭო, საიდუმლო მიიღე თუ არაო?

— არა, ბატონო, ზინზილით მოჰყვა, მოძღვარმა არ დამიჯერა, ბატონი გაპატიებსო— ასთე მიბრძანა.

— დიახ, შენმა სიცოცხლემ, მეტი საქმე არა მაქვს, შენ და შენს ფინთ ენას შეგაჩერდებით, ენის დასერვა თუ არ გეკმარა, ახლა დაგისერავ ფეხებს და მაშინ კიდევ გიჯერებს. ბიჭებო, დასციტ ეგ ენა ფინთი, გააძრეთ ფეხსაცმელი და სამ-სამათ ფეხი დაუჭერიტ! ორ მინუტს უკან ბატონის ბძანება შესრულებული იყო.

— ახლა წადი და მღვდელს ფეხი უჩვენე, საიდუმლოს მოგცემს და მერე აქ მობრძანდი. ადგა საწყალი, სისხლ გამშრალი და ბარბაცით მღვდელთან წავიდა. მღვდლის

ეზოში დილით შევიდა და კიდევ იქ იმავე სკამზედ დაჯდა, რომელზედაც გუშინ იჯდა; მივიდა მოხუცებული ქალი და ჰკითხა, ვინ გინდა შეილოვო?

— მე მინდა მოძღვარი; უპასუხა ბედკრულმა:

— მოძღვარი შინ არ ბრძანდება, სატირაღს წავიდა და არც მობრძანდება დღეს. ფარეშმა შექნა ტირილი.

— ოჰ, ოჰ, დიდო ღმერთო! ასთე რათ გამწირე, რომე სიკვდილის დროს საიდუმლოს ღირსიც აღარ გამხადე.

ადგა, გამოეთხოვა მასპინძელს ქალს და სახლში წავიდა. მივიდა სახლში და საწყალმა დედას შეორე ახალი დარდი შესტირა და უთხრა:

— მშვიდობით, დედავ, შეიძლება მე ცოცხალი ველარც კი მნახო და ერთი შენი ძუძუ, ჩემი გამზრდელი, მიბოძე—მას გამოვეთხოვო. ზირველად მე მას მივეკარე და უკანასკნელად მინდა ვაკოცო. შექნეს ორთავემ ტირილი, მოთქმა და ვაი-ვაგლახი; დედას ძუძუები დაუკოცნა, გამოეთხოვა მას და სალამო ქამზედ ბატონის ეზოში შევიდა. ბალკონზედ მალლა იჯდა ბატონი და ყალიონს ეწეოდა. შეხედა მონას, რომელიც მოცანგალობდა და სიმწუხარით მოიჯლანებოდა.

— ჰაა, მობრძანდი განა! შესძახა ბატონმა.

— ამოდენა ხანს რათ დაიგვიანე? მრმილჰცაგვ ეხლა შენი საიდუმლო, ეხლა შენ გზწმენდილი ხარ ცოდვებისაგან, აი ასთე სჯობს—საიქიოს წმინდად გისტუმრებ. მობრძანდი აქა, აი ის ტამბაჩა მომართვი, მე შენ გამხეჩრიებ და ისე გავაძსებ, ზომ დაიჯერო, თუ მე არ გეხუმრები და შენი სიკვდილი გულით მაქვს გარდაწყვეტილი.

მომართვა ფარეშმა ტამბაჩა ბატონს და ბატონმა თა-

ვის ხელით ჩაყარა შიგ სამი დრამი წამალი და ჩააგდო ორი ტყვია.

— აი, ხედავ, ბიჭო?! ეს მეხარჯება მე შენ სიკვდილზე. ზომ გესმის! ახლა წადი და დილაზე ადრე შამოდი. დილა იყო მშვენიერი და წყნარი, სულ არე-მარე მცვარს მოეფინა, ჩიტების ჭიკჭიკი შორს გაისმოდა, ბატონის ეზოში ოცამდის ბიჭები ირეოდნენ — ზოგნი სადილს ამზადებდნენ და ზოგნიც სამოვარს აღუდებდნენ. მხოლოდ საწყალი ჩვენი ფარეში აღარაფერს ხელს აღარ ჰკიდებდა, მუხლ-მოყრილი ღმერთს ევედრებოდა. შემდეგ ლოცვისა, ადგა, აღსენა უკანასკნელად ღმერთი და ბატონის ცალკე საძინებელ ოთახში წყნარათ შევიდა. აქ ნახა, რომ ბატონს გულ-უშფოთველათ ეძინა და უეცრათ შეჩერდა. უცებ რალაცამ გაიელვა მის თავში. მივიდა კედელთან, ჩამოიღო ტამბაჩა და თავის გულზე მიინიშნა; გულმა დაუწყო ძგერა და ხელებმა კანკალი; მაგრამ მაინც მომართა ჩახმახი და განიზრახა თავის მოკვლა. უეცრათ მომართული ტამბაჩა მოაბრუნა ბატონისკენ და დააბომა გულზე. ტამბაჩა გავარდა, საწყალი ფეხებ, მტკივანი ფარეში გამოხტა გარეთ და თან მოსდევდა ბატონი; გაიღო მეორე ოთახის კარი, სანახევრათ ჩაცმული ქალბატონი მივარდა ქმრის ოთახის კარებს და მიაძახა:

გ: «კარგე, ეყოფა, ნულარ მისდევ მაგ მონას ფეხშიშველი და ტან-ჩაუცმელი! ქალბატონმა დაათავა-თუ-არა ეს სიტყვები, ბატონმა შექნა ბარბაცი და დეარდა მიწაზე. შეიქნა ერთი კვილი, ეგონათ ფარეში მკედარი და ჩელში კი შერჩათ ბატონი სულ-ამომხდარი!

იგორ ანდგულაძე.

1881 წ. 15 თებერვალს, ქ. ქუთაისი.

თბილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილეი.

ორმოცდა-ათი შეგისრულდა, აი, დღეს წელი,  
წმინდა ტაძარო სწავლისაო, ჩემო აღმზრდელო,  
და დღეს შეუჩილა შენ ჭერ ქვეშე ის კრება მრთელი,  
ვინცა ყოფილა და აწვ შენით არს მოსახელი!

მუნღსა მოგიდრეკ მოწიწებით აღმზრდელს აღზრდილი,  
გონებ ერთსელ ყრმა, აწ მოხუცი მოგაკონდები,  
და სადაც ვმჯდარვარ, აწ, ტაძარო, მოჩხილი შეილი  
გძმნობით იმ ალაგს სულით, გულით, კეამბორები.

შენში ავიდე სუსტ ხელშია პირველ კალამი,  
შენგან ვიცანი ჯერ უძნობი ესე ქვეყანა;  
წინაშართ ყოფნა, მათ საქმენი შენ გამაცანა,  
გეთილი ვგელა შევიძინე ღრმად შე შენგანა.

ტბილის მუშეთი გამომზადე, მივლიდი ზრუნვით,  
ჩემში დასთესე ღრმად თვით იგი, ნაყოფი ჭსწავლის,  
რომლით ცას ებძვის კაცი, ჭკვირობს სოფლისა ბრუნვით;  
რომლითაც კაცი კაცობრიობს, კაცად ისახვის.

შენ არ იყავი, რომ მასწავლე თქმა სიმატლისა,  
რომ შემაყვარე თავ-განწირვით ჩემი მამული,

რომ ვერაფერიც არაა  
 რომ მსხვერპლად შექმნა მე მისთვის სული და გული.

დღეს აქ შევერილვართ, შენნი შეილნი, შენგნით აღზრდილნი,  
 ზოგი დიდებით და სარისხით გაჩე-მოცული,  
 ყოველის ამ სოფლის კეთილითა მრავლად მოსილი;  
 სოფლისა ზრუნვით ზოგი რისავე გამოკლებული.

მაგრამ შენ ჭერ-ქვეშ, ყველა ერთბაშე ვდღესასწაულობთ,  
 დიდნი, პატარა, შენს დღეობას რა დავლადებთ;  
 წინწილით, ებნით, ვით ჩვენ მშობელს ერთბაშად გამკობთ,  
 კეთილ სხეობით, ძალად სწავლით რომ გამოგვანად!

სწავლის ტაძარო! ერთხელ ნორჩი ვინც შენში მჯდარა,  
 ახლა ზის შენში შიშველით თმითა ჭადარა,  
 და ჩაფიქრებით მოიგონებს იმ დროს წარსულსა,  
 როს უზრუნველად კეთილ სწავლით ატობდა ყურსა.

იკეთილ-დღევე მრავალსა ჭამს, სწავლის ტაძარო,  
 რომ მოსცე მამულს სასარგებლო ერთგული შეილი,  
 რომლისა აღზრდით, შენ, მშობელი მარად ახარო,  
 გულ-მსურველთა ვითხოვ ამას მუსლ მოდრეკილი!...

ივ: გერსელოძე

1881 წ. სექტემბრის 27.

## როსტოპკინი.

(გადმოღებული რუსულიდან).

### I

ერი ჩოჩოლობს; შქება, ხაზნაჩი,  
ფანტურით წკრიალი, წინწილთ ნქარ-თქარი...  
გრულთ მწვანეა და ყვაკილები...  
აქ რ სვეტ შუე წინ შესავლელში  
ზოლ-ზოლად აყოლ-დაყოლილები  
ფარჩები შშიმედ სადრეკნი სელში.  
დარბაზ-სრა მდიდრად მორთულებია,  
აბრწეინკებულნი რქროთ, ბროლითჲ,  
ეზოში ბლომა ცხენ-ეტლებია;  
და დიდს ტრაპუსზედ მიჯრია-მიჯრითა  
ლხინობს სტუმრების კრება ხშიანი,  
და ნადიმის დროს მებოძირული,  
საკრავებისა ხმებთან შერთული  
ჭხტის საუბარი მათი წყლიანი.

სულაც ენაზე კბილს არ იჭერენ  
და თავისუფლათ მასლათობენ:  
თუ სამუღველსა რომთ კირთებაზე,  
ჰილასტეს მათზე, თუ მთავრობაზე,

მამასხლისთა მალულ კრებებზე,  
 კატრობ, მშვიდობა ანუ ომებზე,  
 უფრო იმ კაცზედ—კაცთ-მოყვარეზე,  
 განთქმულა რამე მათსა მსარეზე.

## II

გულს მტკელი მოძმეთ სიბრალულისა,  
 სიმშვიდეს იგი ასწავლის ერსა,  
 მართლად მოსეს სჯული სიუვაწისა  
 აქვემდებარა სჯულს ოღენ ერთსა.  
 ჭმობს შურის-გებას და მრისხანებას,  
 კეთილით ჭყავთო ბოროტის ზღვევას,  
 ჭქადაგებს სულ-გრძელს ის მიტევენას,  
 ძალი ციური მასში იმცნევა.  
 ერეს აძლევა სმენას, ბრმას ამხედველებს,  
 ახადებს კოჭლსა, უტყვის ამეტყველებს,  
 ან უნდა შენგნით იმას მადლობა;  
 გულთა ზრასკანი მისთვის ცხადია,  
 მისი მომცდელი შესედულობა  
 ჯერეთ კაცთაგან განუცადია.  
 სნეულთ მკურნელი, ტანჯულთ მშველელი,  
 ყოველგან ჩნდება ის მაცხოვარად,  
 ყველას განუერთო მოწყალე სელი,  
 ყველა გაუმო დაუსაჯარად.  
 მოძღვარი ზენით იგი რჩეული  
 იქ იარღანის გაღმითა ვლიდა,  
 იქ ჭქმნა მრავალი მან სასწაული,

«გამოდის მხარეს დღეს გამოვიდა.  
«მას კეთილ-სულსა, მხნე და მორტყული  
«თან სდევს მოწაფეთ გუნდი ერთჯული!»

## III

ასე სტუმრები ბჭობენ ერთხადა,  
სავსე ტრაპეზი წინ უდგასთ ტრქელი,  
იქვე როსკიპიც ზის ახალ-გაყდა.  
მათთან ლაღად ფიასის მცლეელი.  
მის უხიავი ტან-მოჭთულობა  
უნებელივ თვალის მიმზიდველია:  
და მედიდური სამკაულობა  
ცოდავის ცხოვრების მომთხრობელია.  
მაგრამ ამაყს მას როსკიპ-ქადასა  
თვალ-ტანადობა შესდგავს წარმტაცი  
— მხელად გაუძლებს სიტურთის ძალსა  
მოხუციც თითონ, არ თუ გაყ-გაცი.  
კახა თვალები, დამცინველები,  
ლიბანის თოვლებზე თეთრი კბილები,  
კით პაპანება მწკუწნი დიმილნი.  
იგრგვლივ ხალვასათ მიმობურვილნი  
ტანთა ჭმოსიან მჭვირვალ ქსოვილნი,  
თვალთ უღმობელად მოკიყინენი  
შიშველ გულ-მკერდზედ გადმოღვიდნი.  
ხელ-საბნიელნი, აქვს საყურენი  
ხორცთა ტკობათა მოყდარუნები,  
ბრჭყეინგენ აქა და იქ აღმასები,

და ლოყებზედ რა ჩეჩოს ისუკიან  
მარგალიტ-მკერდით წმასნილთ თშები  
მშვენებ განცხრომით ჩაუფინვიან.  
მისს გულსა რადგან ახლოცობისთვის  
სინცხვილ-ნამუსის გზა დაუცლია,  
უიღვა ოქროთი მის სიყვარულის,  
ვინც მონდომებს, მას შეუძლია.

ქალი ყუჩს უგდებს მათ საუბარსა,  
შიგ ესმის კილო მისის განკიცხვის,  
ზვარობა იჩენს მის გულში თავსა,  
და კვებნით ამას საჯაროდ იტყვის:  
„არავის ჩემზედ არავითარ  
„ხელი არა აქვს. დავსდებ ნამღვასა  
„— აბა განხრო ის თქვენი მოძღვარი,  
„თუ ის გაუძლებს ჩემსა თვალებსა!

## IV

ღვინოთ ჩქრიალი, სიცილ-ყდრიალი,  
წინწილთ წკრიალი, ებანა დგრიალი,  
მზეკა, მუჯამართ და უვაკილთ ფშვენა,  
და აი ამ დროს მართ იქითკენა,  
სადაც სხედს ბარბო უქმად ხმიანი,  
შემოდის კაცი პირ-ნათლიანი.  
მისთა საკვირველთ ნათქვთა წუობანი,  
სკლა, ტანადობა, მოძრაობანი,  
ჭაბუკებს სიტურფესთანა შერთვით.  
ცუცხლით სავსეა და შემობერვით.

მისსა საჩინოს შეხედულობას  
 ხელ-შეუკალი შესდევს უფლებას,  
 ატუობ ამ სოფლის მას უგულობას  
 და მისი მეობადს ჭსკვრეტს მხედველობას,  
 კაცი ესე არ ჭვავს მომკვდავსა,  
 ბეჭედი აზის მას რხეულისა,  
 მთაკარ-ანგელოზს ჭვავს ნათლოკანსა,  
 რდესაც იგი ხმლითა ცეცხლისა,  
 იგოვასი წამის ყოფითა,  
 ბნელს გარესენელში მტერსა ჭსტოვრცნიდა.  
 მის დანახვასედ შეკრთა ცოდვილი,  
 უნებლივ და მკრთლად ჭვე იუურება...  
 მას მოაგონდა წელან გვესნილი,  
 და მუის საჯდომით წამოიჭრება.  
 მსწრაფლ გაისწორა ტანი მეჩხევი,  
 ახალ სტუმრისკენ წაიჭქრიალა  
 და მიაწოდა მას ქაივის მიერჭვევი,  
 დარდიმანდულად მიჭქევი თიალა:  
 «შენ ის ხარ განა, რომე ასწავლი  
 «ჭვეუნიერ სიტებოთ ნუ დავებებოთ?  
 «ახსით მე შენი არ მრწამს ნასწავლი,  
 «სწავლა მატვეს უფრთ მე საიბედო.  
 «ამოდ ჭვიქრობ, რომ შენ შემაკრთო  
 «მარტოდ უდაბნოს ნარონინებმა  
 «და თორმეტის დღის ნამარხულეკმა!  
 «სიამოვნეთა ჩვენ მიკდევთ მარტო  
 «და რას მიჭკია მარსკა და ლოცვა!  
 «თაყვანს კსტემ მხლოდ მსს სილაძაზეს,

ვემსახურებ ბასუსს და მიუვარს კარსა,  
და ფიე ძვე შენს რაღაც სიწმინდესს.

და მისი სიტყვა ჯერაწ შემწყდაწ,  
ჯერ თავ-მომწონედ მოღიზჯარობდა

და თითებისა ბეჭდებზე წყნარს

ღვინის ჰერული მას ჩამოცხლდა,

—ზოგადი ასტყდა რას ხმაურობა;

სიღვანაც ესმის რასკივის დამკრთაღსა.

«ჰ! ის მტდარია და დამტთარობა

ემოსდის ამ სტუმრის სახით დაბრძაღსა:

აწე რომელი სდგას მის წინდგან,

ეგ რადი არი ისი მოძღვარი,

ეს იოანე გაღიღვიღვან

არის მოწამე მისი საყვარი.

## V

ბრეუელს ებეღობას იმან ქაღისას

ის ეურს უბეღობა უბეღობა სადმე.

მას შემდეგ ქალი ნაკლები წაღისად

მიიძარტების სხვის სტუმრბანადმი,

რომლის სახის მშვიდს, მდგნეს მეტეუკელებას.

ზედ არა რამე შონაქროღია,

უცხოს კი შუბლის მოხაზუღობას

ღრმა რამე არი შემოსწოღია.

არც აწეღია მას არწიკებრი

განმსჭვრეტეღობა წინასწარ-მეთქვის,

არც აქვს სიტურსეუ ანგეღოსებრი.

მღელვარე მას თმა შუა ეუოფის,  
 კანთისა გარედ გადმოშვებული  
 ხალვათათ მტკერსა ტანსა უბოსაგს  
 საცმელი სადა რამ მატყლეული,  
 მისვრცა-მოსვრცა მანტიე-წყინარი აქვს.  
 მშკენიერ ბავთ გრულოთ წუობილი  
 ოდნავ აქვს წვერი მას გაყოფილი.  
 სასიერ, წმინდა მისებრ თვალეი  
 არვისგანმეა ჯერ ნახულები.  
 და მოჭეკა კეთილს მის მობრძანებას  
 სიმეუდრე, როგორც მონაქროლები,  
 და მუის საოცრად ერისა კრებას  
 გული შეეჭნა შენამწოლები.  
 ჭსწყდა ხმაურობა. ჭზის დაუკრელად  
 კრება, მომლოდე გულით ღელვილით  
 სულ-განახული. და შეუსვლელად  
 მსმელთა დარბაზში, ის დრმა დუმილით  
 მზრუნველისა რამ სასით შეხერდა  
 და თავ-მომწონეს ქალს დასტკრდა.

## VI.

ვით მთიების სხივს, მის მსედველობას  
 წარმოეჩინა ნათლად ყოველი,  
 და როსკიპის გულ-უდრეკელობას  
 შემოეტალა უგუნი ბნელი.  
 და ყოველსა, რაც ბუდობს მასში,

ცოდვასა შიგან რაც ჩაედინა,  
 იმის თვალეში, რაგორც ელვასში,  
 თავით ბოლომდე გამოეფინა.  
 მსწრაფელ მან შეიგნო უღონობა  
 მკრესელ ცხოვრების და სიცრუეცა,  
 თვისთა ბილწით საქმეთ და უხსნეობა;  
 ამით თავ-ზარბი მყისად დაეცა.  
 შენახებისა თავშივე მიხვდა  
 ცოდვილი იგი, საკვირვოდ თვისდა,  
 თუ რა ძვირფასეს გვამით, თვისებით,  
 არს ეს ბუნებით შემკულ უხვებით,  
 და რაგორ თვისსა ნათელს განთიადს  
 დღე-მუდამ ჭებენდა რყენილების წყვილიადს.  
 აწ ეი მოზიხლე ავის, პირველად,  
 იმა მადლიანს მხედველობასა,  
 მის ცოდვებისთვის ყვედრების ერთად  
 ეწერა, ნახა, შეწყალებაცა.  
 მით განახლდების რისმე მგრძნობარე  
 რაგორცადა არის ერთგან მდგომარე  
 შეფერხებული ქვეყნურ საფერხებით...  
 მსწრაფელ სიმყუდრეში გახდა წკრიალი—  
 რასკიხს გავარდა ხელით ფიალი.  
 თან იმმა მისის მთრთოლვარ ბაკებით  
 შენახვრების რხვრა მკერდიდგან,  
 გაფითრებული პირქვე გოდებით  
 დაემხო ქრისტის წმინდის წინედგან.

პარდაკან,

## შ ი კ რ ი კ ი .

გათავდა თუ არა ზაფხული და გამოცხადდა თუ არა ჩვენ ყურნალში ზოგიერთი ცვლილებების შემოღება და განსაკუთრებით კორექსორდენტების განყოფილების გასსნა, ჩვენი ერთგული შიკრიკი დაგვეთხოვა რამდენიმე სხივით და წავიდა, თუ სასეირნოთ, თუ ამბების შესატყობლად ჩვენ სამშობლოს სსვა-და-სსვა კუთხეებში...

თურმე, ნუ იტყვიან და, შიკრიკებსაც ჭქონიათ სასეირნოთ დადებული დრო, როგორც ჩვენ წარჩინებულ და ჯიბით მსუქან პირებს. განსსვაკებაშია, როგორც თქვენც შეატყობთ, მთლად იმაში მდგომარეობს, რომ შიკრიკებს უფრო კარგი დრო ამოუჩვენეთ სასეირნოთ—უსვი შემოდგომა, მაშინ როდესაც ჩვენ ჩასუქებულ არისტოკრატებს დაუნიშნავთ თავიანთთვის ამ გვარ დროთ ზაფხული, ჯიბის მტერი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მსედველობაში მივიღებთ შიკრიკების და არისტოკრატების სსვა-და-სსვა მოსაზრებას სასეირნო დროთა არჩევანში. შიკრიკს ის დრო უჩვენებინან, როდესაც სალხი უფრო მსიარულის ნამუშევრის ნაყოფის შეკრებით, ამ დროს უკვლავ გულწრფელად აღვიარებთ თავის სისარულსაც და დარდასაც. არისტოკრატისთვის კი, რაღა თქმა უნდა, ის დრო უფრო უძვირბესია, როდესაც სალხი მინდვრათ არის გაკრეფილი, ქალაქში კიდევ მტერის ბუქი სდგას და პანანაქება მზე ჩასუქებულს

კაცს გარეთ გამოსვლის ნებას არ აძლევს; ამ დროს არისტოკრატი ჯერ ერთი, რომ „დახაზედ“ იგრილებს თავს და მეორეც ის, რომ აღელვებულ სისხლს აძლევს კმაყოფილებას დაფარულად და, მამასადაძე, სკამს სიამოვნების ფიალს. მამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი — დაჩვეულსა ნუ მოაგვლებო!...

ვაკიდა ჩვენი შიკრიკი და დაგეტოვას ჩვენ დაღონებულები — ვიფიქრობდით, იქნება ცოცხალი ველარც კი ვნახოთო; რადგანაც ბევრი მტერი გამოუჩნდა მის პირ-უთვნელობის წყალობით. ვაკიდა ერთი თვე, ორი, სამი, და შიკრიკი არ-საით გამოჩნდა, ვერც არაფერი შევიტყუეთ რამე მასკედ. მის ღლოდინში და მის ბედის წერის უცოდინარობაში წამთარინ მოგვკადგა კაცს, სამს ამ ქრისტის-შობის თვისას. ვაკისედეო დილით გარეთ და დედა-მიწა შეეთებებუდი დაგინასეთ; თუმც დედა-მიწა ამ დღეს ისევ გაშავდა, მაგრამ ღამით ისე გათებებუდიყო, რომ ზოთს მეფაეტონებმა მარხილების ძებნა დაიწეს. ვაი შესს: უბედურებას, ჩვენო შიკრიკო! წამოიძახა სიცივისაგან შეშინებულმა ჟინჭარაძემ. ჩვენ, ყველამ ყურები ვტკბით და ერთმანეთს ვადავსედეთ, ვკვებონა. თუ ჟინჭარაძეს ვაუგია რამე ცუდი ამბავი ჩვენ ერთგულ შიკრიკებზედ. ჟინჭარაძემ შეგატყუო შეერთომა და ვანაგრძო; თუ აქამდის ვადეც ცოცხალი იყო სადმე ჩვენი შიკრიკი, წუხელის უაჭველად გაიყინებოდაო. მაშინ კი წავგსქდა სიცილი და დიდ-სახს თავები ველარ შევიკავეთ ფრუტუნისაგან, თუმცა ჟინჭარაძეს ჩვენი ამ გვარი ქტევა ძაღიან სწყინდა; მივსკდით, რომ უტაცს-ლობას შეეწუხებინა ის და, რადგანაც არც შემა ვკქონდა და არც ფუდი მოგვკმეოდა, მსახურს უთხარით, რომ დაემტკრია წიგნების ყუთები და ცეცხლი დაქითო. დაიწყო ცეცხ-

ღმს გუგუნნი ბუსაში და ჟინტარაძე მოგვიქვიფიანდა. ტყუ-  
ვილად არ უთქვამს იმერელს, მოჭევა ის, რომ ღმერთი ცუცხლს  
ნურც საიქიოს გამოდილევს და ნურც საჯაროსაო. კარგი რა  
არის ეს დალოცვილი ცუცხლი; კაი ჩვენი რედაქციის სიღარი-  
ბეს, თორემ ცუცხლი რომ გამოუღეკელი მქონდეს ამ ჩამთარ-  
განავროცა გამოთარძა ორატორმა, იმდენს რასმე დაკსწერდი,  
რომ ჩვენ ჩასუქებულ არისტოკრატებს ჯავრით გულებს და-  
ურხეთქდიო და საწყალ ხალხს კიდევ სიცილით კუჭსაო, ამას  
კიჩამდი იმისათვისაო, რომ პირველებს ეგრძნოთ უკანასკნე-  
ლის გაჭირვებულნი მდგომარეობა და უკანასკნელს კიდევ შე-  
მცირებოდა ცოტად მანც ამ გვარი გრძნობაო...

აქამდისინ ჩემთ მჯდომმა და ცუცხლში მყურებულმა ეკა-  
ლამემ აიღო ძალა თავი და უთხრა მას: ძმაო, მიზანი შენი  
კარგი არისო, მაგრამ იმაში კი ვერ დაგეთანხმებო, ვითომც  
უფრო ბევრის წერა შეეძლოს ვაცს, როდესაც არც სიცივე,  
არც შიმშილი, არც თუ სხვა რამე არ აწუხებსო. გამოცდი-  
ლება სულ სხვას გვიჩვენებსო. ჩინდით განავროცა მან, აი,  
თუ ვინდა, მაგალითად ავიუყანოთ, «ივერიის» რედაქტორი—  
უფ. ჭავჭავაძეო, ხანამ ეს კაცი გაჭირვებულ მდგომარეობაში  
ყო—სწერდა კიდევ ბევრს და კარგ რამეებსაც სწერდაო,  
რაკი გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, რაკი ღიში გაეზარდა—  
გაჩარმაცდა და ქაღალდზედ წერას მწვანე სტოლზედ წერა ამ-  
ვობინაო. რა ჭავჭავაძე ვინდათ და ან რაღა ბევრი გაკატან-  
ნურთვო, ხმის ამაღლებით სთქვა მან, ჩემი აზრის ჭკმძარი-  
ტებას ცხადათ ამტკიცებსო ის, რომ ჩვენი ესლანდელი ყმა-  
წვილები, როდესაც სწავლაში ზ მამსადაძე ყოვლიფრის ნაკლე-  
დეგანებაში და კაი-ვიგლახში არიან ხოლმეო—გულით და სუ-  
ლით ხალხისაკენ არიანო და, რაკი ჩინოვნიკობის ბაკებსედ

დავბიან სოღმეო—მის სისხლის მწიკვლები სდებიანო. იმის მაგალითიც მყავსო, დაუმატა ეკლამემ, რომ გაჭირვებულად უფრო ბევრსაცა სწერსო და ხალხის სასიკეთოსაც სწერსო— შესედეთ უფ. ანტ. ფურცელაძესო! ეს ასეც უნდა იეოსო დაბოლოვას, იმიტომ რომ გაჭირვებული უფრო გრძნობს სხვის გაჭირვებასო...

ამ ბასში მყოფებმა ჩვენ კერა გავიგეთ რა და ჩვენი ერთგული შიკრიკი, თოვლისაგან გათეთრებული და მხარზედ სურჯის გადავიდებული ზე წამოგვადგა თავს. ყველამ ერთ სმით შეესძახეთ: გაუმაჯგოს ჩვენს ერთგულს შიკრიკს! გაქვსთ სიცოცხლე, სისარულით ჩვენ იმას სურჯინი ჩამოვსადეთ და ბუნართან ადგილი დაუთმეთ! როდესაც კარგა გათბა, ერთი ჩარეჭი წითელი კასური დავინო გადავაკვრეკინეთ და ვატხოვკეთ ეამბნა ჩვენთვის თავის მოგზაურობა. იმანაც დაუწარებლათ გვიამბო უოკვლივე თავისი თავ-გადასავალი და მერმე მიგვიშვირა სელი სურჯისზედ: რაც მე კერ გიამბეთ—ის გიამბობსთო, გვითხრა ჭ წამოწვა მხარ-თემოზედ მოსასვენებლათ. ამის ტბილ ძილში ჩვენ მოვაბიჩქვევეთ სტოლზედ სურჯინი, რომელაც იეო წერილებით საუსე და ხან ერთს, ხან მეორეს მოუთმენლად ვვითხულობდით. ბერს რაზედმე გვთხოვდა საზოგადოება პასუსს,—ზოგი გვიჩისდებოდა, ზოგი გვემუქრებოდა, ზოგი გვემდურებოდა, ზოგი ღანძლავა-გინებასაც გვითვლიდა, სამაგიეროთ ზოგი გვაქებდა, ზოგი მადლობას გვიძვნიდა. ზოგი გვაქებებდა, ზოგი საჩუქარსაც გვიგზავნიდა სასალწლოთ; ერთი სიტყვით, რა გვარ წერილს იტყვით, რომ არ ეოფილიეოს აქ, გარდა, რასაკვირველია, სიყვარულის წერილისა. შესანიშნავი ის არის, რომ ყველა საყვადურის წერილები შეძლებულებს კუთვნიან, უფრო თავადებს, ჭ ქების წერილები შეუძლებლებს,

შრომის შედეგებს. ეტეობა იმედს შედეგებულეებში ადგილი არა  
 ჰქონია და გახენილი ყოფილა მხოლოდ შეუძლებლებისათვის...  
 გადაკარბიეთ დიდის ყურადღებით ეს წერილები და დასტა-დას-  
 ტათ დავაწვეთ რედაქციის არსებში. იმათგან ამ უამად უფრო  
 საყურადღებოთ ვსცანით ხუთი წერილი, რომლებშიაც სამი  
 არის დაწერილი ლექსათ და ორი კი პროზათ. ამ ხუთ წერილ-  
 ზედ განვიზრახეთ ამ დროებით ვასუხის მიცემა და გავიყავით  
 ამ რიგათ: სამს ლექსათ დაწერილს წერილებზედ უნდა მიეცათ  
 ვასუხი ეკლადეს, ჯინჯარადეს და გობრონ-ლისეჟს, ორ და-  
 ნარჩენ პროზათ დაწერილებზედ კიდევ მე, თქვენს მოწილს  
 მოსამსახურეს. მივსხედით სტოლებთან სსვა-და-სსვა ყუთსეკე-  
 ში და შევქენით ელემების ფსაჭა-ბხუჭი, ეკლადემ უფრო მა-  
 ლე გაათავა ვასუხს, გაგავწვევტინა წერა და წავიკითხა ჯერ  
 წერილი და შემდეგ მასზედ ვასუხი, რომელსაც ვერაფერი წუ-  
 ნი ვერ დავსდეთ და გადავწვევტეთ მისი გადასახვა ჩვენი შე-  
 რიგის ხელით ვისდამიც ჯერ-არს. აი ის წერილიც და მასზედ  
 ვასუხიც. ვინიცობა და არ მოეწონოს ვისმე—ყურჩევთ ერთი  
 სტაქანი წყალი მიირთვას და მით დამშვიდებულმა ხელ-მოკრეთ  
 წავიკითხოს,—ეჭვი არ არის მასში კი მოეწონება.

წერილი „იმედის ტებისადმი“.

არ ვიცით თუ რა გწადიანთ,  
 რომ ძრახავთ შედეგებულებსა,  
 სისხლი ჩვენი თუ გწეურაინთ,  
 რომ მსარსა აძლევთ გლეხებსა?!

ნუ გვაძულებთ ჩვენ ერთმანეთს—  
 მუცამულეთ, ნაუძეკებსა,  
 რომელთ ვასტანგი \*) გვიწოდებს  
 პატრონებსა და შვილებსა.

ჩვენ თუ ვსჯამდით მათ მონაგარს,  
 ვიცავდით კიდევ მათ მტრისგან,  
 ახლაც თუ ვართმევთ მათ ღაღას—  
 აწს იგი ჩვენის მიწისგან.

გლეს-კაცთა შვილნი, თქვენც იცით,  
 სწავლისაკენ მიიღტვიან,  
 წაგიკითხვენთ რა თქვენ, ჯაკრით  
 სიცოცხლეს მოგიწამდიან...

მთა და ბაჩის გასწორება  
 თვით დმერთს არ უხებებია...  
 გვიკვირს, ჩვენი შეწუხება  
 „იმედს“ რათ უკადრებია!

თავადნი, აზნაურები  
 და ყველა შეძლებულები.

პასუხი შეძლებულებს .

დიდებელი დიდებულსა  
 მსოფლად უკმეკს, როგორც უწყით.

\*) ორბელიანი. იხილეთ ამ წლის „ივერიის“ მე-XI ნომრის მე-7 გვ.  
 ავტ.

სუნნელაჲსას გუნდრუჲსა  
საქმითა, თუ უფრო სიტყვით.

ჩვენ მოღვაწეთ, შრომის შვილთა  
ქებისთვის არა გვცაღიან,

ერთი სტკებოდეს, არ გკინდა,  
შეორის მონაგარითა;  
მოვაღებაც არის წმინდა—  
უგელა ცხოვრობდეს ღვაწლითა.

მთა და ბარი ბუნებასა  
თუმიც არ გაუსწორებია,  
მაგრამ კაცის გონებასა  
იგი არ გასჭირვებია...

მაშ რასა ჭჭუსთ და რასა სტიით,  
შრისსანეთ რას გაიძახით?!  
ანუ თავსა რისთვის ირცხენით,  
ან საცინლად რისთვის ისდით?!

ეკალაძე.

სანამდის ეკალაძე თეთრათ გადასწერდა თავის ჰასუსს,  
წინაგარამდამდეგაა გაათავა თავის ჰასუსი და გვიტონრა მოგვესმინა.  
ჩვენ მოვითხოვეთ ჰატარა სანს შეეცადნა, რადგანაც ის-ის  
იყო კარზედ სტუმარი მოგვადგა. ეს სტუმარი იყო ახალი



კქნა მე უბედურმაო, მეც კაცი ვარ — ჭამა მინდა და სმაო, ამისთვის კიდევ ითხოვენ ჩემგან . . . . .

. . . . . რომ არც წვადი დაიწვას, არც შემოეურიო, არც მე შევინოს, არც თქვენაო... რასაკვირველია, არც წვადს და ვწვავთ და არც შემოეურს, ესლანდელი სიძვირე რომ ვიცითო, და მტერსაც თვალებს დაუეუნებთო, წამოიძახა ჩვენი სმა-მადლა ბასით გამოდგობეულმა შეკრიკმა, შენ შენი ჭქქენ სანამ დრო გქონდესო, მიამასა სტუმარს, და ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით, შენი თავი არ მოგვიკიდესო!

სტუმარმა კარი გაიხურა და წავიდა თავის გზაზედ. ჩვენ ერთ-მანეთს შევსუდეთ და მწარეთ ამოვიღებრეთ. შეკრიკმა შეგვაცურო დაღობება, წამოსტა ტასტიდგან და მსიარულათ გვითხრა — მე მიმიშვიოთ მავაზე და გაჩვენებოთ მავის სეირსაო, სადაც გაწითლებას მოინდომებს — იქ გავათეთრებო და სადაც გაათეთრებას — იქ გავაწითლებო, — მაშინ უეურეთ, თუ რა ლეკურ ბუქნას დაგაწვებინებო, ტყუილად ხომ არ წრის აკაკისავან ხათქაძიო — იგი წავა და სხვა მოვა, ასე წრის მათი წესიო... . შეკრიკისავან გამხსენებულები, ჩვენ დაუბრუნდით ჩვენს საქმეს და მოკისმინეთ ჯერ წერილი „იმედის“ რედაქციისადმი და მეცე მასუდ უსუსი ჟინჭარაძისა. უსუსი გამოდგა ზედ-მიწევნილი, თუმცა დაუთავებელი. აი ის წერილიც და მასუდ უსუსიც.

წერილი „იმედის“ რედაქციისადმი.

„იმედის“ წინასწარ-თქმა  
ერთი სამდვილ აღგვიხსრულდა.

„დროება“, „ივერია“  
 იტლინკეს და ჩხიჩხი გატყდა.

გავიგონეთ, სამწუსროთ,  
 რომ მათშია შუი ასტყდა,  
 გვონებთ, კიდევ სასახლწლოთ  
 ქმარი ცოლს სტემს... საქმე წასდა!...

გვიკვირს, მათ საქმეს «იმედი»  
 გულ-გრილათ რისთვის შეჭურებს,  
 ხომ სედავს, რომ მათი ბედი  
 ბეწვსედალა პანწიალებს?!

ნუ თუ სურს, რომ აღუსრულდეს  
 თვის მეორეც წინასწართქმა. —  
 ანდერძი უგოს ორივეს,  
 გვაგლეჯინოს წვერი და თმა?!

«დროება»-«ივერიის» თანამგროძობი.

პასუხი „დროება“-„ივერიის“ თანამგროძობელებს.

რაცა გსმენიათ, ნამდვილ არს,  
 არ გვსურს იგი დაგიმალოთ;  
 ცოლ-ქმრისა გაყრა «მოდია» არს—  
 შეგიძლიანთ არ იდარდოთ.

თავისუფალი ცხოვრება,  
 თქვენც იცით, რომ ყველასა სურს;

«ივერია», თუ «დროება»  
 შეუდგენს საქმეს ღვთიურს.

გასაკვირვი აქ რა არის,  
 ანუ თქვენ რისთვის იშინებით?  
 ეგელა მოსაკალი არის  
 და არ სდებს წინასწარ-თქმით...

ჩვენი სურვილი ის არის—  
 იტოვებდნენ მრავალ-უამიერ,  
 ივენენ კვალისა კეთილის,  
 ძველ გზას უსვიონ აძიერ.

დინჭარაძე.

შასუხი დაუთავებელია, — სთქვა გობრონ-ლიხელმა და  
 ჰატარა ხანს შეჩერდა, თითქო რაღასაც ჭეჭეჭობდა. არ იქ-  
 ნება ურიგო, სთქვა ბოლოს, რომ ეს გუშლებიღ დაუმართო:

თქვენ ის იღარდეთ, რაც გვესმის,  
 ვითომც მათ თანამშრომელთა  
 უფიქრნიათ პარტიების  
 დამყარება სხვა-და-სხვათა:

«ივერია» თავსა უყრის  
 ქართლ-კახეთისა მწერალთა,  
 არღა რა უნდა ივერის,  
 უარ-ჭეოფს ლისის მწერალთა:

დროება კიდევ თავის მხრით,  
გაჭაგრებული ამხედ,  
აშირობს ყოვლისა ღონით  
ძიწს სდოს იგი და კლავს მახედ.

თქვენც იცით, თუ ამ გვარ საქმეს  
რა შედეგი მოხდევს უგან,  
ძმათა ძმებსა მოაშორებს,  
დაგვაბრუნებს ას წლის უგან.

ჟერ ერთადა რას ვარიგებთ,  
რომ ცალ-ცალკე რა უნდა ვქნათ?  
ანუ მტერს რით ავირიდებთ,  
ან რით მივცემთ ზასუსს მტარვალთ?!

ამ ექსპრომტის შემდეგ გობრონ-ლიხეძმა წაგვიგითხ  
თავის ლექსათ დაწერილი ზასუსიც. «იმედის» და მის თანამშ-  
რომელების გამოცხადებულ წერილზედ. რადგანაც ეს ზასუსი ვცანით  
ამ დროებით საკმაოდ, გახდა ვსწევით სელ უსლებლათ მის  
დატოვება და გამგზავრება ვისდამიც ჟერ არს. აი დასასრულს  
ეს ლექსად წერილიც და მასზედ ზასუსიც. თუ ამ ზასუსს აკ-  
ლია რამე—ის საკვლად იქნება ჩვენგან შესრულებული და  
ვთხოვთ წერილის პატრონებს მოთმინება იქონიონ.

წერილი „იმედის“ რედაქტორთან.

გობრონთ «იმედს», ყურნაღს უმაწვიღს,  
სხვა საქმე გამოლევია,

რომ ჩვენის გაიცვსკისათვის  
იმას სელი მიუყვია!.

გვლანძვენ უფროსთ, გვლანძვენ ყველას,  
უფრო კორესპონდენტები,  
ვილა ჭიჭირობს გუნდრუგთ კმეკას,  
რა გაგვიხდნენ სტუდენტები?!

თუ ძართალსა ღაღადებდნენ,  
ეკლტოდნენ ჭეშმარიტებას,  
სასელსა და გვარს რათ მალკენ,  
რათ უხვევენ მკითხველებს თვალს?!

ან არა აქვს რედაქციას  
უკეთესი სტატიები,  
თორემ სტუდენტთ რაღაც ნაბლავსს  
რათ გაუწყდინა სელები?!....

მარების და უჩასტეების  
უფროსნი და გამგებელნი,  
მოთავენი ძველ მწერლობის  
და მათნი თანამგრობოელნი.

პასუხი ჩინიანებს და ძველ მწერლებს.

უსაქმურობას მიქედთანა,  
გარემუნებთ, სელი არა აქვს,  
მოიკითხეთ იგი თქვენთან,  
სადაც თავს მუდამ იფარავს.

სტუდენტებისგან კეთილი  
კიდევ თუ ღა შეიძლება,  
თორემ თქვენგან კარგ რამ ქმნილი  
აქვს ოდეს არ იქნება.

თქვენ უნდა ჰყლავოთ, მანამდის  
კუჭები არ გაგიძლებათ;  
როცა გაძლებით ყელამდის,  
კიცხვა ღანძლავთ გეზვენებათ.

სახელს და გვარს თუ ვიმაღავთ —  
ეს არ ნიშნავს ბოროტ სურვილს,  
ნიშნავს მხოლოდ რომ არა ვართ  
მოყვარულნი თქვენებრ თავის.

ანუ როგორ გაგაცნობებთ  
თქვენ ჩვენსა სახელსა და გვარს,  
როდესაც მათით აფასებთ,  
ვიცით, ჭკუის ნამოქმედავს?!...

«იქედისა» არსიკშია  
იმდენი ნაწერებია,  
რომ თქვენგანს ვისმე ძილშია  
ერთხელც არ მოსჩვენებია.

მაშ უვანვე ისებევით,  
რაც რომ ჩვენ გამოგვიგზავნეთ,  
და ნუღარ დაგვეძღურობით,  
თუ კვლავც ცოდეა გაგიმყდავნეთ.

მოდგა რიგობი ჩემსედ და მეც წარვადგინე ჩემს პროზათ დაწერილი ჰასუსი ჩემს ამხანაგებთან განსახილველად. ჰასუსები გამოდგნენ ზედ-მიწევნილნი და ჩავაბარეთ ისინიც ჩვენს შიკრიკს უმდაბლესათ მისაწოდებლათ მათთვის, ვისგანაც წერილები იყვნენ გამოგზავნილნი.

წერილი პირველი.

„უფ. „იმედის“ რედაქტორო! მართალია, ჯერ ამ წლის ყურნალის სვედრი ფული არ გვიასლებია, მაგრამ რაკილა აქნამდისინ გვიგზავნიდით და ფულს გვადრეკებდით, ამ უკანასკნელ ნომრებსაც ნულარ დაგვიტერთ და თავ-თავის დროსედ გამოგვიგზავნეთ სოფლე. აქონიეთ მხედველობაში, რომ სშირად, თქვენის ექსპედიტორის წყალობით, ნომრები წამდენიმე კვირის და ხან თვის შემდეგ მოგვდიან სოფლე, ზოგობ კიდევ სულაც არ მოგვსვლია. რადე თქმა უნდა რომ ეს ძალიან საწყენათ გერჩება. ვიმედოვნებთ, რომ საკვლად მოსზობთ ამ გვარს უწესობას. ფულებს მოგვართმევთ წლის დამლევსა.

თქვენი ყურნალის წარმატების მსურველნი—  
გოგია, პეტრე და იოანე.

პასუხი გოგია—პეტრე—იოანეს.

მადლობას გიძღვნით ჩვენი ყურნალის წარმატების სურვილისათვის; მაგრამ არ შეგვიძლიან არ მოგასსუენოთ ისიც, რომ მარტო სურვილით საქმე არა ეთდება... თუ რომელიმე ნომერი ჩვენის ყურნალისა დაკარგულა ფორტაში და არ მოგვართმევიათ—მიიყონი ამისა თქვენვე ბრძანდებით. რატომ არ

გვაცნობებთ, თქვე დალოცვილებო, თავის დროსად, თუ რომელი სასულდობრ ნომერი არ მიგიღიათ, როგორც გთხოვთ თვითთუელი ნომრის უდასეად? ვინც გვაცნობა—კიდევ მივართვით დაუყოვნებლივ დაკარგული ნომერი. რაც შეეხება იმას, რომ სოგიერთი ნომრები მოგდით გვიან, ამის მიზეზი კიდევ ის გასლავსო, რომ ძალიან ბევრს თქვენსავით ფული ჯერჯერობით არ შემოუტანიათ და ამის გამო ქესატ რედაქციას სშირათ ფონტით ნომრების გასავზავნი ფული არ მოემკვა სოლმე. ვისაც ფული შემოტანილი აქვს—აკი გამოსკლისათანაკე მისდის სოლმე კიდევ, თვითთუელი ნომერი. თუ თქვენ რვა მანეთი ვერ გადაგიჩენიათ წლის განმავლობაში, რომ რედაქციას უბოძოთ, საწყალმა რედაქციამ საიდგანდა იმოკონოს ყოველთვე თუთსმეტი—ოცი თუმანი, რომ ყოველივე თავის საქმე რიგსად წაიყვანოს? ყოველ შემთსვევაში კეცდებით სურვილი. თქვენი დავაკმაყოფილოთ და კიმედოვნებოთ, რომ თქვენც ბევრს აღარ გვალოდინებოთ თქვენგან სკედრს ფულს.

თქვენი მარად პაცივის-მცემელი . . . . .

წერილი მგორე.

«უფ. «იმედის» რედაქტორო! ყურნალი თქვენი ჩვენ არ გამოგვიწერია, მოგვდის კი; არ ვიცით, შეცდომით არის ეს, თუ თქვენ გინებებიათ. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რაში მდგომარეობს საქმე. მოძვალ წელში კი ნულარ გამოგვიგზავნით ყურნალს, რადგანაც საკითხავათ არა გეცლიან—ისე ვართ გართულნი საქმეში».

ათანასე, კინტირია და კვირიკე.

ასუნი ათანასე—კინტრია—კვირიკეს.

არ ვიცი, მართლაც მიელ გართულები ბრძანებულხარით  
საქმეში, თუ უფრო კითხვა არა გევაკებიან; რომ არ გინა-  
ხავთ პირველ ნომერშივე და პირველ გვერდზედვე დაგრული  
რედაქციის წერილი. ეს წერილი განგებ წითელ ქალაღდზედ  
იყო დაბეჭდილი, რომ თქვენი უურადლება მიექცია და მისვი-  
ლი ასობით, რომ დავილად წაგვეითხათ. ამ წერილით რედაქ-  
ცია ითხოვდა ყველასგან, ვისაც კი პირველი ნომერი ჩვენის  
ყურნალისა ეგზავნებოდა, ეცნობებინა—სურდა ყურნალის გა-  
მოწერა, თუ არა. ვინც გვაცნობა სურვილი—ყურნალი ეგზავ-  
ნებათ, ვინც კიდევ უსურველობა — არა. თქვენ კი არც ერთი  
არ გვაცნობეთ და ჩვენ იძულებული შევიქვით გვეგზავნა  
თქვენთვის ყველა ნომერი იმ აზრით, რომ სკედრს იფუღს  
უბოძებდით რედაქციას როდისმე წლის განმავლობაში. თუ  
მანც-და მანც არ გნებავდათ, ძალას ვინ გატანდათ თქვე  
დალოცვილებო, გვაცნობებდით იმ თავითვე და ყურნალის  
გზავნა მოგესპობოდათ — სუ შვიდი კაპიკის საქმე არ იყო.  
თუ არა ახლა ამასე გამოკითხვა რა დროსია, როდესაც მო-  
მეტებული ნომრების ბეჭდვით და გზავნით რედაქცია რომოც  
თუმინამდის ზარალში შევიდა, გარდა იმ ზარალისა, რომელიც  
მიეტა მას სწორადოთ ყურნალის გამოცემაში. ვიმედოვნებთ  
რომ ამ წლის სკედრს იფუღს უბოძებთ რედაქციას და შემდე-  
გისათვის არც თითონ შევა ტყუილ ზარალში და არც თქვენ  
შეგაწუხებთ, თუ კი შეწუხებათ მიგახნიათ ყურნალის კითხვა.

თქვენი მარად პატივის მცემელი . . . .

მიიღო თუ არა ეს ჩვენი უსუსუესი ჩვენმა ერთგულმა  
შეიკრიშმა, აღარ დასდია უინვა-სიტეკეს, გამოგვეთხოვა და გა-  
ემგზავრა... მშვიდობა მის მგზავრობას! დიერთმა მალე განჩ-  
ვენოს ჩვენი შეიკრივი მშვიდობით უკან დაბრუნდეს.

ბეში.

---

## მამულის შვილი.

შენს ზვირთებს გაჭყენენ საუკუნენი  
და საუკუნეთ იგი ქართველნი.

ილია ქავჭავაძე.

(რანი ვიყავით გუშინ? — იაკობ სვიმონი-ძისა. «ივერია» №№ VIII  
და IX 1881 წლისა.)

ნეტავი ეს ჩემი სტატია ისეთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად იყოს, რომ ამას ასცდეს ცილის წამება, ვითომც იგი არის პირივენი ანგარიშების ბუდე. ნეტავი ჩვენში იქამდის იქნასი ედოს სიმართლესა და ჭკუშმართებებს, რომ მათი გამორკვევა მალდა იდგეს შვითხველის თვალში, ვიდრე კერძო პირი, გინდა ეს პირი ციდას ჩამოსულ ანგელოზს არ მოუხრიდეს თითსა. ეს არის ჩემი მსურველი სურვილი და ნატურა. ნუ თუ არ ამისრულდება? ისეთი მცირე ნატურაა, რომ თითქმის სასაცილოც კი არის იქა, სადაც მწერლობას ცოტათი მანინც შემოუფარგლავ მცირედი ადგილი სასოგადო ყურადღებაში. მაგრამ რა გაეწყობას! „არ გათეთრდება ყოვანი, გინდა რომ ხეხო ქვიშითა“ როდესაც არ არის მწერლობაში სასტიკათ და აშკარათ გამორკვეული მიმართულება; როდესაც ყოველი მწერალი იღებს ხელში კალამს ისე კი არა, როგორც შეგნებულნი სასოგადო მოქმედი, რომელსაც აწონილი აქვს.

მიიღო თუ არა ეს ჩვენი ჰასუსები ჩვენმა ერთგულმა  
შვირქმა, აღარ დასდია ყინვა-სიცივეს, გამოგვეთხოვა და გა-  
კეგზავრა... მშვიდობა მის მგზავრობას! ღმერთმა მალე გვაჩ-  
ვენოს ჩვენი შვირქი მშვიდობით უკან დაბრუნებული.

გემი.

## გაგულის ოპილი.

შენს ზვირთებს გაჭყენენ საუკუნენი  
და საუკუნეთ იგი ქართველნი.

ილია ჭავჭავაძე.

(რანი ვიყამით გუშინ?—იაკობ სვიმონი-ძისა. «ივერია» №№ VIII  
და IX 1881 წლისა.)

ნეტავი ეს ჩემი სტატია ისეთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად იყოს, რომ ამას ასცდეს ცილის წამება, ვითომც იგი არის პირველადი ანგარიშების ბუდე. ნეტავი ჩვენში იქამდის იქასი ედოს სიმართლესა და ჭკუშმართებს, რომ მათი გამორკვევა მალდა იდგეს მკითხველის თვალში, კიდრე კერძო პირი, გინდა ეს პირი ციდავან ჩამოსულ ანგელოზს არ მოუხრიდეს თითსა. ეს არის ჩემი მხურვალე სურვილი და ნატურა. ნუ თუ არ ამისრულდება! ისეთი მცირე ნატურაა, რომ თითქმის სასაცილოც კი არის იქა, სადაც მწერლობას ცოტათა მანც შეძრუვარგლია მცირედი ადგილი საზოგადო ყურადღებაში. მაგრამ რა გაქწეობა! „არ გათუთრდება ყოჩანი, გინდა რომ სესრ ქვიშითა“. როდესაც არ არის მწერლობაში სასტრუათ და ამჟანათ გამორკვეული მიმართულება; როდესაც ყოველი მწერალი იღებს ხელში კალამს ისე კი არა, როგორც შეგნებულნი საზოგადო მოქმედი, რომელსაც აწონილი აქვს

ცხოვრების ძალა და ღონე, მისი კარგი და ავი, მისი მიდრეკილებანი, რომელსაც სწულაა ესმის უოკელი თავის სიტყვის ფასი, — ანაშენ ისე, თითქო თავში დაკრული იყოს; როდესაც ეგელა მწერალი უოკელ თავის ნაწერში ახლათ იდგამს ფეხსა და ამიტომ უოკელ ნაბიჯზედ ხანა ბრძოლას, ხან ტალახშიაც ამოითურთლება ორშაბათის ყეენისაკით: მასინ შემოთ მოყვანილი ნატერა ანამტოთე შესაძლათა, ანაშენ საჭირათა. ჩვენში ეგელა მწერალს თავისი საკეთარი ბაირალი უჭირავს ხელში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ბაირალები ისეთი უფერულები არიან, რომ რამდენიც უნდა ატრიალო, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ამიტომაცა კართ დღეს ჩვენ გულ-ხელ დაკრეილი მოწამენი იმ მოკლენისა, რომ რაც გინდ მწვავე ზ ნამდვილ ჭეშმარიტებსა აუხსნა თავი ზ დაიწყო ლაპარაკი, რომელიმე გამოთქმული აზრის თაობაზე, მასინათვე კატებივით მოგცვივდებიან და სულ ცხვირ-პირს გამოგიაწირიან, სულ გაჩენის დღეს გაწყველინებენ — აჰაი, შე მუხანათო, როგორ თუ შენ მეწინააღმდეგები მე, სამშობლოს უდიდეს დამცველსა! — ღმერთმა შენც მშვიდობა მოგცეს, შენ სამშობლოსაცაო, ეუბნები შენა. თუ შენ სამშობლოს ეკუთნი და შეგიძლიან იმაზე ლაპარაკი, მე რაღა ჩაჩიკაშვილი ვარ, „ვის რაკიკი მოვპარე“, რომ არ შემეძლოს იმაზე ლაპარაკი? ეგერ ხომ მონობლიით არ არის, შე მამა-ცხონებულო! ამდგარსარ და საუოკელათათა ლაღაღებ — აინც ფეხებს მძლავრ არა შვრება და ისე არ დადის, იმას თავისი სამშობლო მტერივით ეჭვავრებაო, და ამიტომ ვისაც სამშობლოს ბედნიერება სურს, უთუოთ ვიარაზე უნდა შედგესო, მას ამისთანა ლაპარაკისათვის მე არ უნდა გაკატროსილო ჩემი სამშობლო ზ არ უთხრას, რომ ასეთი ქადაგება ცრუ-წინასწარ-მეტყველებაა, მეთქი?

ან უთხრა, რომ ასეთი აზრების გავრცელება მხოლოდ კო-  
დელი ნინოს საქმეა, მეთქი? შენ რა გკლავს ამის-გამო? გწეინს,  
რომ შენი მწერლობის უდიდესი რეპუტაცია ცოტა ქვემოთ  
ჩამოდის! შენ თუ კაი კაცი ხარ, რატომ არ გეუერება, რომ  
მწერლის რეპუტაციას მხოლოდ იმით დაიმსახურებ, რომ  
ემსახურო საღ მეცნიერულ აზრს, და არა კოდელი ნინოს  
ბოდვას?

მართლაც და ხუმრობა გაშვებით, საკვირველი არ არის,  
რომ ჩვენ მწერლობაში, აი რამოტელა ხანია, არამცთუ რა-  
მელიმე სამოქალაქო აზრი, რამელიმე პოლიტიკური მიმიკ-  
თულება არ არის ახსნილი, სამუდამოთ გამოარკვეული, არამედ  
სრულებით უბრალო სიტყვებით, სრულებით ანაზური ტემპარი-  
ტებანიც აქამდის საბასო და სწეწ საგნებს შეაგენენ?! მაგ-  
ლითათ, ჯერ კიდევაც არ არის ჩვენში მიღებული ის აზრი,  
რომ ქართველების გარდა კიდევ სხვა ხალხიც ჩაიგდებოდეს  
ხალხათ, რომ ქართველები არ არიან ევლასზე უკეთესები,  
ევლასზე მარდები, ევლასზე მშენიერები, გონიერები და გა-  
ნათლებულები, ევლასზე დამსახურებულები კაცობრიობის ის-  
ტორიის წინაშე, ევლასზე მოღვაწენი, რომ არიან მრავალნი  
ერნი, რამელნიც ჩვენზედ ბევრით დაწინაურებულან და დგ-  
ცქერნიან მადლიდგან, და თუ ჩვენ გწადიან ცხოვრების გაუ-  
კეთესება, უთუოთ უნდა გბამადეთ იმათ ბევრში, გავიგებ-  
დეთ იმათ გზასა და კვლასა, რომ ჩვენი გზა და კვალი იმ  
თავითვე დაწეეულიორ უოფილა და სულ მუდამ ჯოჯოხეთის  
სიანლოკეს ან თვით მის უფსკრულში უტარების ჩვენი ვაგ-  
ლანი თავი. მაგრამ ეგ რათ გინდათ! ეგ თითქო მადიან მნე-  
ლი გასაგები იუოსო, აქამდის ჯერ ხეირიანათ ვერ გავგიგია  
ეს უბრალო სიტყვა—რამი მდგომარეობს ამამულის საუკეთე-

სო შვილბა», ვინ არის მამულის შვილი და ვინ უნდა იბრუნებოდეს იმის მტრათ? კიდევ გამოვლენ თითო-ორულა გუფი-ჩვილი ასულგზდები და თავ-მოწონებით . იტყვიან, რომაო, ქართულმა ლიტერატურამ უკანასკნელი ოც - და - ათი წლის განმავლობაში დიდი მოღვაწეობა გაუწია საქართველოს საზოგადო აზრსაო, საგრძნობელი ნაბიჯი წადგა წინაო. კაცო, არ უნდა ჩანდეს ეს ნაბიჯი?! თვალების დახუჭვა რა საჭიროა!

## II

მე რომ ზირველად შევსდგი ფეხსი სასწავლებელში, გამოემშაკებოდა შვირდები დამესვიგინენ აქეთ-იქედან ჩემ გასაშინჯათ და, ათას სხვა სასაცილო გითხვებთან, ისიცა მკითხეს—«შენ დედი-შენის შვილი ხარ თუ არაო?» მე, რასაკვირველია, ბეჯითათა და დაწმუნებით უპასუხე, რომ სწორეთ დედი-ჩემის შვილი ვარ, «ზიარები მადლმა», მეთქი. ისეთი სიცილი ასტეხეს ამ პასუხზე, რომ სხვა სასხარი ველარა ვიზონქ რა დამეკერებინა ღ დამერღვივნა ეს უდმერთო ეჭვიანობა, მანამ ცხარე ტირილი არ მოვრეთე. მხოლოდ მწარე ცრემლებმაღა გასტრეს, და ჩემმა მომავალმა ამსანავებმა, ჩემდა სანუგეშეთ, ერთ-ხმათ აღვიარეს—«კაცო, აღბათ მართლა თავი დედის შვილი უნდა იყო, თორემ გიყი სო არ არი, რა ემაგრე მსურვალეთა ტირისო!» რა თქმა უნდა, რომ ამ სიტყვებში მე ვერ მიუხვდი შეუბრალებელ დაცინვას და სიამოვნებით დავსტები, რომ დაჯჯვრე ჩემი უწმუნო თომები .

ეს რამდენიმე სანაა შევსდგი ფეხსი ცხოვრებაში. ვინ წარმოიდგენდა, რომ ის, რაც სკოლაში მხოლოდ ცუდქ-ხუმრობას

შეადგენდა, ის იქნებოდა ქვა-კუთხედი ცხოვრების მოკვანზედ გამოსვლაში! პირველი კითხვა, რომელიც ჩემმა თანამედროვეებმა მომხართეს მე, იყო შემდეგი: „მამულის - შვილი ხარ შენა თუ არა?“ მე იქამდის უბრალო და მარტივი შეგონა ეს კითხვა, რომ მხოლოდ სუძრობაში თუ იხმარებს იმას კაცი, თორემ რაღიან, დალაგებითი ღაპარაკის დროს ვინ შეიტკიებს მასზედ ხმის ამოღებასა, შეთქი. ის კი არა, თურმე ხუ იტყვით, რომ ამ კითხვას არამც თუ გულ-წრფელაჲ გაძლევინ, არამედ შენი ზასუხი მასზედ არის ზომი იმ ყურადღებისა და პატივისა, რომლის ღირსიცა ხარ შენ საზოგადოების თვალში. თუ მაგრა შეიგარ შუბლი, მომაკვდავივით გადაატრიალე თვალები, ღონივრათ ჩაიგარ გულში მუშტი, შეჭხედე ძალა ზეცასა, ამოიოსრე ისე, რომ გული თან ამოაყოლდე, და სთქვი დარწმუნებით: „ღიან, მე მამულის შვილი ვასლავარა“ — შენი საქმე განისტდა — გინდა ცალ იუღათაც არ ჭღინდე, ყველანი მოდიან შენთან, ფეს-ქვეშ გეგებინ, აჭყეხნართ ძალა ღმერთამდის, გისვამენ თაგზე სელსა, ქონინსა თუ სუფთასა, ყველგან ღაპარაკობენ შენ ვაჟ-გაცობაზე და მამულის შვილობაზე, გაქებენ ჭ გადიდებენ. ჭ უკეთუ ამისთანა ბავშურ კითხვაზე შენ წავსქდა აუცილებელი სიცილი და უბრალოთ უზასუხე: „მამულის შვილი ვარ, მგონი, მამ ეშმაკეთიღგან ხომ არ ვიქნებო!“ ვაი შენი ტყავის ბრადი! აიბორე პირი და გაეძევე ამ ქვეყნიდგან, გირჩენია. ამას იქით შენ აღარ გეცხოვრება აქა: არც არავინ შენ ვადათლა ჩავთვლის, შენ ზნეობაშიც ათას ეჭვს შემოიტანენ, შენ გონებასაც მიწასთან გასწორებენ, შენ სწავლასა და განათლებას ქიშმიშის ფასს დაადებენ და სულ მტკრათ აჭყევენ. ასეთი ძვირ-ფასი რეკომენდაცია ყველგან წინ დაგვხვდება ჭ საზოგადოებაზე იმის-და-

გვართ დაგიწყებს უფრებს, მოდი და იცხოვრე, ახლა შენს სამშობლოში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ასე ერთგულათ გითხრინ ძიხსა და გამწარებენ! უთუოთ დიდი გულის სიმაგრე უსდა მოგდევდეს, რომ ამისთანა უბედურებს გაუძლო და წყალში არ გადავარდე.

ამიტომ გულის სიმხურვალით კეპტიუები უკვლას, ვისაც სძულს თავის მემამულეებში ასეთი საზოგადოებრივი აზრის დაძვინება, ამოიღოს სძა და ერთი სამუდამოთ დამყარდეს ჩვენ მწერლობაში და აქედან საზოგადოებაშიც, თუ რა არის მამული, რას ჰქვინ მისი სიყვარული, ვინ არის მამულის შვილი საზოგადოთ და ვისა ჰქვინ მამულის საუკეთესო შვილი კერძოთ?

ხანგრძლივი ცხოვრება რომელიმე ხალხისა ერთსა და იმავე ადგილზე აძლევს ამ ხალხს ერთ გამორკვეულ ფერს, რომელიც არის მისი საკუთარი ფერი და განარჩევს სხვა ხალხიდგან, რომელიცა სცხოვრობს სხვა ადგილზე. ეს ფეროვნობა მარტო გარეგნობაში კი არ იხატება, მაგალითად შირის სახეზე, თმასე, არამედ გამჟღავნია ამ ხალხის ყოველი წევრის ძვალსა და რბილში. ადგილის მოყვანილობა, ჰავის თვისება, წყალი, ნიადაგი, ლუგმა პურის საშოვარი იარაღი, რომელიც აშენებულა მისი თვისებაზე, ყოველივე ესეები იქამდის ძალუმათა მოქმედებენ კაცის ბუნებაზე, რომ მოკიდებული ტყავის ფერიდგან ვიდრე ენამდისინ, ზნეობისა და გონების თვისებადინ, ყოველი წევრი ამ ხალხისა საოცრათ განიჩევს ყოველ წევრისაგან სხვა ხალხებისა და საოცარი მსგავსება აქვთ ერთი ერთმანეთთანა. მაგალითად, ყოველი რუსი განიჩევს ყველა ქართველისაგან, თუ ცხვირ-პირს მოყვანილობითა და გარეგანი ფერით არა, ენით, ხასიათით, ჩვეულებით, ქვეყნიე-

რობასე შესედულობით, აუცილებლათ. კაცის მთელი შინაარსი, ამ სახით, მტკიცეთ არის შეზავებული გარშემორტყმულ ბუნებასთან. ბუნების გავლენასა აქვს მარტო ის ადგილი კი არა, რომ აი კაცი დაიბადა ერთს ადგილზე, აღიზარდა ერთ ხალხში, დაბერდა და მოკვდა ამ ადგილზე, ე. ი. მარტო ერთი კაცის სიცოცხლის განმავლობაში არ ისატება მასზედ ბუნების გავლენა. ეს უგანასკნელი მოქმედობს შთამომავლობით. ის ცვლილებანი, რომელნიც მოახდინა ბუნებამ ჩამდემიე საუკუნების განმავლობაში რომელიმე პირის წინაპრებზე, სრულიად გადადიან შვილის-შვილებზედ. ამ გვარათ, კაცის პიროვნობა შეჩვეულია გარშემორტყმული ბუნების ვითარებას არა მარტო თავისი საკუთარი მდგომარეობით, არამედ ამ ბუნებისაკენ მიდრეკილება დაყოფილი აქვს დედის მუცლიდგან. ეს ბუნება არის მისი მაცხოვარი, მისი სულის ჩამდგმელი, ის აძლევს მას ცხოვრების სახსარს, ის თხოულობს მისგან იმ ფიზიკურ მოყვანილობას და ზნეობით თვისებებს, რომელნიც გადმოსდებია წინაპრებიდგან და რომლებიც საჭირონი არიან ამ ბუნებაში საჩხოს საშოვნელათ. ერთი სიტყვით, კაცი ჭხდავს, რომ მთელი თავისი დიკსებითა და ნაკლულებანებით შედეგია აღნიშნული ბუნებისა, სადაც მას შეუძლიან ნაკლები გაჭირებით იცხოვროს, ვიდრე ისეთ ადგილს, რომელიც სრულებით სხვა გვარი თვისებისაა. აქედან აიხსნება იმ ადგილის სიუკარული, სადაც დაბადებულა კაცი თავისი მამა-პაპითურთ, გინდ ეს ადგილი ნაკლებათ იყოს ამკული ბუნებითი სიმდიდრით. ტყუილათ კი არ არის შემდგარი ჭკვიანი და ღრმა ანდაზა—«შეჩვეული ჭირი მიჩვენია შეუჩვევარ ლხინსაო» მართლათაც, ყოველ ასალ რასმე მიჩვევას მუდამ მოზდევს ძველი ჩვეულობის დაუიწყება. რადგანაც ჩვეულობა

ჭკვიან კაცის ბუნების მიდრეკილებას, რომელიც იბადება მხოლოდ სანგრძლივი ზედ-მოქმედებით ერთისა და იმავე გარემოებისა; ეს გარემოება ნელ-ნელა ახდენს კაცში ცვალებას, მანამ არ დაჭბადებს ისეთ ჭურჭელს, რსებობითს თუ ფიზიკურს, სადაც ჩვეულება იშოვნის სამუდამო ბინას; ახალი ჩვეულება, რომელშიც უნდა განაგდოს ძველი, ვერ მოთავსდება ძველ ჭურჭელში: ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ბრძოლა ძველსა და ახალს შუა, და ეს ბრძოლაც არ არის ადვილი საქმე, როდესაც მაგის გარდა საბრძოლო ბეკრი სხვა რამა გაქვს, მაგალითად, ლუკმა ჰერის შოგნა, კაცური ღირსების დაცვა და სხვანი. კაცი შეეჩვიას ბუნებას, ადვილს. ეს ადვილი არის ერთგული მოწამე ათასი სიმწარისა და უფრო მრავალი სიამოვნებისა. აქ კაცი თავის-თავსა ჭკობობს, როგორც თავის საკუთარ სახლში. უყვარს იგი, ეაღერსება და შეჭხარის მას. უყვარს მისი კეთილის მეოფნი და ეყვარება მისი მტრები. ადვილის სიყვარულთან ერთათ ღვივის გუჯში აგრეთვე სიყვარული იმ ხალხისა, რომლის წევრიც არის კაცი. ეს სიყვარულიც ისეთივე გასაგები და ბუნებითია, როგორც ადვილის შეყვარება. გაზვიადებულ, რომანტიკულ გრძობას აქ არა აქვს ადვილი. კაცს უყვარს თავისი მეამულენი, როგორც თავისი მოძმენი, რომელთაც იმავე გარემოების ილღიაში აუხილებიათ თვალი, რომელშიაც ახილა პირველმა, რომელნიც არიან იმავე წრის შვილნი, იმავე ბედისანი, იმავე შინაარსით, იმავე შესჯდულობით, როგორათაც პირველი. ხალხის წევრი თავის მოძმეებში ჭხედვს თავის საკუთარ თავს, როგორც სარკეში. რომელი გარემოებაც ხელს უწეობს ჩემს მოძმეებს ცხოვრებაში და უმსუბუქებს ბედსა, იგივე გარემოება მესაჩხლება მე; რაც იმათ აჩიანებთ, ისავე საჩიანოა ჩემთვის. ჩემი პირდაპირი სარკებ-

ღობა თხოულობს, რომ ჩემი მოძმენი იყვნენ ბედნიერთა. იმათი სარგებლობა, იმათი სიმშვიდე და სიმსიარულე მარტებს მე და მსიარული შთაბეჭდილება ისატება ჩემ აჩსებაში. აი ის ბუნებითი კლდე, რომლის ძირშიაც გამოსჩქათ-ჩქათებს ასრეთ წოდებული სამშობლო და მისი აუცილებელი სიყვარული. ეს ისეთივე უეტკველი მოვლენაა ბუნებისა, როგორც ჭამა-სმა, ძილი, სითვისილე. იმათ არც გასვიადება უნდათ და გერცარავინ დააძვირებს. მაგრამ მოძიყანსენ რამდენსამე მაგალითს, ამის წინააღმდეგს. ამ მაგალითებზე მე გიტყვი შემდეგ ჭეშმარიტებას—კაცი იბადება ორი ხელით, ორი ფეხით და სხვანი. ეს არის დაქრღვევული ბიოლოგიური ჭეშმარიტება. და ჩუ თუ ასეთი მაგალითი, რომელსაც დღეს ჩვენს გვედავთ თბილისში კუკიის სიღის უერთან, სადაც აჩვენებენ ერთ ქალს, დაბადებითვე მოკლებულს ორსავე ხელებს, ჩუ თუ ამისთანა მაგალითის მაყურებლებს ეტვი მოგვივა, რომ იქნება ჩემოთ მოყვანილი ჭეშმარიტება მართალი არ იყოს? აგრეთვე თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ მამულის სიყვარულზედაც, რომ არ შეიძლება კაცს არ უყვარდეს თავისი სამშობლო და ამიტომ არ იყოს მამულის შვილი. მაშასადამე ამ საგანზე ჩვენ შეგვიძლიან სამუდამოთ შევწვიტოთ ბასი, და ვინც ამასე გიდეკ ამოიღებს სმას თავ-მოწონებით, იმას უყუროთ ისე, როგორც ორი წლის ყმაწვილს, რომელსაც უკვირს, რომ იმას «ოლი—ოლი თალი» ჭქონია, «კიტებიც» ჭქონია.

რაკი ესლა ჩვენთვის ცხადია, რომ საზოგადოთ ყველა კაცი მოყვარეა თავის სამშობლოსი და ამიტომ ყველანი მამულის შვილნი ვართ, აქედან ადვილათ გაგიგებთ კერძო საგანს, რას ჭქვიან «საუკეთესო მამულის შვილობა»? ცხადათა სხანს, რომ აქ სარისსჩკა მიმდგარი საქმე. მაგრამ ეს ისე გი

არ უნდა გვესმოდეს, ვითამც ზოგს, შეიძლება, ძალიან უყვარდეს თავისი სამშობლო, ზოგს უფრო ნაკლებათ. ეს ისეთივე უაზრობა იქნება, როგორც ისა, ვითომც ზოგი კაცისთვის ძალიან იუოს საჭირო ჭამა-სმა, ზოგისთვის ნაკლებათ. როგორც უცმელ-უსძელობა ყველასათვის მომაკვდინებელია, აგრეთვე ყველასათვის ერთნაირათ არის საჭირო მამულის სიუფარული. მაშასადამე, ხარისხი, რომელიც ერთს უთავაზებს „საუკეთესო მამულის შვილის“ სახელს და მეორეს არა, აშენებულია სრულებით სხვა ნიადაგზე. ჩვენც ვაკვირდეთ ეს ნიადაგი.

მე ვარ უძლეური კაცი, გამოძიბისსა წყლის-პირს და დამაწვინეს საუფრებლათ ქვეყნიერობისა. ვხედავ ამ დროს, რომ ჩემი პატარა ბიჭი ჩაყარდნილა წყალში და ვეღარ ამოსულა. თუ არაინ უშეკლა, უნდა დაიხრჩოს. ვწუხვარ საშინლათ, მიღონდება გული, მიბნელებს თავლებში და შეუღა ვი არ შემიძლიან. ვაკიდა ცოტა ხანი, შემსხეს პირზე წყალი, ავანილე თვალები და დავინახე, რომ ერთ უცხო კაცს წამოუვიდნია ჩემი შვილი ზურგზე და განსრებულს გამოჭყავ ნაპირზე. დმერთმა უშეკლოს ამ კაცსა! მაგრამ რა დასკვნა შეგვიძლიან ჩვენ გამოვიყვანოთ აქედან? შეიძლება თუ არა, რომ ამით გავარჩიოთ ხარისხი, თუ ან მე რამდენათ მიყვარს ჩემი შვილი, ან უცხო, რომელმაც დაიხსნა იგი სიკვდილიდან? ყველანი დამეთანხმებიან, რომ აქ სიყვარულის ხარისხზე არც კია საჭირო ლაშარაკი, რადგან მამას უფრო უყვარს თავისი შვილი, ვიდრე უცხო კაცსა. აქ მხოლოდ იმაზე შეიძლება ითქვას, რომ მე თუმცა საშინლათ მიყვარს ჩემი შვილი, მაგრამ ვერ გამოვადექ იმას გაჭირვებაში ჩემი უძლეურობის გამო. აგრეთვე „საუკეთესო მამულის შვილი“ იმასა ჭქვიან, ვისაც მოსდებს შეძლება, რომ საუკეთესო და თვალ-საჩინო იარაღი მისცეს

ხელში თავის მოძმეებს სიტოცხლეში საბრძოლად. აქ საქმე მამულის სიყვარულზედ კი არ არის აშენებული, აქ კაცის პიროვნულ ღირსებაზეა. მე ძალიან მინდა, რომ საუკეთესო შვილი შეგეჭმნა ჩემ სამშობლოს, ყველაზედ მომეტებულად შეგეწიო იმას, მაგრამ ცარიელმა სურვილმა რა ქნას, თუ კი ზურგიც არ მომდევს!

და ამ სახით, ერთი და იგივე მამულის შვილნი განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმითი, თუ რომელი მათგანი მომატებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს.

მაშასადამე, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — სასტიკათ გამოვიკვლიოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, წარსულიცა და აწმყოც, რომ ცხადათ გვესმოდეს მისი ნაკლულეკანება, მისი ისტორიული მიდრეკილებანი, ტრადიციები, მისი ჩვეულებანი, მისი პოლიტიკური აზრი, საზოგადოებრივი შეხედულებანი, მატერიალური გარემოებანი, მისი ავი და კარგი, მოკეთე და მტერი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ავან-ჩავანი, რომ ამით წარმოდგენილი გვქონდეს მისი ფიზიონომია და, შეძლებისაგვარათ, მივცეთ მას სული, ვაჩვენოთ გაუმჯობესების სახსარი და შეუდგეთ იმ გზას, რომელიც მას დააყენებს წარმატებისკენ.

აი, ვინც უფრო ამ საქმეში გამოიჩინს საღსა და საბუთიანს შესედულობას, ის უფრო მომატებულ ბედნიერებას აჩვენებს თავის სამშობლოს და უფრო საუკეთესო შვილი იქნება მისი.

## III

რას ნაინათ ეუერებათ ეს მოვალეობა ჩვენი მამულის და-  
მცველებს და როგორ აღვიარებენ ამას ჩვენ მწერლობაში?—  
ამ კითხვის ახსნა ჩვენ მოგვიხდება ორ მხრით, ტეორეტი-  
კულათ და პრაკტიკულათ. ტეორეტიკული მხარე ჩვენ დაგვა-  
ნახვეს, სადამდის გასტანს აზრის ძალა ჩვენი მხსნელებისა  
და რამდენათ გამოჩვეული და ძალუმი შეხედულობა აქვსთ  
მათ პატრიოტულ კითხვებზედ და მოვალეობაზედ. თავიანთი  
პრაკტიკული მოქმედებით დაგვანახებენ, რა გზას უნდა ად-  
გეს მამულის საუკეთესო შვილი. პირველ შემთხვევაში ჩვენ  
დიდ სამსახურს გავვიწყვს უ. სვიმონიძის სტატია—«რანი ვი-  
ყავით გუშინ?» მეორეში კი თვითონ ჩვენი პატრიოტების  
საქმენი, რომელთაც სახელით მოვძებნით.

მანამ თითონ განხილვას შეუდგებოდე, არ შემიძლიან  
არა ვსთქვას ერთი მოკლე შენიშვნა, რომ რაც უფრო ძალუმი,  
სადი, საფუძვლიანი, კრტული და მართალია ტეორეტიკული  
რწმუნება; იმდენი გაუქრობელ ტეტსლს ანთებს იგი კაცის არ-  
სებაში, იმდენი მომატებული მომხრენი ჭყავს მას და იმდე-  
ნათ წარმოუდგენელ და გაბედულ ნაბიჯს ადგმეკინებს კაცსა  
პრაკტიკულათ შესრულებაში მოყვანისთვის ამ რწმუნებისა.  
წინააღმდეგ, რამდენათ ტეორეტიკული აზრი შევიწროებულია,  
ლანარი, უსაფუძვლო ღ დაკრდომილი; იმდენათ მას მოსდევენ  
მძინარე და უგულო პრაკტიკული მოქმედებანი.

ამ მტრე შენიშვნის შემდეგ, მივმართოთ უ. სვიმონი-  
ძეს, რომელსაც სხვა პატრიოტებში უჭირავს თითქმის ერთი  
უპირველესი ადგილთაგანი და რომელიც თავის გულ-წრფე-

ლობით, პატიოსნებით, აზრის სინათლით, ენის სიმშვენიერით თითქმის ყველა მათზედა დგას გაცილებით მაღლა. თავის მშვენიერათ შედგენილ სტატიაში იმან ისე ღაზათიანათ, მარტივათ და ვრცლათ გამოხატა ჩვენი პატრიოტიკის მიმართულების თავი და ბოლო, ისე გაასუფთავა მათი როგორცთი ტრეჟიანი და უგუნური ადგილები, რომ ჩვენ სხვა აღარა მოგვეთხოვება-რც, ავიღოთ ეს სტატია და გადავშინოთ ბეჭითათა. აი, რას მოგვითხრობს უ. სვიმონიძე:

თუძცა «პოლიტიკური ერთობა, შეუწყვეელი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება შვირ-ფასა. საუნჯე» (გვ. 22. «იკეცია» № IX.), მაგრამ ჩვენ ვერ მოვიხმარეთ ეს საუნჯე, ვერ ვინარგებლეთ მისი ძვირფასი თვისებითა, ამიტომ დღეს ჩვენა ვხედავთ

«ჩვენს ერთობას დაკარგულს  
და მამულს აღიწებულს»,

სამღველოებაში ქრისტეს მწესებათა გავრცელების ძაგიერ დაარსებულ ყასბურ ტაყციას, რომელიც შეადგენს მის გონებისა, ზნეობისა და რელიგიის უმთავრეს საჩჩოას; გლეხ-კაცს შეშინებულს, რომელიც, გარდა თავის სოფლისა, კელაქსად გამოსულა, «რადგან მის ენაზე აღარაჟინა ლაშარაკობისა»; თავად-აზნაურს, გამარჯვებულს თავისი ახალი მდგომარეობით თავისუფალ და განუსაზღვრელ ცარცვა-გლეჯაში დაობლებული გლეხ-კაცობისა, — ნაცვლად უწინდელ თოფ-იარაღის მამაცათ ხმარებისა, იგი ვარჯიშობს ფუფუნებაში, «პირუტყულ» პრანჭკა-გრქესში და სსვანი. ამისთანა გარემოება, რასაკვირველია, აძვირებს მთელი ხალხის ღირსებას. ერთი სიტყვით, სამართ-

ლიან პატრიოტულ ალტაცებაში გულზე სევდა მოწოლილი უ. სვიმონიძე ათაკებს თავის სტატის ამ მწარე სიტყვებით: „რანი ვართ დღესა? ზემოთ მოყვანილი სურათი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა, რასაკვირველია, პირდაპირ გვეუბნება, რომ დღეს ჩვენ ვართ მეტათ უძლური და სუსტი ერი.“

აქ ერთი პატარა კითხვა მივცეთ უ. სვიმონიძეს და მერე დაუბრუნდეთ იმას, თუ გუშინ რადანი ვყოფილვართ. ჩვენ ვერ გავიგია, უ. სვიმონიძე, მას რადას ნიშნავს თქვენგნით გამოთქმული აზრი, სხვილი ასოებით ამოწეობილი: „პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან. ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯეო? ეს იმას ხომ არა ნიშნავს, რომ ოთახში ხმალი უტრიალო ქარის წისკვილებსა და კარების გაღების უძალ ვამბერო იგი ქარქაშში?! თუ ეს აუცილებელი დასკვნა გამოდის თქვენი სიტყვებიდან, მაშინ უნდა მოგასსენოთ მოწიწებითა, რომ თქვენ კარგათ არა გცოდნიათ ბრძოლის უმთავრესი მოთხოვნილება, ანუ თუ გესმისთ ეგ მოთხოვნილება, უთუოთ თქვენი კაბინეტი უფრო ფართოთ მიგანხიანთ, ვიდრე საქართველოს ტერიტორია. მაგეთი ვუკრძალის გულისხანი არ იყვნენ ჩვენი წინაპარნი, რომლებსუდაც ჩვენი გონიერი პოეტი ი. ჭავჭავაძე მოგვითხრობს გულ-საგლავს, მაგრამ თითქმის მართალ ლექსს:

„შენს ზვირთებს გჭყვენს საუკუნენი  
და საუკუნეთ იგი ქართველნი“.

მაგრამ მე სრულებითაც არა მაქვს სახეში, რომ ამისთანა საუკედურით მხოლოდ თქვენ შეგაკლდესთ გული. ამას მე ვამბობ სსკათა-მორის, რადგანაც ეს გამაქარწყლებელი სენი გულ-

ში მაგრათა აქვსთ გამჟღადრი ჩვენი სამშობლოს «საუკეთესო შვილთა». მანამდისინ ეს სენი შეადგენს უმთავრესს სამკაულს ჩვენი მსსნელებისას, ვიდრემდის სრულებით ტყუილი იქნება უოკელ-გგარნი ოცნება ჩვენი ხალხის განძლიერებისა. მანამდისინ ბევრი ჩვენისთანა «ვაყ-გაცი» იტყვის გულ-დანაგრულობით—«რანი ვართ დღესა?»

მაგრამ ეს არაიყრია. რაც იყო, იყო. მანამ ეს გამოითქმებოდა, ჩვენ მანამდისაც ვიცოდით, რომ მიზეზი ჩვენი მწერლობის დაძვინებისა და ჩვენი ხალხის მიძინებისა იყო მისი ძალათ მაცხოვრების გაუბედაობა და რაღაც დაუოფილი შიში, რომელიც აიძულებდა მათ უმოქმედობასა და სელების გულზედ დაწობას.

## IV

მართალია, დღეს მაგდენი არაფერი ვართო, დაღონებით გვეუბნებიან ჩვენი მსსნელები, მაგრამ აბა გვჩასეთ, თუ რა დიდი რამენი ვიყავით გუშინაო!—უმეტებენ თავ-მოწონებით. რამდენადაც ამ წინადადების პირველ ნახევარში ისინი თითოს ისრთან და თავმდაბლობით მოგვითხრობენ ჩვენს უძღურებასე, იმდენათ მეორე ნახევარში მალლა უჭირავსთ თავი და უკენს აღარ აძდევენ სალამსა. «ქუდი მტკრიანი რომ მხურამსო, მეწისკვილე კი არ გეგონოვო», ლაპარაკობენ ქართველი ერის მაგიერ. წარსულით თავის მოწონება და ქება უოკელთვის მოსუცების, უძღურების ნიშანია: ქალი რომ შედის სიბერეში, ელმანტება პირის კანი, სხეული ჰკარგავს ფორმების ღაწათს, მაშინ იმისი ნუგეში მსოფლოდა არის წარსული სიმშენიერის მოგო.

ბა. ღმერთმა დაიფაროს ამისთანა ქაღისაგან უოველი ახალგაზდის უურებო. მაგრამ ჩვენ მწერლობაში არავისა სჯერა, რომ ამით მსოფლოდ ბებრულ შთაბეჭდილებას მოახდენენ ყველა ცოცხალ მკითხველზე. ჩვენ მწერლებსა ჭკონიათ, რომ საუკეთესო მამულის შეიღისათვის დიდათ მანუგეშებელია წარსულის ღიბსებანი, რადგანაც აქა ჭხედავენ ჩვენი გამოკეთების, გამოჩეკის გზა-მანკებულ კარსკვლავს. საზოგადოთ უსათუძკლოა ის აზრი, რითომც წარსული ღიბსებანი ესლას ამკობდნენ ხალხსა, ან რაიმე ნუგეშს აძლევდნენ მომავლისათვის. ერთ დროში რომისა და საბერძნეთის ხალხნი გაცილებით წინ იდგნენ თაჟიანთი განათლებით მთელ ქვეყანაზე. იუმეორე დრო, როდესაც კაცობრიობის განათლების ჩირაღდანი სელთ ეშურათ არაბებსა. დღეს ჰირკელი ორი ქვეყანა ძალისძალობითა და ვაი-ვაგლასით უგან მისჩანხალებს განათლებულ ხალხებს, და უგანსკნელი კი, არაბეთი, თითქმის ველურ ქვეყანას წარმოადგენს. ნუ თუ რომელსამე მათგანს ესლა უღივის გულში უსათუძკლო იმედი, რომ ისტორია დაბრუნდება უგანკვ და ამ დაუარდნილ ხალხთა ისევ სათავეში გაიუგანს?!

მაგრამ ჩვენ ჰატრიოტებთან ვილაცა ჭკვიან კაცს წამობსცდენია ისტორიული კანონი: ააწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალსა, ვერ გაუგიათ ამ კაკონის აზრი ჭ ჭკონიათ, რომ უოველ შემთხვევაში გამოდგება ისაო. წარმოიდგინეთ, რა ნაჩათ უურებათ ეს კანონი: თუ წარსული ჩვენი იყო ღიბსებით შემკული, აქედგან მომავალიც კარგი უნდა კვქონდესო. თუ მომავლის სიკეთე გწამთ, უთუოთ უნდა იწამოთ, რამ ალბათ წარსული კარგი უნდა უოთფლი-უოგო. თორემ რის იმედი გაქვსთო? თუ წარსული ჩვენი კრისა იყო სისაძაგლე, მას მომავალმა რკგორ უნდა წამოგაკაყე-

ნოს თქვს?—მაშ კარგი, თუ თქვენი განონი მაგეთი უნი-  
კერსაღუნი, მაშ როგორ მოხდა, რომ ჩვენი უბადრუკი აწმ-  
ეო არის შობილი ბადრუკი, სპეტაკი წარსულისაგან? თუ კი  
ანდაზა—როგორიც მამა, ისეთი შილია მუდამ გამოდგება,  
მაშ რატომ დღესაც ისეთ სიძალესუდ არა კდგვართ, რო-  
გორც წინათა კმდგარვართ? სემოთ მოყვანილი ისტორიული  
განონი მიუწერება საზოგადოთ მთელი კაცობრიობის განათ-  
ლებას, რომელიც მუდამ წინ ილტვის, თვართოკდება და იზრ-  
დება. აზრი, რომელიც დაიბადა ერთ ხალხში, ეფინება სხვა  
ხალხთა შიქილება ამ აზრის პირველი აკვანი, ე. ი. ის ხალხი,  
რომელშიაც დაიბადა მოწინავე აზრი, სრულებით დაემხოს  
ძიქსა რომელიმე მასე კარემობით, მაგრამ აზრი დაჩება  
უკვდავი. და ასრეთ კაცობრიობის აზრი უკეთუ დღეს ერთ  
სიძალესუდა სდგას, სკალ უფრო მაღლა იდგება და სხვანი.  
ერის ცხოვრება კი ისეთ იშვიათ შემთხვევასუდ არის აშენებუ-  
ლი, რომ ძიქლია კაცმა სთქვას—ამა-და-ამ კარემობას მოჭეკება  
ესა-და-ესაო. ვინ იცის, რამდენი კარემობა გადისლართ-გად-  
მოიხლართება და რა გზასუდ დაგვაყენებს. ამით მე ის კი  
არ მინდა გსთქვა, კითომც რადგან ასეთი შემთხვევითია ერის  
ცხოვრება და ბევრითა ვერ კითუვით, როდის რა შემთხვევა  
დააწება მას კისერზე, ამიტომ სულ ერთია, ვეცდებით ერის  
წინ წაყენებას თუ არა. ჩემი აზრი სრულებით ეწინააღმდეგება  
ამას. მე ვამბობ—მართალია ერთ სშირად ჩაკარდება სოლმე  
სხვა-და-სხვა მოულოდნელ კარემობაში, მაგრამ სიმყუდროის  
პერიოდში აუცილებლათ საჭიროა, რაც ძალი და ღონე აქვს  
ერსა, იღვწოს გაუმჯობესობის გზასუდ, რადგან, რაც ერთ  
ძალემია განათლებით და მის იარაღებით, იმდენი მომეტეუელ  
წინააღმდეგობას გაუწევს ცუდს, მამაკვდინებელს და დამამხ-

ბელ შემთხვევას, და იმდენი უკეთ იქნება მომზადებული, რომ კარგათა და მთლიანათა ისარგებლოს კეთილი შემთხვევით. და რაც უფრო მომზადებულია ერი, მით მკნე შემთხვევას შეუძლიან იქონიოს მასზე ცუდი გაგონა და სისარგებლო შემთხვევით ვერ ისარგებლოს ერმა რიგიანათ.

ერთი სიტყვით, ისტორიული ცხოვრება ჩვენ გვიმტკიცებს იმავე ჭეშმარიტებას, რომელიც ასრე მიდებულა დღევანდელ ცხოვრებაში შემდეგი ანდაზით: ერთი „მაჭკს“ მიჩხუნია ათასს „შქონდას“.

გარდა ამისა, რომ „წმეო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ არ არის ცხვირსასოცოვით მუდამ სასმარი განონი, ჭო, გარდა ამისა ის ცუდი ზნე გამოუჩინა ჩვენი ისტორიკების ხელში, რომ, მომავლის იმედების გასაღვიძებლად, აიძულებს მის მიმდევართ ისტორიული ფაქტების დამახინჯებას.

## V

მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენი ხალხი ძალიან შეძლებული ყოფილა, როგორც ამობენ ჩვენი მწერლები. სიძლიდრეს ყოველთვის მოსდევს ხალხის გამრავლება, სწავლა-განათლების განალება ხალხში, ხელოსნობის გაძლიერება. ჩვენი მწერლები გვეუბნებიან, რომ ყოველივე ესეებიც იყოვო, რუმცა არც ერთ აქ გამოთქმულ აზრს არ ადგენენ მეცნიერულ ნიადაგზე და არ ამტკიცებენ საკმარისი ისტორიული საბუთებით. ავიწყდებათ, რომ რაიმე რაიმეა მაგალითით არ შეიძლება მთელი საუკუნის ისტორიის აქენება. მაგრამ დავიჯეროთ, რომ ეს ყოველივე

ციდგან შთაგონებული სიძარტლეს. დავიჯერეთ, რომ ჩვენში განათლებას მეტათ დადი ადგილი უნდა სჭეროდეს, რადგან საქართველოსა ჰყვანდა ერთი საკუთარი კათალიკოზი თბილისში, დანარჩენ სხვა ქალაქებში და სოფლებში: ექვსი მიტროპოლიტი, ოთხი არსიკისკოპოზი და სუთიცი ეპისკოპოზი, რომელთაც ექვემდებარებოდნენ მრავალნი მღვდელნი, «ქრისტეს მიერ დიაკონნი» და დიახოქნი. ამ სამღვდელთა წოდებას აჰყვანდა ცათამდის ხალხის გონებითი და ზნეობითი არსება და აწვითარ მავნე, ხალხის დამხატვრულ ძალას არ იჩენდა. ნურაფრად უჭერს ნუ შევიტანთ, რომ ქართველი მეომრების გულისა და ღირსებისა ვაჟგანობას არა ჰქონია სამოსლვარი, რომ ერთი ქართველი ყოველთვის მოეჩვენებოდა ორმოცდაათს სხვა ქვეყნელს, რის გამოთვალ გერმანიის სელმწიფემ დიდმა ფრიდრიხმა მძარტლეს უთხრა თავის ჯარებს: «იბრძოდეთ ისე შეუბოჯრად, როგორც იბრძვიან ერეკლეს ივერნიო.» იქნება კიდევ გამოიძებნოს ჩვენი წარსული ცხოვრების ნაშთებში ნამდვილი ისტორიული მასალები, რომლებიც აშკარათ დაგვიმტკიცებენ, რომ მართლაც ყოფილდა ასეთი გმირული ერი, ასეთი განათლებული თავისი სამღვდელთაგანითურთ, ასეთი მდიდარი, როგორც არსად გვიხატავენ ჯერ უსაფუძვლო ისტორიკოსები, და მათი კალამი ამ მხრით არაფერს არ აზვიადებს.

მაგრამ იმაზე რაღას იტყვი, რომ რაც კი ჩვენთვის ისტორიას შეუნახავს თავის ფურცლებზე და ყველას პირში ბერთივით ახლის, ეს ისტორიული ფაქტები

მასწავლებიან ისე, რომ სრულებითა ჰგარჯავენ თავიანთ ხორცსა და სისხლსა?!

მაგალითათ, ვისთვის და რისთვის არის საჭარო შემდეგი თვალზე ხელის დაფარება, გონების მიძინება და ცხადი

დი ტყუილი: გლეხ-კაცობის «სიკეთე მდგომარეობდა იმაში, რომ დამხატვრელის უღელს მონაობის, მოკლებული (?) იყო. ღ სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნეებდა (ბატონუმობა?! რასაკვირველია! ნეტავი ისევე მობრუნდეს მაშინდელი ბატონუმობა! ანა?!) და ადვილად (დას!) ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა. ბატონუმობის საძაგელს სენს მაშინდელს დროში (ჭეი; რა დრო უოფილას ის დალოცვილი!) ძრუდიად სხვა (კარგი, განა!) ხასიათი და ოვისება ჭჭონდა.» კიდევ ცოტა ჭკემთ — „ბატონები მაშინ უმებიდგან იღებდნენ რიცრე გადასახადსა (მაგალითად, მუდამ დღე უმას უნდა ჰიქში ეყურნა თავის ბატონისათვის, იმის თვალს დახმხამებაზედ შეეწირნა მისთვის ყოველი სამუშაო დღე, უნდა მუდამ ეძღვნა თავის ბატონისთვის და „ბატონისთვის“, რაც კი სულს ჭკევით ებადა, მოკიდებულ იშინაური ცხოველებიდან, ვეჭვეულობიდან, კიდრე თავის ცოლამდის, ქალამდის ღ კიდევ სხვა რამემდის. სულ აჩაფერი უოფილას, თქვენმა მზემ! ძალიან „მცირე გადასახადი“ უოფილას!). „თავად-აზნაურობა შემეული იყო ვაყ-კაცობით, მსხეობით, გულადობით, სამშობლეს წინ დიდი სამსახური მიუძღოდა და სათაკილოთ მიანხდა გვარეულობით, ჩამამაკვლობით ეამაყნა (აღბათ, თითონ გლეხებს მოუგონიათ, რომ თავად-აზნაურობას „წმინდა სისხლი“ უდით. რა ნაირათ: უწყენინებიათ იმ სულელებს თავიანთი „ბატონებისათვის“! თითქო ბრევეები ანა ყოფილან, თითქო, ჩუნი ისტორიკოსების სიტყვით, გლეხ-კაცობა მაშინ ძალიან განათლებული იყო! ანა ეს იმათ მოგონილს ანა ჭგავს. მაგრამ, რომ ანც განათლებული თავად აზნაურები მოიგონებდნენ! სწორეთ ციღვან ჩამოსულასკეთი ციღის-წამება. მახლას!) „კაცო ჩამამაკვლობით მხოლოდ

მაშინ ამხარტავნობს, როდესაც მოკლებულია კაცურ თვისებათა (როცა ოთხ-თვესზე დაიარება? რადგან ჩვენი იაკადნი ოთხ-თვესნი არცა ვოფილან ჭ არც არიან, რადგან ისინი. კაცური თვისებისანი არიან და იყვნენ, ამიტომ ასეთ ამხარტავნობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი; მაგრამ ადგილი აქვს. მაშასადამე, ესეც ციფგან ჩამოსულა.), ადამიანურ სიკეთესა, და ჩვენი თავად-აწინაურება იმდენად, რაცხდა თავის-თავს ძალდა მდგომარედ ამ ნაკლულეკანებაზედ ჭ იმდენათ იმედო ჰქონდა თავის შიროვნებითის ღირსებისა რომ, კვონებთ, თითოეკე გამოსთქვა ანდაზა: «თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარ-შივილობა!» (სწორეთ გლეხების ამხარტავნებაზე გამოსთქვა მდენ ჩვენი თავ-დაზალი იაკადები. რა მასკილი სალსი ყოფილა!).... მარტო ამ სათნოისან განწყობილებით ბატონთა და ყმათა-მორის აისხნება ის თაქტი, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხები, რომელნიც ერეკლეს ბრძანებით ყმობიდან სრულებით განთავისუფლებულნი იყვნენ, თითოეკე ეძებდნენ ბატონებს და თავის ნებით უბრუნდებოდნენ მათ, „რათა არ დაჩხელინიყვნენ ღვთის-ამაჩა, უპატრონოდ და უძიარეკლოდ.» (განა არ გეუფრებათ, რომ ამ მოკლენის მიზეზები ორი გარემოება მოგყავთ, რომელნიც ერთმანეთთან ისე კერ მოთავსდებიან, როგორც ცეცხლი და ყინული! თუ „სათნოისანი განწყობილობა“ იტაცებდა გლეხს ბატონის წისლ-ქვეშ, მაშინ რაღათ არ ძალაძთ იმ გარემოებას, რომ გლეხები იმიტომ იწეკდნენ ბატონისკენ, «რათა არა დაჩხელინიყვნენ ღვთის-ამაჩა, უპატრონოდ და უძიარეკლოდ»? სომ არ შეიძლება, რომ იაკადებს ეძიარეკლათ გლეხებისთვის, ჭ არა გლეხებს შიროვნებისათვის, რადგანაც უკანასკნელნი იყვნენ მრავალნი და შიროვნელი მცირენი. თქვენც თითონ რამდენიმე

სტრუქტურით წინ აღვიარებდით, რომ გლეხები იყვნენ თავიანთი მშვენიერი ბატონების მთავრეულნი. იქნება შეცდომით მოგივიდათ ღ თქვენი აზრი კი ის იყო, რომ გლეხები თუმცა ათ-ას-ჯერ მრავალი იყვნენ ბატონებსე, მაგრამ ისეთი უძლურნი იყვნენ, რომ თავისი პატრონობა არ შეეძლოთ და ფეხებში ეფინებოდნენ შესანიშნავ დევებს - ბატონებს? გამორკვევითა სთქვით თქვენი აზრი.) რასაკვირველია, ბატონ-უმობა, როგორც ბუნების წინააღმდეგი და ადამიანის ღირსების დამამცირებელი დაწესებულება, მაშინაც სამკვლავ სენს შეადგენდა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს სენი მოკლებული იყო თავის გამოკონილს და დამამხობელს თვისებასა:» (იქნება არც აქ გუუერებათ, რომ თქვენი სიტყვები ერთმანეთს აქარაფშუტებენ? რათ მოგდით ასე, საკვირველია! თუმცა არ კარგოდა ბატონ-უმობა, ადამიანის ღირსებას ამცირებდა, მაგრამ არ იყო გამყენელი. მას ადამიანის ღირსების დამცირება გარყვნილება არა გგონიათ თქვენ? ძალიანა სცდებით). «ივერია» № VIII. გვერდი 65—67.

აქა ნაკლებ მჭერმეტყველებასა ჭნახვით თქვენ იმ აზრის გამოკვლევაში, ვითომც მეთვრამეტე საუკუნე ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა აშენებული იყო კონსტიტუციასე, მეფის უფლება განსაზღვრული იყო ხალხის წარმომადგენლობით. მაშინ, როდესაც ასეთ სიტყვებზე მოგიყვებიან ლაშარაკს და გააქვს ქალამს უღმერთო ჭრატნი, უცებ თითონვე გადაგიშლიან ისტორიულ ფაქტს, სადაც . . . ზედ დასაფურთხებს მთელი ხალხის სურვილს,

დასამტკიცებლათ იმისა, რომ ჩვენი ხალხის მოწინავე პირნი იმეორებოდნენ ევროპის მეთვრამეტე საუკუნის გავლენის ქვეშ, მთავრით სსკათა-მორის ის განკარგულება ერეკლესი, რომლის ძალითაც ერეკლემ განთავისუფლა ბატონ-უმობიდან.

ის გლეხნი, ვინც ტყვეობიდან დაბრუნდებოდნენ. ამ განკარგულებიდან ჩვენ მწერლებს გამოჭყავთ ის დასკვნა, ვითომც ერეკლე ამით პირველი ნაბიჯი გადადგა ბატონ ყმობის სრულებით მოსპობასკენ. დემეტრე ჩემო, რას არ მოაგონებს კაცის გამოურკვეველი აზრი! ამ განკარგულებით ჩვენ მხოლოდ გვესმის ის უნუგემო მდგომარეობა გლეხ-კაცობისა, რომელშიაც იგი იწრწვებოდა, იტანჯებოდა და ვაგლახობდა იქამდის, რომ ტყვეობაში ყოფნა ერჩივნა სამშობლოში დაბრუნებას და ბატონების უღელზე ქედის მიდებას. მაშასადამე, ერეკლეს მხოლოდ ასეთი რადიკალური განკარგულებით შეეძლო უკან დაბრუნებინა თავისი ხალხი.

## VI

ნულარ ვილახაჩაკებთ იმაზედ, რომ ჩვენი ხალხი, დიდიდგან პატარამდის, მღვდლიდგან ერამდის, ბატონიდან ყმამდის, მწერლებიდან მკითხველებამდის, სულ ერთსა და იმავე ენაზედ ლაპარაკობდნენ, რითაც ასრე თავი მოსწონთ „მამულის საუკეთესო შვილთა“. ნურავინ ნუ გაუწყრებით მათ უცოდინარობისათვის იმ უბრალო ისტორიული ანბანისა, რომელიც გვიმოწმებს ყველგან და ყოველთვის, რომ: რადგანაც მეცნიერების შესწავლა და ლიტერატურისთვის მოცალეობა ურგუნის ბუნებას ათასში ერთისთვის; რადგანაც მეცნიერებასა აქვს თავის სამზღვარში ათასი მოკლენანი. რომელთაც უცოდინარი კაცი ვერც კი წარმოიდგენს; რადგანაც ამ სსვა-და-სსვა მოკლენას ერთი და იგივე სიტყვით ვერ გამოჭსატავ და ყოველამათგანს უნდა უძღვნა თავისი სახელი, — ამის გამო მეცნიერე-

ბის ენა განიხივებდა უბრალო სალაშარაკო ენიდგან. მაშასადამე, თუ ჩვენში მეცნიერებასა ჭკონდა გადგმული ბურჯი, უთუოთ განათლებული საღისის ენა გაუგება. რა იქნებოდა უმეცრების-თვის. და უკეთუ ჩვენში ის მეცნიერება იყო, რომელიც არ აღემატება გაუნათლებელი კაცის შესედელობას, მაშინ იმისთანა მეცნიერებაზედ ლაშარაკიც არა ღიწს და თავის მოწონებას რომ უადგილოა.

მხოლოდ ერთი ეს ვიკითხოთ, მაშ მართლა ჭკუიდან ჩამომსდარნი რომ არ არიან ჩვენი პატრიოტები, რომ ასე აშკარათ ტყუილებს შეზდგომიან, ასე გაძრას ამანინჯებენ და ასაძაგლებენ ისტორიულ ფაქტებს? აღბათა აქვთ სასუში ისეთი წმინდა რამ მიზანი, რომლის მიღწევა მათგან თხოულობს ტყუილსა, იმათი აზრით.

მართლადაც და, თუძცა მათი ნაწერების გაგება უძნელესია ჩინეთის ენის გაგებაზე, მაინც, ბევრი შიშისა და მოკრძალების შემდეგ, იმათ სიტყვებში გამოსჭკრეტავს ნაღველი იმის-გამო, რომ ჩვენი საღისი ვერ იმყოფება თავის ჭკრქში და მოკლებულია ეტნოგრაფიულ თარსნობას. ეს ნაღველი მეტათ პატრი-საცემია. საღისთა ეტნოგრაფიულ განსაზღვრებას და დამოუკიდებლობას მსხვილი ასობით ჩასწერს პოლიტიკური ისტორია მეცნრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. აბა შესედეთ თითონ რუსეთს, რა დღე დააყენა ოსმალოსა! შენ როგორ შეგიძლიან უცხო საღისის დაპერობა და მისი თავისუფლების განადგურება! მიზღვა და სულ რურგზედ ბოლი აადინა. თუძცა თითონაც ძრავალი ზინი მოუვიდა, მაგრამ რა სათქმელია ზინი, როდესაც წმინდა აზრი ტალასში ამოუთართლიათ მტარკალებს?! მასთან ისიც უნდა ვსთქვათ; რომ ზინი ააყენებინა რუსეთმა ვერ მამულების ჩამორთმევიით და

მეცე შეამსებინებს ფუღითაც, ასრეთ წოდებული სამსედრო კონტრიბუციით, რომელიც უნდა გადაესდოს ოსმალმა. ერთი სიტუვით, ბეკრი მაგალითები რა საჭიროა, მეტადრე თუ ძალა უნებურათ აწუღები ისეთ უმსგავს მაგალითებს, რომლებზედაც ვერას იტყვი პირ-და-პირ და დაცინვას კიდევ ბეკრნი ვერ მიგიხვდებიან,—ჭო მაგალითები რა საჭიროა, რომდესაც ესლანდელ დროში პოლიტიკური აზრი ისრე მომწიფდა და აიტკრიცა, რომ ყველასთვის გასატგებია ეროვნობითი დამოუკიდებლობა.

როდესაც მე მიუხვდი ჩვენ პატრიოტების ამ ნაღველს, ამ დედა-აზრს, რასაკვირველია, ძალიან მიამა, რომ ისინი სრულებით წყალში გადასაყრელნი არა ყოფილან. მაგრამ საწყენი ის არის, რომ თავიანთი ტუფეილებით, უთავ-ბოლო მიკიბ-მოკიბვით სამუდამოთა ჭკარგაკენ ხალხის რწმუნებას ამ წმინდა ნაღველის სინამდვილეში. მე რომ დავიწყო ჩვენი მეფეების ქება და, სხვათა-შორის, ვაღვიარო, რომ ისინი იმიტომ ამრავლებდნენ ჩვენში თავადებსა და აზნაურებსა, რომ უნდოდათ ხელ-ნელა მთელი ხალხი გაე-თავად-აზნაურებინათ და სამუდამოთ მოესპოთ სხვა-და-სხვა წოდებანი, ყოფილიყო ერთი წოდება, მეთქი, თავადების გაგლეხება საწყენი იქნებოდა და გლეხები რომ სულ მთლად გათავადებულყვნენ, ეს სანამოთ დარჩებოდათ იმათა, მეთქი. აი, რა დემოკრატი მეფეები ბგუჯანდნენ და რა ჭკვიანათ გაჭყვანდათ თავიანთი აზრი, მეთქი. რომელი მკითხველი არ იტყვის ჩემზე, რომ ეს კაცია ან სულელი უნდა იყოს, ანა სწადიან ჩვენი მოტყუნება; ორსაკვი შემთხვევაში უკადრისი კაცი ყოფილა და, აბა, მაგის რასი-რუსს რა ბაჟი აქვსო! ამასთან უნდა ისიცა ვსთქვა, რომ ჩემი

ახსნა ისტორიული მოვლენისა ანათეურში არ ჩამოუვარდება  
ჩვენი პატრიოტების ისტორიას.

## VII

„როგორც ბერიო, ისეთი ერიო“, ამბობს ანდაზა, ანუ  
„გოგასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოზდინდების“. პრაქ-  
ტიკული მოქმედება ჩვენი პატრიოტებისა სრულებით შეესაბა-  
მება მათ ტეორეტიკულ გზა-დაფანტულობას. ვინმე პატარა  
კაცმა შეადგინა რიგიანი ქართული «ანაბანა». უოკელი კაცი  
იტყვის ამასედ, რომ ღმერთმა უშეუღლოს იმ კაცსა, კაი საქმე  
გაუკეთებიაო. მაგრამ „მამულის საუკეთესო შვილი“ ააღრენს  
პირსა ღმრთვეს, მოშლილი წისკვილივით, ერთ ვაი-კაცლასს:  
„უჭ, რამოტელა ღვაწლი მიუდის სამშობლოსადმი! უჭ, რა შე-  
სანიშნავი კაცი უოფილა და ჩვენ კი არ ვიცოდით! უჭ, რა  
ბურჯათ შეეყენა საქართველოს და რამოტელათ წასწია წინ-  
იშისი გონებითი ძალაო! ჩქარა გადაშალეთ ისტორიის თურც-  
ლები და იქ, მამულის მხსნელების სიაში მოაქციეთ ეს დიდუ-  
ბული სასელიო!“ ასეთი უაზრო ქება ზოგს სრულებით ხელს  
ააღებინებს მუშაობაზე, ის სირცხვილით თავს ეკლარ გამოჭ-  
უოფს გარეთ; ზოგს კი ისე გაასულელებს, რომ ეგონება, მართ-  
ლა იმოტელა საუნჯე მიმინიჭებია სამშობლოსათვის, რომ  
მოძატებული აღარც კი უნდა-ღა რამეო. ერთის სიტყვით, ორ-  
საკე შემთხვევაში კაცს ხელს აღებინებენ წუნარ და სასარგებ-  
ლო მუშაობაზედ. აკტიორი გინდა, პატრიოტული მწერალი,  
ანაბანის გამაგრცვლეკელი საზოგადოება, საადგილ-მამულო ბან-

გი, რომლებითაც განისაზღვრება მთელი საღვთის გამოფხიზლების ასპარეზი, ჩვენი მსხველქმების აზრით, — უოკელი ესეები, უთავ-  
 ბოლო ქებით, ისეთ წვრილმან და დაცემულ საგნებს შეადგე-  
 ნენ, რომ არც კი ღირსან რიგისან საბასათ. არც საკვირველია.  
 ისეთ ცოტა მოთხოვნილებებს უშენებენ ჩვენი ერთგული პატ-  
 რიოტები, რომ გაცი თვალ-დასრული აღასრულებს იმათა, ჭ-  
 რადა საჭიროა იქ ან მომზადება, ან გონებითი გასწილობა,  
 ან ფლავი და ან ჩლავი. წამოროშე შენ თეატრში: «მამულო  
 ასევეარელო, შენ როსდა აჭევევდებიო?» და უდიდესი აქტიო-  
 რის სასული მზათ არის შენთვის. დასწერე, რომ თავდა-აზნა-  
 ურობასა და გლესებს, ბატონსა და უმას ერთი და იგივე წა-  
 დილები აქვსთ, ერთ ტაფაში იწვიან და ამიტომ რადათ შე-  
 ავიწროებენ ერთმანეთსაო, — და ამ უგუნურ ბოღვისათვის შენ  
 გამოჩენილი მწერლის სასულით იცოვრებ და იმავე სასულით  
 მოჭკვდები. ანაბანის გამაყრცელებელ საზოგადოებას რომ აღა-  
 რა უნდა რა დღეის იქით, რაგი ბათუმში გასსნა სკოლა, რომ  
 მელმაც თავის მოვალეობა აღასრულა და ამ დღეებში სამუდა-  
 მთ დაიკეტება! გაანათლა «საზოგადოებაში» მთელი ბათუმის  
 მახროა, აღადგინა მათ ბნელ გონებაში და ცხარე გულში  
 საქართველოს დიდი სასულიო, შეჭკრა ერთი აზრითა და წა-  
 დილით დანარჩენ საქართველოსთანაო და ესლა უნდა დაიკე-  
 ტოსო, რადგან ერთ წელიწადში აღასრულა თავისი პატრიო-  
 ტული მისსიაო.

და ამ სახით, ვინც კერძო საქმეს ადგა ჭ აკეთებს რას-  
 მეს სამშობლოს სასულიო, იმას შეუძლიან ერთი თვალის და-  
 ხამსამებაზე უდიდესი სასული დაიმსახუროს მამულის მსხვე-  
 ლებს-შეა, და ვინაც განსაზღვრული საქმე არა აქვს, ან არ  
 შეუძლიან, არც ის არის სამუდამოთ იმედ-მისდილი, რომ მა-

მულისადმი არ მიუძღოდეს რამე ღვაწლი: იმას ნება აქვს მინიჭებული, რომ თავის მდიდარი სუფრიდგან თითო-ორილხანაღირნი ლუქმა, რომელიც უნდა ძაღლსა რგებოდა, გადაუგდოს საწყალ ღაზარე—საქართველოს, ან თუ ფული კერ გამოეტყობა, აქოს და აღიდოს ჩვენი პატრიოტები; სადაც კი შესვდება, თვატრში უფროსს ჩვენ აქტიოტებს და მეტადე აქტიოსებს „ბრათ“ და «ბისი», შეერთებული ხმა-ძალა ტაშის-კვანთას, და მეტიც საჭირო არ არის. მისი სახელიც ისტორიის პანტონში გამოიჭიმება. ამიტომაც ვხედავთ, რომ ჩვენი პატრიოტების რაზმს შეადგენს ჩვენი უძლეური თავდაზნაზრობა, გლეხობა ამ მაიმუნობას კერც გაიგებს და არც მონაწილეობას მიიღებს. იმას უჩვენე ნამდვილი საქმე ჭკვიანი აზრი, მაშინ სრულებით სხვა მოთხოვნილებას წაუყენებდნენ იმათ, ვინც მონადრებდა ჩამდვილ პატრიოტებში ფეხის შედგმას. მაშინ თვითონ ეროვნული კითხვები სხვა ნიადაგზედ აშენდებოდნენ.

... ესლანდელი „ბებე-ბებე მალულობა“ მართლაც უძლეური თავადებისთვის ჭამ დვილია. ჭამ სახელს მოიპოვებენ სულ ტყვილათ. აბა, ან რა პარტია უნდა შედგეს ამ არაფრობიდგან, ან რა უნდა გააკეთოს იმან ხალხისთვის!

ვათავებ ამ უნუგეშო საგანზე ღაზარაკს ერთი კითხვით, რომელიც მე უნდა მივმართო ჩვენ მოარველებს: შეიძლება თუ არა უკვდავი გაკხადო ჩემი სახელი, უკეთუ ამას იქით უყარაულებ სწადგილ-მამულა ბანკებსა და, რამდენი ეს ბანკები გაჭყიდინან ქართველების სახლ-კარს, მამულ-დედულებს უცხო კაცებსე, იმდენი მოკრთო შეძლევი ბასი: გისაროდეს, მიმადლებულა სამშობლო, შენი უძრავი სწამკვიდრო შეიქნა მოძრავათ, დასურდავდა. თანხა, რომელიც აქამდის უსარგებლოთ გელო მი-

წაში, მოვიდა ხელთა და მიეტა საჩუქრების მოძიებას, რა-  
 შიაც არის ახლანდელი დროის ნამდვილი სიმდიდრე. ესლა  
 თქვენი ნუღარა გაქვს, რაკი შენში ერთი ჩაისახა ბანკი თავის  
 პრეტენციებით, იმედია, რომ მალე აიხსნი თავს, მკვლარ მი-  
 წაზედ მიტყდილს. მალე შევესწრობით იმ ნეტარს დროს,  
 როდესაც საქართველოს თავად-აზნაურობაც და გლეხობაც  
 სრულებით გაინთაისუფლებენ თავს მამულ-დედუღიდან, უკა-  
 ნასკნელი განდება ხეულისანი უცხოელების კუთვნილებათ, და  
 ჩვენი ხალხი იცხოვრებს სხვების მიწაზედ ქირით. მოუჭა  
 მაინც აღარ მოუნდება მამულს. ასლა სხვამ გაინეტქოს თავი  
 მის მოვლაზე, თუ კარგია! ერთ-მანეთში, მამულთა გრამო-  
 ტების წყალობით, დაუსრულებელი ჩხუბები სომ სრულებით  
 გათავდებიან და ყველანი კიცხოვრებთ ძმურათა და სიყვარუ-  
 ლით! და ასეთი ბედნიერი შედეგი მოზოკეს ჩვენ „საადგილ-  
 მამულა ბანკსა“. უდიდესი დაწესებულებაა ეს ბანკი და მა-  
 ლეც მოგვაშორობს თავიდან მამულების ღარდებს“.

შემიძლიან თუ არა ასეთი საზრების გაკრძელებით დავი-  
 მსახურო მამულის მისხელის სახელი? ჩამწერთ თუ არა პატ-  
 რიოტების სიაში? მიუმატებთ თქვენ დიდროან-დიდროან სა-  
 ხელებს ჩემ სახელსაცა თუ არა?

სტ. ქრეცაშვილი.

## ფეხაზი ჩვენ აბატონებს.

სწორე მოგახსენოთ, მე არ მახსოვს რა თვეში ან რა წელში იყო მე რომ გავემგზავრე „ვერ-ნახის“ ქალაქისკენ, მაგრამ ის კი, რაც „ვერ-ნახელების“ ქალაქში კარგი რამ ვნახე, ისე დაიბეჭდა ჩემი გულის ფიტარზედ, რომ ვერაიერი მანქანების ძალა ვერ მოშლის მას იქიდგან. აქამოდე განუებუ-ლი ვიყავი, მინდოდა რომ ჩემი ახალი ცოდნა მცოდნოდა მე მარტო, რადგანაც ის იმისთანა ცოდნა არის, რომ მართლად ეურადღების ღირსია და აღმამაღლებელი უოგელივე დეტემუ-ლისა! მაგრამ მამულის მოყვარეობამ და ძმათა სიყვარულმა იქამდისინ მიმიყვანეს რომ, აი, დღეს მინდა უძღვნა იგი მათ, ვისთვისაც არის საჭირო და სასარგებლო, თუმცა ისინი იქამ-დის უკეთურები არიან, რომ თავის დღეში განძრახს მადლობასაც არავის ეტყვიან. სწორე მოგახსენოთ, რაც მე ასალი სათქმე-ლი მაქვს ჩემი მოძმეებისთვის, ეს რომ სხვა ქვეყნელებს გარ-დავცე, სწორეთ რომ ჯილდოს მიძღვნიან; არა, მგონი, ჯილ-დოც არ დამაჯერონ, იქნება იმისთანა ბურჯიც ამიგონ, რომ უკელა გამკლელ-გამომკლელს ეძახოდეს: აქ მოდი და აქ მნა-ხე!

ვიწუბ, ვიწუბ და, როგორც შეეითა ვსთქვი, არ ვიცი კი როდის გავემგზავრე; მაგრამ ეს სულ ერთია მკითხველის-თვის, —საქმე ამისა, რომ «მე» გავემგზავრე. ჭო გავემგზავ-

რე. რომ გავეძგზავრე ღ კიდევ მიკედი ორ დღის უკან „გერ-  
ნახის“ ქვეყანაში. მე, როგორც ქრათეშუტა ქართველმა, გავსწიე  
ერთ დიდ სასტუმროსკენ, რომ ხალხს თვალში მალა დაძე-  
უნებინა ჩემი თავი, თუმცა კი არა მქონდა მაგდენათ დიდი  
შემლება. დილის შვიდი საათი იყო და ჩაის დროც მოკადა.  
შეუგებეთ ბიჭს მაშინვე ჩაი, ჩაის შემდეგ ცოტა რამ სანა-  
წილოთ, მერე სადილი და სადილის შემდეგ სიჩის კუდიც.  
ამისრუელს უოკელის ფერი, მაგრამ ვაი იმ ასრულებას, ერთის  
მხრით, და ნეტარ იმ ასრულებასაც, მეორეს მხრით: პირვე-  
ლის მხრით იქამდის გავკვირდი, რომ კინაღამ ჭკუიდან არ  
შევიძალე. აი საქმე რაში იყო: მოიტანეს სადილათ ჯერ ერ-  
თი ჩიგი, მერმე მეორე, მერმე მესამე და მეოთხე, მაგრამ  
იმისთანა რამ გემრიელი საჭმელი იყო, რომ ვერ შევიძლე  
წარმოდგენა და სწორე მოგასხენოთ, ძალიანაც დაეფიქრდი.  
დაუძახე ბიჭს და კვითხე. — თუმცა კი მეთაკილებოდა ის, რომ  
გჭამდი და არ ვიცოდდი რას ვჭამდი, — ბიჭო ეს რა ხორცრუ-  
ლი იყო ასე გემრიელი მეთქი. იმან ჯერ გაიცინა და მერმე  
ძითხრა: ბატონო, პირველი გახლდათ კაცი, ე. ი. ადამი-  
ანის მალა — უკანა ზურგის ნაწილი, მეორე კაცისავე სიჩბილე,  
იმისვე ქონში გავეთებული, მძრით და ნიგვზით შესავებული,  
მესამე კაცის სუვი, დაკეპილი და მოხრაკული, და მეოთხეც —  
რმე ნაწოვი, ბოშის ნეკნებიო. ვაი არ არის, მაშ რა არის?!  
კაცის ხორცი! ერთი კაცი რომ მეორე კაცს ჭკამდეს ღ მის  
ხორცს სჭამდე! წავიწიე ბიჭისკენ და, რომ არ ახსნა უოკე-  
ლიფერი, სწორე მოგასხენოთ, იმავე მინუთში გავათავებდი.  
როგორც აყო თავი შეიკავე. იმანაც გულ-გახეთქილმა დაიწ-  
ყო: არა ბატონო, კაცებს კი არა ვხორცავთ, ეს სასტუმროც,  
როგორც სხვები, ხანჯებს (თავალებს) ეკუთვნისო: ისინი

დიდი ყმა და მოასლის ჰატრონები აჩიან! სანამდისინაც მუშაობენ მათი ყაჭები—მუშაობენ, მერმე, როცა კვდებიან, მკვდრებიდგან ემაგნაიკ საჭმელს აკეთებენ და ჭყიდიან, ასე რომ, როგორც სიცოცხლის დროს, ისე სიკვდილის შემდეგაც სასრებლობენ ყმებიდგან და მოასლებიდგან. აქ სულ ექვსი სოფელია „ვერ-ნასის“ გარემო და ერთი ერთმანეთში შიდას, უიფულობენ მკვდრებს ჭ შექცევინა“.

ჭა! ჭა! წამოვიძახე ძალა-უნებურათ აღტაცებულმა. სასიხარულოა ჩიან. მაშ რა ჩიან?! აქამოდე ჩვენი თავადები მატრო ყმების სამუშაოთ სცხოვრობდნენ მათ სიცოცხლის დროს, ესა ხიკვდილის შემდეგაც კი დასრებლებენ, მერე როგორა, კაცო, და! შეიძლება თურმე, რომ ერთი კაცის ნაგაჭრი ჭყანასენელ თუთხინეტ—~~თ~~ მანამდის ავიდეს. აშენდებიან, ღმერთმანი, ჩვენი თავადები, და მერე ~~მანამდის~~ წაწვეს. მაშინ ისინიც, როგორც სომხები, ათას-ნაიას შემწობას მისცემენ ჩვენს დანემულს ხაფხს! ჯმ საქმის შემტეობს, აბა, რა დამეპართებოდა, იფიქრეთ! მერმე მეც ერთი თავადთაგანი ვარ და დიდი ყმა-მამულის ჰატრონი.

მივეცი მაშინვე სასტუმროში საჭმლის ფასი და, თუძცა თას-ნაიკი საქმე მქონდა „ვერ-ნასის“ ქალაქში, გამოუსვი ჩვენსკენ, დედოფლის მათარით, სახარებლათ. ეს კი იყო, აი, ეს მედო აქამოდე გულში და ბარაქალა ჩემს გულს, რომ ასე აქამოდე შიგ დაიტოვა! აბა, ჩემო კარგნო, ვინ დაიშურებს ჩემთვის ჯილდოს, თუ ღმერთი გწამსთ!...

აბა, სასტუმროებო, იყიდეთ მკვდარი კაცები, გააკეთეთ „ვერ-ნასულათ“ საჭმელები! აბა, თავად-აჩინურებო, გაყიდეთ თქვენი მკვდრები, არ გინდათ, ქრისტიანებო, ფული?! მერე რა კარგ დროს მოგესწროთ და! სწორეთ იმ დროს, როდესაც

ტუე და მამული სულ გადაჭკაჩოეთ, როდესაც უძები, ცოტა  
 ან იოას, თქვენ სიტუვას ალან იგონებენ და შატრივიც, აგუა-  
 რესთ. აბა, თქვენც, ტუბილი საჭმლის მოყვარენო, „დიდნო“,  
 მიჭმარეთ სანსტუმროებს! მაგრამ ჯერ კი, სანამ შეეჩვეოდეთ  
 კაცის გულ-ღვიძლის ჭამას, სუბიუქათ უნდა მიირთვათ; ვინ  
 იცის, ვაი თუ ბევრი მიირთვათ სიხარბით და გაწყინდით.  
 რაკიდა შესჭამთ კაცის გულს, მერმე კი ნულან გეძინინათ,  
 ანაიერი ან გიჭირსთ, ღ უფაჰეთ, რამდენიც სულსა და გულს  
 უნდოდეს! ეს კი გახსოვდესო, რომ წულის ანუ ღვინის მა-  
 გივრათ სისხლი უნდა დააღიოთ ხოლმე და ფიქრები განდევ-  
 ნით თქვენგან შორს სადმე; თუ მხარ-თემოზედ წამოწოდ-  
 ები სირის ჭრდთ მიჭმადის სამო... მშენიერებასაც მიირ-  
 თმევთ, ხომ უფრო კარგ... თქვენც ისინამო-  
 ნებთ... მადლობას დაიმსახურებთ,  
 —მეტო ხომ თქვენც... მშენიერების გარეშე იქნება და  
 დძერმამაც გამოჩრსთ!...

კოტოში.

\* \* \*

ვეძღვნი გულითადს მეგობარს მ. ტ.

საყვარელო მეგობარო, გონება მომაპყარია,  
ნახე ეს წუთის სოფელი, რა უნდოა და ჩქარია:  
სად ლხინსა ნახავ, იქვე კერდსა ჭირი აფარია, —  
ნუ შერჩები... შეინახე სიგაბარია.

რა დადგები სისწორეს, სუფთა შენი მტერია,  
ყოველიფერი შენ გიშლის, გაბრუნებს, რაც სხვას სჯერია,  
გიყოლებს, გაბრძობს, გიზიდავს, გითვისებს რაც რაქერია,  
გატყუებს, გიჭყვებს, გაჩერებს, დაგაბამს, თუ მოგერია.

გაიცანი, დააკვირდი, სოილისგან შორს გამოდი,  
გამოგლიჯე შენი თავი წყულებსა, გამოშორდი,  
არ დაბრუნდე—მოგაყოლონ გმობა, წყევლა. ჭკა ღ ლოდი,  
მამაცურად გამოიჭერ, სიმართლისგან მონაწოდი.

თვალი მოავლე შორიდგან ცხოვრების რეკა-სერილობას,  
რას წაუღია ნამუსი და რას უპირებს ცილობას,  
შეწესდი სიბრალუღითა, ერჩდე თავისა ცვლილებას,  
მერმე შეერთე მოყასთა, დასძინდე გ მოცდილებას.

ესრედ წმიდათ, გარდუსხეველათ სწორეთ-სწორი გ<sup>ღ</sup>ს იარე,  
რატა ძალი გონებისა გქონდეს, ერთათ მოისმაჩე,  
ძნელი შეგხედეს—დაარღვიე, დაატებე, რატ ჭპოვო მწარე, —  
ესრედ სამხნე შეიმოსე, გაიხარე, მეც მახარე.

ეულის-კარული.

10 დეკემბერს 1881 წ.

ზუგდიდი.

ზუგდიდელთან „კიდევ-პიტუვის“ კორესპონდენციის  
ბაგო.

უურნალი „იქედის“ მუცსრე ნომერში მე, სსკათა-შორის, წავიკითხე ზუგდიდელთან კორესპონდენცია „კიდევ-კიტუვისა“, რომელშიაც ეს პატრი-ცემული ავტორი ესება ზუგდიდის პოლიციის ჩინოვნიკების მოქმედებათა შედეგის ცილის-წამებით: ოც-და-ოცს რეკტორის რეკსა ზუგდიდის პოლიციის მსახურთაგანს „ქანსა“ ~~...~~ თვის ქუჩაში სტემდენ, მას მიეშეკლა მსოფლიო ერთი მისივე ამხანაგი „ეურცქვიტა“, რომელსაც, ვითომ ცემა-ტყეპაში განკუთვლეს ისე, როგორც ჩარგი მემწევე მეძებარი, გაუკისა ზუგდიდის პოლიციის და „სუდის“ ნაწილები სხვა-და-სხვა გვარი სანიკრებით; ეს „ეურცქვიტა“ როგორც ჩხუბების და სანიკრების მოყვარული, მასთან შემთხვევის მძებარი (?), თავის ნებით გაქცეულა ამხანაგის „ქანის“ მოსახმარებლად, თორემ არავითარი მინდობილება მას არ ჰქონია; მისვლისათანავე „ეურცქვიტამ“ დაიწყო ვითომ უვირილი, დაუძახა უაზარ რუსებს, მოვიდნენ ოთხი დარჩალებული ვსადნიკები, მოსთხოვა მათ პატრონები (ტუკია-წამალი), მაგრამ არ აღმოუჩინდათ, ამიტომ „ეურცქვიტამ“ ეელაჩაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ ხან ერთს ეტა, ხან მეორეს და მეორე გაძვრა სადღაცა. გარდა ამისა ავტორი ზემო აღნიშნულას სტატიისა უმტკიცებს „ეურცქვიტას“, სხვათა

შორის, ასი მანეთის ქრთამთ აღებას, რვა-ათასი მანეთის დაკმაყოფილებული „ისპოლნიტელნი ლისტების“ დაწეს და მითი მართალი ვაჭრის სატრუსადოში დაბმას და სს.

თუმცა, მართალია, ზემო მოყვანილი კორრესპონდენციის ისეთი გასაკიცხი შინაარსის მექონია, რომ მასზედ გამოლა-პარაკება არც კი იყო საკადრისი, მაგრამ მე, ვერ როგორც ზუგდიდის პოლიციის წევრთაგანი და მერე, როგორც დაწერი-ლებითი მცოდნე უოკალივე ამ საქმის გარემოებებისა და იმი-სიტე, თუ საიდან, როგორ და რა მიზეზისთვის წარმოსდგას ეს კორრესპონდენცია, აღსადგენელად ნამდვილის ჭეშმარიტე-ბისა, ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ვაუწყო პატივ-ცემული უფრ-ნალი „იმედის“ მკითხველ საზოგადოებას, თუ რაში მდგომარეობდა ნამდვილად საქმე.

წარსული ოკუპაციის ბტ-და-ერთს და არა ოც-და-ოცს რიცხვს, ზუგდიდის მკვლევარს, სასჯელდობრ გიორგი ნიკოლა-შვილმა, მართლაც, დილით ადრე, სამსახურში მიმავალს ზუგ-დიდის „უზრავლენის“ ჩინოვნიკს დ. ყ...ს მიაყენა ქუჩაში შე-ურაცხება, ხელის შესებით, როგორც ესლა ამბობენ ორის დაჭრისათვის. ჩინოვნიკი ყ. ამ საგანზედ მამინვე მიიქცა მარ-რის უფროსთან, სადგომზედ, და სთხოვა მას ამ საქმისათვის დამნაშავესადმი კანონისებრ მოქცევა.

მასრის უფროსმა მოისმინა ჩინოვნიკის ყ. განცხადება, გაგზავნა ნიკოლაშვილის „უეზდის უზრავლენისაში“ მოსახმობ-ლად ვერ ბაზრის ზედამხედველი, რომელსაც საჭიროებისთვის მოახმარა ორი გასადნიკი, მერე გაგზავნა პოლიციის პრისტავი, მაგრამ იმას აღმოუჩინეს მთელი ზუგდიდის ვაჭრებმა, დეპუ-ტატებთ—დათაია ჭკდიას და ნიკო საბურჩხანიას თაონობით, ისეთი წინააღმდეგობა, რომ არა თუ დროზედ აღსარულეს

მასრის უფროსის მინდობილება, არამედ ველარც კი აცნობეს მას მიზეზი ამისა. ამიტომ მასრის უფროსი იძულებული შეიქმნა მისის სადგომიდან, სადაც მუ ამ საქმისთვის მიხმობილი ვიყავი, გავეგზავნე მე, „უესდის უზრავლენის“ სეკრეტარი, შესატყობლად, თუ რა უვირილია და რა მიზეზია აქამდის ნიკოლაშვილის მასთან მოუყვანლობისა, რისაც დასამტკიცებლად მსურველთ შეუძლიანთ ისილონ მასრის უფროსისგან უ. ქუთაისის გუბერნატორისადმი № 97(19)-თ მოხსენება.

მე წაკედი მარტო. მიკედი თუ არა დანიშნულს ადგილს, ვნახე, რომ მთელი ზუგდიდის ვაჭრები თქმის ყველა თავიანთის „პრივაზიკებით“, რიცხვით ექვსასამდის, შეკრებილან ნიკოლაშვილის დუქანთან და საზიზღარის ხმით უვირიან: „ზოლიციას არა აქვს უფლება მეორე გილდის „უუბენი“ დეპუტატების ნება-დაურთველად დაიბაროსო, ამიტომ ჩვენ არავის არ მივსცემთ მასრის უფროსთან ნიკოლაშვილის წაყვანის ნებასა და სხე...“

თუძცა მე და სხვაც ბევრი ვეცადეთ ტკბილის სიტყვით და არა მუჭარით ვაჭრების აღრეულობა დაგვემშვიდებინა, მაგრამ ვერ მოვასერხეთ; ამიტომ მე დავსტოვე ისინი იქავე და, თანხმად მასრის უფროსის მონდობილებისა, წაკედი მასთან და მოვასხენე ყოველივე დაწვრილებით; რომოდენიმე მინუტის შემდეგ დაბრუნდნენ სხვა ჩინოვნიკებიც, რომელთაც მოახსენეს ვისაც ვერ იყო საქმის გარემოება ისე, როგორც მე.

მასრის უფროსმა შეადგენინა ორი პროტოკოლი: ერთი ჩინოვნიკი უ. შუერაცხების და მეორე ვაჭრების მიერ ზოლიციისადმი წინააღმდეგობის თაობაზე და გარდასცა „სუდს“; „სუდმა“ განიხილა პროტოკოლები, იცნო მოხსენებულნი ზემოთქედი და საბურზანია ვაჭრების აღრევაში და ზოლიციის წი-

ნააღმდეგობაში დამნაშავეთ, რაისათვისაც ისინი ჯერ დაატუსაღა და მერმეთ თავდებ-ქვიშ განათავისუფლა.

ჭედამ და ხაბურზანამ, ერთის ჩემთან უკმაყოფილოთ მეოფი პირის დაწმენებით, მასრის უფროსისგან მათის და ვაჭრების წინააღმდეგობის თაობაზედ პროტოკოლის შედგენა და გამომძიებელისგან თვით მათი დატუსაღება მიაწერეს მსოფლოდ ჩემს მოქმედებას, როგორც ვითომც მონღობილების გარეშე ამ საქმეში მონაწილეობის მიძღებისას, და ამიტომ ისინი და რამოდენიმე სხვა ვაჭრებიც, კიდევ ვიძეოვრებ, ჩემთან უსიამოვნების მექონი პირის აგულანებით და რჩევით, ორ-გზის მიიქცნენ ჯერ იმავე დღეს ტელეგრაფით და მერმე საკუთრად ამ საქმეზედ შეკრებილის დეპუტაციისგან წარდგენილის თხოვნით უ. ქუთაისის გუბერნატორთან ჩემზედ საჩივრებით.

უ. გუბერნატორმა ეს საჩივრები განისილა და, როგორც უსაფუძვლონი და ურიგონი, დასტოვა უუურადად და ერთადვე ამისა ნაცვლად ჩემი სამსახურშიდგან დათხოვისა, როგორც მისის მასრის უფროსისადმი № 4395 მოწერილობისგან სჩანს, დაითხოვა თითონ ერთი ჩემზედ მომჩივანთაგანი დეპუტატობისაგან. აი ადგილი, სადაც ვგონებ შესაძლოა მოკვივანთა რიგი იგავი: „მტერი მტერს ვერ დააკლეს, რასაც კაცი თავს დააკლეს, და აქლეები წაიკიდნენ კოზაკი შუაში გაისრისა“.

შემდეგ ამისა მე მრჩება გავაცნო მკითხველთ „კიდევ ვიტყვის“ კორრესპონდენტის მეორე ნაწილში მოხსენებულ ი, „ისპოლნიტელნი ღისტების“ გარემოება:

როგორც სჩანს ზუგდიდის „უზრავლენიის“ საქმიდან, ამ 1881 წლის სექტემბრის თვეში დ. ზუგდიდს მოკატკრეთ: იოსებ მგალობლიშვილმა და სეფე ადამამ შამოიტანეს „უზრავლენიაში“ განცხადება შემდეგის შინაარსის მექონი: 11 АВГУС-

та 1881 года изъ Зугдидскаго Мироваго Суда были выданы намъ четыре исполнительныхъ листа для взысканія съ Вахта Мгалоблишвили восьми тысячъ руб., должныхъ имъ намъ по четыремъ векселямъ за №№ 2910, 2911, 2909 и 2912, и листы, оставшіеся неоплоченными, пропали у насъ. Заявляя объ этомъ, просимъ соответственнаго распоряженія о розысканіи упомянутыхъ исполнительныхъ листовъ съ тѣмъ, чтобы о результатахъ розыска были бы поставлены въ извѣстность. При этомъ просимъ выдать намъ удостовѣреніе о подачѣ нами настоящаго заявленія“.

საფუძველს ზედს ზემო დანიშნულის განცხადების და თხოვნის უკუწოდებისა და, დიად, კაკ სავანა ქუთაისის სტამბაში დასაბუჭდავით გამაცხადება დაკარგულის ლისტების დამების თაობაზედ და მასთან მისცა მთხოვნელთ, თანახმათ მათის, თხოვნისა, მოწმობა იმ გარემოების დამატკიცებელი, რომ მათ ნამდვილად შეძლიანეს „უპრავლენიაში“ ლისტების დაკარგვის თაობაზედ განცხადება.

ეს მოწმობა მის მიმღებთ წარუდგენიათ ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოში ჭ უთხოვნიათ ნაცვლად დაკარგულის ლისტებისა მათი პირების მიცემა. მომრიგებელმა მსაჯულმა ამ საქმის თაობაზედ დანიშნულის დროისთვის, მაგ. თუთსმეტ წახსულ სეკტემბერს, მოისმო ის ვახტა მგალობლიშვილი, რომელსაც ემართა დაკარგულ ლისტებში განცხადებული რვა ათასი მანეთი იოსებ მგალობლიშვილის და სეფე ადამიასი, და ჰკითხა: სურს თუ არა მას, ვახტას, რომ იოსებ მგალობლიშვილს და სეფე ადამიას, თანახმად მათის თხოვნისა,

მიეცესთ ლისტების პირები. ვასტა მგალობლიშვილმა უარი უყო და განაცხადა: მე, მართალია, ლისტების ძალით მგალობლიშვილს ჯ დაძიასი შემართა რვა-ათასი მანეთით, მაგრამ მე ის ფულები სრულებით მივეცი მათო. ლისტები, რომლებზედაც ესენი ჯაპანაკობენ, მაგათ მე ამა-და-ამ კაცებთან დამიბრუნეს და მე „დავსიეო“. მომჩივებელმა მსახურელმა ეს პასუხი არ მიიღო პატივ-დებსში და თავის განხიზებით გადაწვეტიტა—იოსებ მგალობლიშვილისთვის და სეფე ადამიასთვის დაკარგულის ლისტების მაგივრათ მათი პირების მიცემა; ამ განხიზებაზედ ვასტა მგალობლიშვილმა თავის დროზედ გადაიტანა ქუთაისის ოლქის სასამართლოში აშუღიატური საჩივარი, მაგრამ რით გათავდა არ ვიცი.

ამავე საქმედგან სჩანს, რომ იოსებ მგალობლიშვილმა ჯ სეფე ადამიამ დაკარგულის ლისტების თაობაზედ ადადგინეს სისხლის სამართლის საქმე წინააღმდეგ დათა მგალობლიშვილისა, რომელიც ჟურ-ჟურობით ირიცხება ლისტების მოპარვაში დამნაშავეთ და რომელიც, როგორც გავიგე, მრავალს დამსწრე კაცების საშუალებით იმედოვნებს დაამტკიცოს ვასტა მგალობლიშვილის ჩვენება, ე. ი. ის, რომ ამ უკანასკნელმა ლისტები დაისწა და დასია.

როგორც თითონ განაცხადებენ, მოსხენებულთ იოსებ მგალობლიშვილს და სეფე ადამიას დათა მგალობლიშვილის წინააღმდეგ, ლისტების მოპარვის თაობაზედ, სისხლის სამართლის საქმის ადადგინის განცხადება ანუ თხოვნა დაუწერილობით ქუთაისში მცხოვრების ჩაფიცი ვეჭვილის უ. რ. თვის, რის დასამტკიცებლად მსურველთ შეუძლიანთ შავი იმ თხოვნისა დღესაც ნახონ იოსებ მგალობლიშვილის ხელში.

ამით გათავებ ჩემს „კიდევ-ვიტყვის“ კორრესპონდენციას.

ზედ მკითხველებთან ბაასს ღ ალარ ვრაცხ საჭიროდ განკარგ-  
ძო ესრეთი შესასუბ დანაშთენის სიტუეებისა ღ ფრასებისა,  
მაგ. ჭანი, უურცქვიტა, მეძწეურე მეძებარი, ჭლექიანი ღ სსუ.,  
რადგანაც ეს ნაწილი ამა სტატიისა თავით თვისით ამტვიცებს  
მისი ავტორის, როგორც ზნეობით, ეგრეთვე გონებით  
ისევ ღრმა სიბნელეში ყოფნას, თორემ, ჩემის ფიქრით, ცო-  
ტაც არის პატიოსნების არათუ მექონი, არამედ მამებარიც არ-  
მისცემდა თავის თავს უფლებას აღნიშნული ფრასების წარმო-  
თქმისას.

შემდეგ იმ გარემოებებისა, რომელნიც მე ზემოთ მოვი-  
უჯანე, ვგონებ, ეჭვი არ უნდა იქნეს მასში, რომ წამკითხველ-  
ამისა ცხადათ დაინახავს, ერთი იმას, რომ უფალი „კიდევ-  
ვიტყვის“ სტატია სრულებით მოკლებულია ყოველგვარს ჭეშმან-  
რიტებსა და არის დამყარებული მხოლოდ უშუალო ცილის-წამე-  
ბასზედ და მეორე კიდევ იმას, რომ ავტორს იმ სტატიის წე-  
რის დროს ჭჭონია მიზნათ რითიმე შეებღაღა ზოგიერთა ზუგ-  
დიდის პოლიციის ჩინოვნიკების მოჭმელება ღ პატიოსნება ღ არა-  
ის, რომ ეცნობინებინა მკითხველი საზოგადოებისათვის რაიმე  
გარემოების სინამდვილე და ჭეშმანრიტება.

უგანასკნელ ყოვლისა ვსთხოვთ უ. კორჩესპონდენტს, „კი-  
დევიტყვის“, გადაისადოს თავიდგან საბუდარი, გამოჩნდეს ღ  
დაამტვიცოს, თუ რომელმა ზუგდიდის პოლიციის ჩინოვნიკ-  
თაგანმა აიღო ერთი ადგილობრივი ვაჭრის პრივაქიკებისგან  
ასი მანეთი ქრთამათ, დასწვა რვა-ათ-ასი მანეთის დაკმაყო-  
ფილებული ლისტები და დააჭერინა გამომძიებელს სატუსა-  
ლოში მართალი ვაჭარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძუ-  
ლებული ვიქნებით მივიქცეთ სადაც ჭერ არს მის თბილი ბუ-  
ნაგიდგან გამოსაყვანათ.

აღიქსანდრე წერეთელი.

## მიმართვა აპოლონისა კოეტებისადმი.

(გადმოღებული რუსულიდან)

აპოლონი (პოეტებს)

ცოდნა უხრწნელის ჭეშმარიტების  
მე ჩაგინებრეთ თქვენ გონებაში,  
მღერდეთ სიმღერას სულის კვეთებისს, —  
ხალხთ გული გქონდეს მოჩილებასში.

ღირს, სიმები, მომართულები,  
მე სელ-ალებით თქვენ მოგზავეთ:  
წარკედით ქვეყნად, ვით ვარსკლავები,  
გზაზედ ამცდასა გზა უჩვენევით.

ცნობეთ ყველას ძმობა — ერთობა  
და სიყვარულის მტკიცე კავშირი,  
რომ ძმათა შიკელა დაჩაგრულების  
იუოს ყოველთვის ხალხთ შორის სშირი.

წარკედით, არქვით თქვენ განდევნილებს,  
სისხლში უთრთოლავლად სელების მრევლებს,  
საზიზღრების, ბოროტის მქნელებს  
და განუწვევლად სიმართლის მდევნებს,

რომ ქვეყანას ან წვა-დაგვის,  
 თხარა-გუნესისა, მტარვალის, ტანჯვის;  
 ან პალახთა ქეიფ-ლხენისთვის,  
 ანც ბურთ-მოედნათ შემძლებლებისთვის.

ანრობეთ იმათ, რომ არის მხარე,  
 სადაც ერთია დიდი და მდარე;  
 სადაც ღამის, კურდღელს, აქვსთ ერთი ბინა,  
 ყველას ერთ-სწორად უნათებს მოვარე!

წარიყვით სალხი იმ უცხო მხარეს,  
 რომელსაც ძალა ჯოჯოხეთისა  
 ვერ უხშობს კარებს ბნელის ნისლითა,  
 ნათლით ბრწყინვალეს ის ყველასთვისა.

სად უხუცესი ძმისთვის უძრახსა,  
 ან ჭხრის რკალივით, ან ქელავს წიხლით;  
 სად გარყვნილობის მასკით მომქმედს  
 ან აქვს ბინათვის სისამაგლით!

სადაც სიკეთეს, ღვაწლს, შრომას კეთილს  
 ან ჭეულობს ბორცვი და ბორცუება,  
 ძლიერი ან სჭყლეტს უძლურს, დავრდომილს,—  
 იქ სიკეთის წილ სიკეთე სვდება!

სადაც გუნდრუგი პირ-მოთხეობის  
 ან აღჩნობს უღმრთოთ სიძარტლის მქონეს

და ბასრი ეშვი სასტიკ მტარგლების  
არ ღრღნის უწყალოდ სუსტ, ნაკლებ ღონეს,

მარტკვით, ჰოეტნო, რომ შესრულებთ  
ამ წმინდა კანონს თქვენის კალისა,  
და ოხვრა-კენესის ომი ვერა გძლეკსთ!  
მონებრ არ ჩაფლათ მიწაში ისა...

პოეტები (აპოლონს),

გალობელთ მეფეკ! იცო, ჰოეტის  
გზა მნელი, მიძიკ, მეტათ კრულია!  
ყოველ გასაჭირს აღმატების —  
ეკლებით, ძეძვით შემორტემულია!

ცენსურ-კრიტიკა მას ემუქრება,  
ვგელა ყოველის მხრით მისი მტერია;  
დასწერაკ — შეცვლა და შემოკლება...  
სრულად ქარწყლდება ეს ჩაწერია!...

თეოფილე კანდელაკი.

4 ივლისი 1881 წ.  
ს. მეჯვრისკვი.

## წერილი რედაქტორთან.

(კავთახვიდგან).

ძალიან მიმიძის ჩემს შიროკნებაზედ ლაშარაკი, მეტად-  
რე მასინ, როდესაც ეს ლაშარაკი უნდა საქვეყნოთ გახდეს  
ბეჭედში. მაგრამ უკანასკნელ დროს ისეთი დღე დამაუენეს,  
რომ ხმის ამოუღებლობა ჩავთვალე დიდ დანაშაულობათ, რად-  
გან «მტერს დახვედრა უნდა». მაინც კი ვეცდები, რომ ჩემს  
თავზე ნაკლები ვთქვა. ვიტყვი მხოლოდ იმასა, რომ მე გახ-  
ლავართ ერთი უბრალო სოფლის მასწავლებელი კავთახვიდგანში  
და, იმედიც მაქვს, არ ვითვლები უკანასკნელ მასწავლებლათ  
ჩემი მოკალეობა სინიდიისან აღსრულებაში. აი მისრუდება  
სამი წელიწადი, რაც მე ვეწევი ჩემს უღელს აღნიშნულ სო-  
ფელში, და, ვიხატ მოუწადინებია ჩემი ვინაობის გაგება; თუ  
როგორც ვსცხვრებოთ ერთმანეთს მე, ჩემი შეგირდები და  
ძათი მშობლები, ამ მოწადინებულთან ჩემზედ მედამ სიკეთის  
მეტი არა თქმულა რა. ზოგჯერ ისეთი ბედნიერება გეოფილ-  
ვარ, რომ ჩემი მოქმედების ქება საგანგებოთადაც გამსდარა,  
თითქმის სხვა მასწავლებლებისათვის სამაგალითოთადაც.

მე ამას თავას მოსაწონებლათ კი არ ვამბობ, არამედ  
იმისთვის, რომ ჩემთანა რეპუტაცია ხალხში სხვასაც ბევრს და-  
უშვასურნია, სხვანაც რაინ ისეთნი, რომლებსთვისაც, პირადი

ინტერესების გარდა, ჭკუენასზედ არიან მრავალნი სსკა ინტერესებიც, მაგალითად შეგნება კაცის ღირსებისა, აღსრულება წმინდა მოკალეობისა საზოგადოებისადმი და სსკანი. მაგრამ ამისთანა შესედულობის გამო თითქმის ყველა მათგანს გამოსჩენია ვინმე ჯოჯის წინსვებიანი მარჯვე კაცი, რომელსაც არ ასეულებს მათი მოქმედება, . . . და რომელსაც ამის-გამომოუწადინებია მათთვის გზასზე სრინკის გამოდება, ნახტომის შეშლა, ორმოს გათსრა და შიგ გადაგდება.

ვისთვის არის საზიანო, რომ ხალხმა თავზე ხელი მოისვას, იმდენათ გაიგოს თავისი გარემოება, . . . მტრის თავზე კაკლეს მტერეკვა, . . . რომელნიც მას სწუწნიან ერთგულათ? ვისთვის არის საზიანო, . . . მოიურევეინოს ზურგიდგან მრავალი. ჰარაზიტები, რომლებიც მას არ აძლევენ მოსვენებას?—ეს . . . მოკლენა გახლამთ საზიანო იმისთანა უსვინიდიოს კაცისთვის, რომელსაც შეუძლიან სარგებლობა გლეხის უცოდინარობით; იმისთანა კაცისთვის, რომელსაც არ აუკანკალდება ხელი წაჭკლიჯოს გლეხ-კაცს პირთან შიტანილი ლუკმა და თითონ ჩაიდოს ჩასაღურთსებელ პირში. ასეთი პირნი გასლავან, საუბედურათ, და კიდევ ისე მიჭყავთ თავიანთი წაპილწული, მურტალი საქმე, რომ ხალხიც გაცაცულა მათგან და უგუნურების, ბრემების თვალში პატროსანი კაცის სახელსაც თითონვე პოულობენ. ამისთანა პირები ჩვენში, . . . გლეხმა რომ გაიგოს რამე ჭკუენიერობისა, დაჭკარგავს ჩვენდამო მოჩიილებასაო, თავსე დაგვაჯდებაო.—გასძასიან ამისთანა მახინჯნი პირნი. ჭო, დეე იძახონ, ჩამდენიც უნდოდეთ, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ამ უჯიშო ძახილთან თითქმის სისხლს უშრობენ იმ წყნარ მუშებს, რომელთაც შეუბამთ თავი ხალხის განათლების უღელში.

სწორეთ ასეთი სისხლის დამშრობი გამოძიებულა: მეც, ერთი წალაყ სიბნელის, ჭორიკანობის, ცილის-წამების, უმეტესების ჭ სვინიდისზე ხელისაღების ნიშანი, რამელიც, აი ეს წამდენივე თვეა. ერთგულათ და მამაცათ შეუდგა ჩემზე ათასი ნაწილების გავრცელებას. მარტო თავისი მურალი ენა კი არ ამოიჩინა ჩემი რეპუტაციის. დასამხობლათ კავთის-ხეველების თვალში, ხსკა-და-ხსკა ჭორების გავრცელებით, რაშიც მე იმას თავს ვერ გაუყვადრებდი ჭ ამიტომ ვერ ჩავკმენდინებდი ხმას, — არა. იმან უფრო სპატიო ასპარესზე გამოჭეო თავი და მაგრაც ვაიღვა იქ ბურჯი, ამ ასპარესის შესარცხვენათ ჭ ჩემი პიროვნობის დასამცირებლათ. ეს ასპარესი განსამთ გაყოფით. მაგრამ წამდენათ იმან მოახერხა ამ ასპარესის შეურაცხყოფა და დამცირება, იმდენათ შორს გაუფრინდა თავისი უმთავრესი წადილი — ჩემი ვინაობის გაჭეუჭეინება. და წამდენათაც მე უღონო ჭ უძლური ვიყავით ენის ტლავუნით ბრძოლაში, აღდენი მომატებულ ეხერგიას ვიხმარ ამისთანა ბნელი და ძვანუ პირების დასახრებლათ და თავზე ლაფის დასასხმელათ ბეჭდის შემწეობით.

ვითხოვ ნებსა, რომ დალაგებით და, შეძლებისამებრ, მოკლეყო ციამბოთ, რაში მდგომარეობდა საქმე.

ერთ მშვენიერ დღეს მე შევითყე, რომ აღნიშნულ გვირს შეუგულაწიებია კავთის-ხევის მამასახლისი და გაუბედინებია ჩემზედ საჩივრის შეტანა გორის მაზრის უფროსთან. მეორე მშვენიერ დღეს გასეთმა „დროებაში“, ამ ჭორიკანობის უმთავრესმა და უდიდესმა დედა-ბომმა, მკამიტანა შემდეგი მოულოდნელი თქმუბო თავის 257 ნომერში: „სოფლის ნაცვალმა შემოიტანა გორის მაზრის უფროსთან საჩივარი ადგილობრივ მასწავლებელზედ: სოფ. კავთისევს თავის ხარჯით მო-

უჭრია სკოლისთვის ფიჭვის ხეები და ზაფხულის ტყის პატრონებისთვის მიუტყეველი ჭკონია. ამ ხეების ჩამოსატანათ სოფელს გაუვჩაუნია. 80 უღელი სარკამი, მაგრამ დაბრუნებულან ცარიელები რადგანაც იმათ სკოლის მასწავლებელს ჩამოტანა დაუხწრია და დიდი ხანი კიდევ შეუმუშაურია თავის სახლზედ, ამბობენ მაზრის უფროსს დაუნიშნავს ამაზე გამოძიება“.

„ის 30 ხე, თუძვა გვიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძინც დაუბრუნდება სკოლას, მაგრამ ვინდა დაუბრუნებს ამ ძვირობაში სოფელს თვის დაჯარულ დღეების ფასს? საწყალი კავთიხევი, აჩაფერში არა აქვს ბედი!“

საიდგან მოდის ეს ხმა? ვის გასჯდომია გვერდებში კავთიხეველების დარდი და მწუნარება? უ. ახალქალაქელს, რომელიც დაუბრუნებლათ ცეცხლს აყენებს კავთიხეველებს თავის მამულ-დედულს საქმეებში. აი საიდგან მოუვლიან ხოლმე ეს ბნელი და ნამუსზე ხელ-აღებელი პირნი. რა ნაირათ ებრალება კავთიხეველები, რა ნაირათ იტანჯება, რომ ამ საწყალებს აღარავინ დაუბრუნებს ამ ძვირობაში თვის დაჯარულ დღეების ფასს! ერთი ჭკითხოს კაცმა, რამდენი ოთხმოცი დღის ფასი წაურთმეკია ამ გულ-ხვილ მებატონეს მართლა საწყალი, მის ხელში, კავთიხეველებისთვის? იმდენი სიკეთე დემოთია უ. ახალ-ქალაქელს მისცეს, რამდენი იმას კავთიხეველებისთვის ეწადოს! მაგრამ დაუანებოთ თავი ამისთანა კაწკრას. თითონ ფაქტი დაუმტკრებს იმას გვერდებსა და რა სიჭირთა სხვა კავთიხევა, მეტადრე მის საქციელში გლეხებთან!

10 ქრისტეშობისთვის, კავთიხევის მამასახლისი თავისი მოწმებით იყო წარდგენილი უ. გორის მაზრის უფროსთან ჩემს გასამტყუნებლათ. აი დაიწყო საქმის გარჩევა, ყოველმა

მოწამემ, რომელიც თითონ მამასახლისისიგან იყო დანიშნული, აჩვენა: 1, სოფელ კაკისხევს ტყე აღებული არა ჰქონია რა, მხოლოდ იყო მიცემული ათი თუმანი, რომლის ღირებული 12 ხე უკვე მოტანილია; 2, სოფლის მოჭრილი ხე ჩვენს მასწავლებელს არა წამოუღია რა და ან სოფლისას რას წამოიღებდა, როცა სოფელს ტყე აღებული არა ჰქონია? 3, ჩვენს მასწავლებელს, თავისი მეცადინეობით თუ ფულის მიცემით თავის ჯიბიდან, ჩვენთვის აქვს სამოცი ძირი დავით თარხანოვისაგან—ამ ხეების საღბაში ჩვენ არაფერი გადაგვიხდია. მასწავლებელმა თავისათ სოფელს აჩუქა, და ესლა რა მამასახლისი ტყუილუბრალოთ ცილსა სწამებს, შეუძლიან ხეები ჩვენ სრულებით არ დაგვანებოს, რადგანაც თავისი საკუთრებია. ამიტომ უმოწილესად გთხოვთ იმ ხეების ღირებული ფასი მამასახლისს გადახდეს. უკეთუ ჩვენს მასწავლებელს ცხვედაძეს დიდი მეცადინეობა არ გაეწია ჩვენი შკოლისა ესლა სამიწველიც არ იქნებოდა ჩაყრილი; თუ აქნობამდინ შენობა არ გაკეთდა, მიზეზი ის არის, რომ კარგი დიდი ორ პირიანი შენობა (19 არშინის სიგძე, 18 სიგანე, გულის სიმაღლე 5 არშინი და ძირსაც სარდაფები. სულ კაპიტალური კედელია. შენობა კეთდება ინჟინერისგან აღებული პლანით).

ამის შემდეგ უ. მარხის უფროსმა დაადგინა განაჩენი: რადანაც კაკისხევის მამასახლისი ტყუილათ ცილსა სწამებს მასწავლებელს, ამისათვის დაისჯოს იგი, მამასახლისი ი ნაობასტში დამწვედევით\* რამდენიმე დღე და მიეტყოს უ. მასწავლებელს კოპიო, რათა მან სასამართლოში უჩივლოს მამასახლისს ცილის წამებისათვის და ჩვილის თაობაზე ხარჯის მოსათხოვნელათ.

ზა, ახალ ქალაქლო კორჩესზონდენტო, არც ესლა

გაინძრევით—გაიგოთ, სიძმარში ხართ თუ არა? თქვენ გეტყობათ ყოველ კაცს თქვენი არშინითა ზომავთ, როგორც აბდულ-ადა ჯ თქვენი ჯიშის კაცები დატაცებით ლუკმას სჭამენ, გგონიათ, მეც ეტყე უნდა ვიყო! რასაკვირველია, თქვენ წინათვე გექნებათ შეტუობილი კავთისხვეის მამასახლისის ამბავი. რატომ კუდს :რ აუწევთ „ვირის აბანოში“ თქვენის ხელით ხაგდებულ მამასახლისს?!... განა ეგ არის თქვენი მამაცობა, კაცთ-მოუყვარობა და მეგობრის გატანა?... ნუ გასსლტით, უმაწვილო, განზე, ხომ სედავთ, თქვენი ხელითა კვდება. „შენი ჭირიძე, ბატონო, შემაცდინეს, იმისაგან მოჰსტყუედი, რომელიც (ე. ი. ახალქალაქელი) ჩემი მტერია და სხვა გლეხობასაც, ღრეჯით იმეორებდა საწყალი მოხუცებული კავთისხვეის მამასახლისი. ეს სიტყვები ძალიან კარგათ ახსოვსთ კავთისხვეის შვიების მზრუნველებს.

მაგრამ მართო სკოლისთვის არ გამოკდეგ მავნე კაცი, ახალქალაქელი გორკესზონდენტის სიტყვით; მართო სკოლის ნივთებით არ განესაზღვრე ჩემი გამგლეჯი წადილება. თურმე ნუ იტყვით, ხალხის გატარება და მისი სარჩოს დაჩემება მე სასტუმართ გადამიტყვევია, როგორც შესნივის მტრედივით უმანგო უ. ახალქალაქელი, რომლის სუსხი მათრახები ასე მწვავეთა სვდებათ მართლსაწყალ კავთისხვეელებს ჯ ახალქალაქელებს. თურმე ნუ იტყვით, მე გამიძსია ჯიბე-რბეები კავთისხვეელების საცხორებლით! დმერთო ჩემო, ეს როგორ მომსკვლია, რომ მე ჩემი ასეთი საქციელი მხოლოდ გაზეთით შევიტყე! განა ასეთი დაუდევნელობა შეიძლება! სასოფლო დუქანი იმიტომ დამიკეტნია, რომ ამის შემოსავლით სახლი ამიშენებია ჯ ამით მიემარებია ხალხისთვის!... მაგრამ ყური მათხოკეთ ცოტასანს დუქნის დაკეტაზე.

დუქნის დაკეობა, რასაკვირველია, დიდათ სამწუხარო  
 დარჩათ არა მარტო იმ პირთა, რომელთაც გლეხ-კაცობისთვის  
 ცოტაც არბს გული შესტევივით, არამედ სხვა პირებსაც, მაგ-  
 რამ ყველაზე ძლიერ არის ჩემთვის საკუთრივ სამწუხარო,  
 რადგანაც ჯერ წინეთ მთელი წელნი წესდების დამტკიცებას  
 ესდით, მეტი გასსნასუ რამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე: სამ-  
 ჯერაც ამის ხაჯობასუდ სიგვედილს გადაკრჩი გზასუ მისვლა-  
 მოსვლასუ, ბევრჯერ ამის გამო დღეები დამიღამებია უსძელ-  
 უტემელი, რისთვის ვიტანდი განა ამ კაცებს? განა იმიტომ,  
 რომ ბოლო დროს ესე თავი შეგვეტყვისინა და სხვა სოფლე-  
 ბისათვის მაგალითი მიგვიტყვას? ხუ თუ, სახლქადაქელთ კორწე-  
 სზონდენტო, იმას ჭეჭეობდით, რომ სახეში მე ესე შეტყ-  
 ვენა შედო გუჯში? სახლი, ძალაზი: რასაკვირველია, ვაი არ-  
 რით შენდებინ. საგრამ, განა არ შეიძლება სხვა-და-სხვა მო-  
 ულოდნელ გარემოების გამო ან ტყვეხლი წაედოს, გადიწვას,  
 ან გაქურდონ, ან შიგნიდგან უღალატოს ვინმემ და აიეთქოს?  
 —ხომ ვაი არრით არიან აშენებულნი. განა რა ბრალა ამშე-  
 ჩებელი, ან სხვა სახლის შატრონებს რაღათ უნდა შეეშინდეთ,  
 რადგანაც ამა-და-ამ კაცს ესე უბედურობა ეწვია, ჩვენც ველარ  
 გაკბუდავთ?... მე ძალიან მოვიწადინე ამ დუქნის ვასსნა, რად-  
 განაც ვაი მიზანი აქვს. მეგონა, ხალხი ხინიდისიანათ მოიქცე-  
 თდა, ვიზოვიდი მათში თანაშემწრომეს, მაგრამ უი, ყველამ მი-  
 მტყუნა, ყველამ თავისი ჯიბე აჩჩია საზოგადო კეთილ წყობი-  
 ლებას, ასე გაშიჩქუთ კერავის ვზოკებდი ვაცს. ვისთვისაც მიმენდო  
 სადამრობით დუქნის კასისი მიღება, რადგანაც მე არ შემიძ-  
 ლო შორს ცნოვრების გამო. (ჩემი სახლიდგან დუქანი ვერს-  
 ნახევარზედ იქნება დაშორებული). ვისაც ვაი მივანდე ფულის  
 მიღება, ანგარნიშის დროს, ყოველთვისინ არ იქნებოდა, რომ

ორი თუმანი მანც ჯიბეში არ ჩაეღებინა. ეკელა ამან სულ ერთათ გამოტყუა თავი, ჩამოვარდა ქართული ყაყანი და ვაბე. მეც მივეცი სსსრწარკვეთილებას, რომ მართლამ ვერ შეესძლ მისი წარმოება და საქმეს თავი არაგინ დაუღო. სკოლას ხომ ვერ ვუღალატებდა, როდესაც ის უფრო სსჭირო საქმეა ხალხისთვის, და მედუქნეთ ვერ დავსჯდებოდი!? ამიტომ განვიძრახე—მოკმორებულყოფ ამისთანა გაგაგლახებულ საქმეს, რადგან, კეთილი საქმის მაგიერ, ყოველ ხაზიჯოც იხადებოდა სხვადასხვა ბოროტება. ჩემ გაცილებას უნებლიეთ უნდა მოტყულოდა დუქნის დაკეტვაც, მიტომ რომ სსკამ არაგინ არ მოკვიდა სული ამ ფრიად სსსარგებლო საქმეს. დაიკეტა დუქანი, ვინ იტყვის, ძალიან უსიამოვნო ამბავი მოხდა, მაგრამ აქ მე რაში ვარ, ჩემი რა ბრალია? ისა რომ მე არ დაგვექე დასლიდრათა და სკოლას არ ვუღალატე? მე ხომ არც თავ-და-პირველ დავპირებივარ ვისმე, რომ მასწავლებლობას მივტოვებ და დუქანზე დავსჯდები მეთქი! მე თუ დუქნის გამართვა ვიკისრე და ალვასრულე, წარმოება უნდა მთელ საზოგადოებას აელო ხელში, რადგან მათი ფული ტრიალებდა, მათი ინტერესები მუშაობდნენ და მათ მეზობლებს უნდა ესარგებლნათ სავაჭრო სიაოოთ. მხლოდ ამ იმედით ვხედიმღვასულობდი დუქნის გახსნაში, იმედი გამიცრუვდა და დუქანიც დაიკეტა.

მაგრამ ახალქალაქელი კორრესპონდენტი სხვა ბიჭი და სხვა ნაირათაცა. სარგებლობს ამ დუქნის გაუქმებით იმავე გზითის ფურცლებზე. ახა ყური უგდეთ, რა საინათ, ამასინაჯებს ჩემ ანგარიშს! ის ამტკიცებს, ვითომც მე ვწერ ანგარიშში: 1, 320 მ საქონელი ვეჭით, ბოჩკებოთ და იაშჩიკებით, 100 მ. კასაშიო და 100 მ. კიდევ ვითომ სხვა საქონელი ვიყიდეთ. შემცდარი ბრძანებით. ჩემი ანგარიში სულ სხვას

ამბობს—როგორც რევიზიის წევრებმა გვიჩვენეს, საქონელი აღმოჩნდა 320 მ., კეჭით 600 მ., კასაში ნაღდი აღმოჩნდა 100 მ., რომლითაც ვიყიდეთ კიდევ საქონელი შემდეგ რევიზიისა. მაშ სულ საქონელი კეჭით, კასით 480 მ. აქ არ არის შეჩინებული წინეთ გადასდილი დუქნის ქირა 40 მ. და ჰატენტისა 10 მ.“ ეს ჩნდა ნაღდათ დუქანში და არა 420 მ., როგორც თქვენ იწერებთ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ ფულით იყო სოციერთა ასეთი საქონელი ნასყიდი, რომელიც დაჩნა გასასყიდველი, ‘დუქანს გაუხდა ამხანაგათ’, როგორც იტყვიან ვაჭრები. თუძრა ნიკთები სრულებით წამსდრები არ იყვნენ, მაგრამ არ იყიდებოდა — ხალხი მათში ცოტ-ცოტობით საჭიროებდა, დუქანში ბლომ-ბლომით ეწყო. ამასში, რასაკვირველია, მოტყუებულები ვართ, რადგანაც წინეთვე უნდა გცოდნოდა, თუ რა საგანი უნდა ყოფილიყო ბევრი დუქანში და რა ცოტა. ამის გამო დღეში ვაჭრობა არ აღემატებოდა რა მანეთს, როდესაც ხარჯი ამასე ნაკლები არა ჰქონდა დუქანსა. რას ჭიკჭიკობთ, რომ გაგვეგონოთ კიდევ ვაჭრობა. თუფრა ცარიელზე არ დაკრჩებოდით? 2, ყველა ეს შემოსენებული საქონელი ისეა ჩაკარდნილი, როგორც ქ. თბილისშია ნასყიდი, სოციერთა კიდევაც ნაკლებათ. აბა ერთი მითხარით, თუ რომელმა წევრმა წაიღო გაყოფის დროს 10 კ. 25 კაპეიკათ, 7 კ. 20 კ. და 10 კ. საზონი 25 კ. მაშინ მე შევამძღვებ იმასაც პასუხი გავცე. მანამდისინ კი თამამათ ვიტყვი, რომ ეს ცილის-წამება დიდი მიქარკვას ჯ მხლელად თქვენისთანა გონება დასშულებს შეშუენით, უ. ახალქაქელა. 3, ათაშიკები და ბოჭკები, რომელთაც ყიდვის დროს ფასი არა აქვთ, სამი მანეთი ფასი დაგუდვარა. აქაც რაფორებებს უჩივრულნიანთ თქვენთვის. ათაშიკები და ბოჭკები არის ჩაკა-

წდნილი არა უმეტეს 80 კ. მართალია, არის იმდენი ბოჭ-  
 კებიც—არაყისა და თაფლისა, რომელნიც ქალაქშივე არიან და-  
 მჯდარი 4 მ. რასაც დამბოტკივებენ თვით წვევები, რომლებ-  
 მაც წაიღეს. თქვენ ჩამცილებიანთ ქალაქში მუქათათა გაქვთ ნა-  
 შოენილ 4, „დუქნის მუშაობა ძალიან კარგათ შეიძლება და  
 420 მ. (480) და მაგალითი მოგუყვით, „სსლქალაქელი, თქვენი  
 ღვიძლის ძმის დუქანი, სადაც 100 მ. 45 დღეს 200 მ. იქცა.  
 ერთის წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ათასი თუმნის  
 პატრონი გასდება თქვენი ძმა. ამას ღამნაკობთ და თანაც  
 ჩვენს გკლანძავთ — ერთი ასათ საქონელია დაფასებული.  
 დახეთ აზრებს! დახეთ ლოდიკას!—ჯერ ძნახვა უსაფუძვლო,  
 როგორც ზვეითა ვთქვით, და მერე ლოდიკა. 5. თქვენ იწე-  
 რებით „მარტოთ—მარტო ჩაიკეტა თუთხმეტი დღე დუქანი  
 და ანგარიშობდა“ო. ტუვილია. მე კი არ განგარიშობდი, ან-  
 გარიშობდა რევიზიის წვერი თანდასწრებით სიმი გამოკობის  
 წვევებისა და თითონ მე აკტიურ მონაწილეობას არაფერს  
 ვიღებდი, რადგანაც რა კაცს მიანდო ურილობამ ძალაზიის  
 აღწერაც და ბუნგალტერიის შემოწმებაც. თუ რაც დასლიდრებს  
 ფუფი დაედოთ, რატომ მაშინვე არ გამოკართვით, ამასედ  
 იმას მოგასხენებთ, რომ ნებით არ იძლეოდნენ და სასამართ-  
 ლოთი გვიანდებოდა, დუქანი უფრო იღუპებოდა, რადგანაც  
 სანდო დასლიდაჩს ვერ ვშეგობდით. უცხო პირებსე რათ  
 არის რჩელი თუმანი ნისიაო, მკითხავთ. უცხო პირებსე ნი-  
 სია რაც არის, წესდების ძალით, დასლიდრებს დაედოთ ვა-  
 ლათ, რადგანაც მათ ნება არა ქტონდათ უცხო პირებსე გაე-  
 წათ. ბეკრმა წვერმა წაიღო ნისია, აღარ შემოუტანია. შეკა-  
 ტობინეთ მრავალ-ჯერ, როგორც გამოჩინებაც დაუპირეთ.  
 რომ კერაფერი შეკასმინეთ ავდეკით და წილის ფუფიში გა-

მოუბარეთ. თუ წვერებს რათ ვაძლეკდით იმაზე მეტს, რაც წესდება ნებას არ გააძლეკდა, ამაზე იმას მოგასსენებთ, ჭკვიანო კაცო, რომ თქვენისთანა ბიჭებმა და სხვა უფრო კარგმა მანდილოსნებმა ბევრჯელ წაიდეს კარგი მსუქანი ვიჩინა იმ საიტეკები: სადამოთი ჩემი ბიჭის ხელით მოგართმევთ ფულსაო. ბევრმა სადამომ ჩაიარა... ერთმა წვერმა, რომელიც განლაგს თქენი ჭიშის კაცი, ბოთლები სულ მილეწ-მოლეწა, რატო ნისიათ არ აძლეკეთო და დახლიდაჩიც კინაღამ გაგვიბერტუა. რასა იქ ამისთანა ჰატიოსან პირებთან! ჩნ, როდესაც ერთმა წვერმა უ, საყვარელიძემ წარმოადგინა დახლიდარი და თითონ თაობდა მის თავებობას, კარგათ იცოდი, რომ უ, საყვარელიძეს შეეძლო ჰასუნის გება დახლიდრის დანაშაულობაზედა, მეუბნება უ. ასაღქალაქელი ღ თანა დარწმუნებულის, რომ მაშინ კი უეჭველია ღ უეჭველად ვარ, წავიდოდა საქმე. განა თ. დავით თარსანოვი, რომელიც ილია კაკსაძის თავდების, ვისზე რა ნაკლები კაცია ან ჰატიოსანობიო, ან ქონებით? მაგრამ საქმემ მაინც უგემურათ ჩაიკოტლა. 7, დასასრულ მინდა არაკიც უამბო ასაღქალაქელ კორესპონდენტს:

იყო ერთი ჰატარა ბიჭი ქვეყანასა არაბეთისასა, ის თავის დედ-მამამ მიაბარა ოსტატს, რომელსაც თავში აძლეკდა მანეთსა. ჰატარა ბიჭი ბავშვებში რომ თამაშობდა, აი რას ეუბნებოდა თავის ამხანაგებს: ეე, ბიჭო, გააძლიდრა მამაჩემმა ხელათ ჩემი ოსტატი — მე როცა მიკებაყო, არაფერი ებადა ჩემ ოსტატს და ეხლა ვხედავ უკველ თავი, მამა რომ ფულს მისცემს ხოლმე, სან ხალიჩებს ყიდულობს, სან სკამებს და აი ეხლა სახლებსაც. აშენებსო. როგორ მოგწონს ასაღქალაქლო, ეს ამბავი? მართლა ჰატარა ბიჭმა გააძლიდრა? — თქვენ ბრძანებთ—არაო, განა? ბიჭები რო გეტყვიან—არა იმ

პატარა ბიჭმა გაამდიდრაო, რატო წინეთ არ იყო ეგრე, მანამ ის მიებაჩებოდაო? მაშინ კი მოხვალ გონებაზე და იტყვი: ჭო მართლა სწორეთ მანეთით გამდიდრდა, რატომ წინეთ არ იყო მდიდარიო! სასლი 700 მანეთათ არის დამჯდარი, დეპოში მიუშაობდა სულ 705 მ. და 28 კ. ამ ფულადგან ყველა წევრებმა თავ-თავიანთი წაიღეს, დასდიდრებს დაედო 300 მ., კიდევაც საქონელია დარჩენილი და მეც, თქვენი ჭკობით 700 მ. სასლები ჩავჭიმე! შენმა შუემ ძალიან მოგება ჭკობია დუქანს. მაშ რაღას უყურებთ, თქვენ ხელმა გაქვთ შეძლებ-, რომ ერთი ათიოდე ასეთი დუქნები გამართოთ, ხელათ აიძუებით, ჩაიჭრებით ფულით. ეგ არის რაღა თქვენი ლოდივა? ჭკვიანო კაცო, განა შეიძლება გალაშქრება კაცთან, ისიც ბეჭდით, რომ რაც მოგადგესთ პირზე, არახუნოთ და შიგ კი ერთი მისხალი ჭკუა არ ჩაატანოთ?! სირცხვილი არის! მაგისტანა წერს კეკელასი და სოფიოს საქმე: მაშ შენ რაღა ხელებს იმტერევ?

მ. ცხეიძე.

P. S. ბოლოს არ შემიძლიან დაგმალო მიზეზი, რომელმაც მაიძულა მომეძალოთ თქვენთვის, უ. რედაქტორო, რომ ეს ჩემი წერილი დაგებუდათ. ამ უშუქლო და უსვინდისო

ცილისწამებაზე მე მედამ ვამზადებდი ჰასუსებს და კვსაგინდი იმავე გაზეთში, რომლის შემწეობითაც უ. ასაღქაღაქელი მამრობდა ტუას ზ მოულოდნელი ნაცილებით მართლა ბრეს მადენდა. მაგრამ, რადგანაც ჩვენი ძველი უაიდის მწერლები განლაკან თავადების კუდის მწვეკლები ზ, მოტყუილებულნი, აქამდის გამოელიან მათგან ზურგის მიტემას, ამიტომ ვერ ველირსე ჩემი ჰასუსების დაბეჭდას. ეს ლაქიაობა იქამდის გასკდომია «დროებას» ძარღვებში, რომ უბრალო სალიტერატურო კანონის აღსრულება მას დანაშაულობათ მიანინია, იმ კანონისა, რომლის ძალითაც მოჰასუსეს აქეს ნება იმავე ორგანით გასტეს ჰასუსი. თვის ძაწინააღმდეგეს, სადაც უკანასკნელმა გამოილაშქრა. მე აქამდის დამდაბლებული და წელში მოწვეტილი არ ძეგონა უ. მესხი. ჩამოვიტყერი სოფლიდგან და ვაწმუნე იგი ჩემი ჰასუსები დაუბეჭდნა. მაგრამ ისეთი გამაგრებულად ჭჭონია თავადებისადმი ლაქიური მოქტევა, რომ ვერ უმტყუნე თავის ვარსკვლავს, არ დამიბეჭდა და, ჩემ საბუთებზე, ისე ატვიტა, რომ კინაღამ თვით რედაქციაში არ შევიტენ გალახული თვით ს. მესხისაგან, მის ძმისაგან ზ კიდევ ვიღაც რედაქტორის მტკელებისაგან.... მაინც მადლობელი ვარ უფ. მესხისა, რომ არ გამლახეს, თორემ, რომ ეტემნათ, ჰატრონი არკინ იყო, ისე შეჩებოდათ, როგორც თავის დედის ტკბილი ძუძუ—ზა ერთ კაცს რა გამივიდოდა იმოტელა ჯოგთან! მხოლოდ იმას კი გულის ფიტარზე მაგრათ დაკიწერ, რომ კისერში ძეკეს ხელი და ისე გამომავდეს რედაქციიდან. სამახსოვნოთ ეს არ არის ურიგო, იქნება როდისმე გამოდგეს. ამასაც კი მოგასსუნებთ, რომ ეხლანდელ დროში არამც თუ რედაქციებში, არამედ არც ტრასტიკებში, არც სარდაფებში ზ არც აბანოებში არ დამძართვია ასეთი საჭმე, რომ ჩემ სატემ-

ლათ გამზადებულნი უოფილიუენენ, უქანასნელ ნაბიჯზედ  
მდგარიუენენ, ან კინწის კვრით გამოეკედე ვისმეს იქიდგან.  
არ ვიციადი თუ «დროების» რედაქცია ასეთ ნაბიჯს გადასდ-  
გამდა, რომ სულ უკან მოიგდებდა ტრანსტირებსაც, პოლელე-  
საც და კრთოგვარ ადგილებსაც, თორემ რა გამაბედვინებდა იქ  
ფეხის შედგმას!

ო. ც.

რედაქციისაგან საპროვებლთაო საუბრადღებოთ.

მომავალს 1882 წელსაც ქართული საპოლიტიკო და  
სალიტერატურო ჟურნალი

## ი ი მ ე ღ ი ს

გამოვა იმავე შრომარმით, იმავე მიმართულებით, იმავე სი-  
ვრცით, (ე. ი. ოთხი თაბახიდგან ხუთამდის), და ახალი დასე-  
ლდებულება თანამშრომლების დახმარებით.

ფასიც ჟურნალისა დაჩება იგივე — წლიურის გამოცემი-  
სა თბილისში შინ მიტანით და სხვა ადგილებში გაგზავნით  
8 მანეთი, ნახევარ წლისა 4 მ. 50 კ., სამი თვისა 2 მ. 50 კ.,  
ცალკე ნომერი ეღირება 1 მანეთი.

ხელის მოწერა ჟურნალ „იმედელ“ მიიღება ქ. თბი-  
ლისში: რედაქციაში, რომელიც იმყოფება გუგიაში, მეორე  
თუმანიშვილის ქუჩაზედ — № 12, ხემენცების სასაფლავსთან,  
უ. შავრდოვის გაზეთის სააგენტოში, „გაკვასის“ სააგენტოში  
უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და უ. სელაძის სტამბაში,  
გარეშე მცხოვრებელთ შუამდინთ დაიბარონ ჟურნალი ამ ად-  
რესით: **Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго  
журнала «ИМЕДИ».**

მომავალ 1882 წლის იანვრიდან «იმედში» დაბეჭდილი  
სტატიებისათვის ავტორებს მიეცემათ რედაქციისაგან ფასი ამ  
რიგით: ორიგინალური სტატიისათვის ერთ ბეჭდის თაბახ-  
ზედ 8 მანეთიდგან 16 მანეთამდის, ნათარგმნზედ — 5-გან

10-მდის; ორიგინალური ლექსისთვის სტრიქონზედ 3 კაპეიკიდგან 6-მდის, ნათარგმნზედ — 2-გან 4-მდის. სტატია თუ ლექსი უნდა იყოს გადაწერილი წმინდათ და გარკვეულით. ვისაც ფასის მიღება სურს მათში, უნდა ზედ წააწეროს. სტატია ანუ ლექსი, რომელზედაც არ იქნება ავტორისაგან წარწერილი ფასის მიღების სურვილი, მიიღება როგორც საკუთრება ჩუდაქციისა.

თუმცა ამ 1881 წელში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თანკთავის დროზედ ვერ გამოდიოდა ჩვენი ჟურნალი, რისთვისაც ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, მაგრამ მომავალს წელში ვეცდებით თვითრეული სამუკრი გამოცრეთ უაჭკვლად იმთვის დაძლევის, რომელსაც ის ეკუთვნის, ღ შინაარსითაც გაკაუმჯობესოთ.

დასასრულს არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადი ძაძღობა ამ წლის ჩვენს ხელის მოძწერლებს, რომლებმაც თავიანთის თანაგრძნობით მოგვცეს შემწეობა ჟურნალის დაფუძნებისა ღ მის გამოცემის გაგრძელებისა. აგრეთვე არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადივე ძაძღობა ყველა ჩვენ თანამშრომლებს, რომლებმაც უსასუიდლოთ სტატიაებით ხელი გვიწუეს და გვიწეობენ. ვიმედოვნებთ რომ საკვლავდაც ყველა მოსსენებელი პირები არ მოგვაგლებენ თავიანთ თანაგრძნობას და შემწეობას ჩვენგან ნატვირთვ საზოგადო საქმეში.

ჩუდაქციონი ღ გამოცემი შინეილ ბურბენიძე.

მომავალს 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოკა იმავე ჰროგრაჰიითა და რიგით და იმაჳ თანა-  
მშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. რო-  
გორც გაზეთის დაარსებიდანვე ცდილობდა რედაქცია, რომ  
მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად,  
გაუემჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და  
იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს  
გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გლა-  
ვინის ჰროსჳექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის  
ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოით-  
ხოვონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты  
«ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-  
მოწერა მომავალის წლიდან არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით	—	—	—	—	—	—	—	9 მან.
ნახევარის წლით	—	—	—	—	—	—	—	5 „
სამის თვით	—	—	—	—	—	—	—	3 „
ერთის „	—	—	—	—	—	—	—	1 „

სხვა კადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. სვედრი ფული  
ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისთანავე უნდა გამოგზავ-  
ნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-  
გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.  
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

474  
1881

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის-მოწერა მიიღება ქ. თბილისში: რედაქციის, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12, უ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, „კავკაზის“ სააგენტოში და ექვთიმე ხელაძის სტამბაში,

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ აღრესით: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ.“*

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქაღალტებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.  
 ნახევარი წლისა — — — — — 4 მ. 50 კ.  
 სამი თვისა — — — — — 2 მ. 50 კ.  
 ცალკე ნომერი ეღირება — — — — — 1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდით და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ ძალე წარმოადგინონ. ვთხოვთ აკრეთვე იმათაც, ვისაც ძარტო პირველი ნახევარი წლის ფასი აქვს წარმოდგენილი, ძალე გამოგზავნონ მეორე ნახევარ წლის ხვედრი ფულიც.

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ შიუეიდესთ, ეთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.

რედაქციაზედ დამოუკიდებელის მიზეზისა გამო ზოგიერთი სტატიები, გამზადებულნი ამ წიგნისათვის, არ დაიბეჭდენ, ზოგი დაიბეჭდენ არა წარუღიად. ერთის მხრით ეს იყო მიზეზი, რომ ეს წიგნები გამოვიდა ასე გვიან და მეორეს მხრით კიდევ ისა, რომ 1882 წლის ნომერი დაგვიწყოს თავის დროზედ და მოგვესპო ნომრების დაგვიანება.

რედაქტორი ჭ გამოცემა მიხაილ გურბენიძე.